

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ირინა მუჯირი

„ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური
პროცესების აქტივიზაცია“

სადოქტორო პროგრამა - ბიზნეს-ადმინისტრირება
შიფრი 02

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, 0192, საქართველო
მაისი, 2016

საავტორო უფლება © 2016 წელი, „ირინა მუჯირი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნესის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ირინა მუჯირის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

”-----“-----2016 წელი

ხელმძღვანელი: ანზორ აბრალავა, პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თანახელმძღვანელი: მანანა ცერცვაძე, პროფესორი, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტი,

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2016 წელი

ავტორი: მუჯირი ირინა

დასახელება: „ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია“

ფაკულტეტი: ბიზნესის

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: ”-----“ ----- 2016 წელი

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული დანიშნულებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი – „ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია“ – შედგება შესავლის, სამი თავის, შვიდი პარაგრაფისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. დანართში თავმოყრილია ჩატარებული კვლევის შედეგები.

შესავალი სტანდარტული სახისაა. მასში თანმიმდევრულადაა გადმოცემული ნაშრომის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველი თავი – „ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების თეორიული არსი გლობალიზაციის პირობებში“ - მოიცავს ორ საკითხს.

1. ადამიანური კაპიტალის თეორიულ-კონცეპტუალური ანალიზი;

2. ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია როგორც ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის შედეგი.

პირველი თავი გვაცნობს ადამიანური კაპიტალის ცნებას და მისი თეორიების წარმოშობას. რომ ეს იყო მეცნიერების პასუხი დროის გამოძახილზე, პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული და ინოვაციური ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებაზე. ცოდნისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებამ ცხადყო ინტელექტუალური შრომისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების - ცოდნის ადამიანების როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკის, კონკურენტუნარიანობის ზრდაში და ამაღლებაში. მე-XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI-ე საუკუნის დამახასიათებელი პროცესებია ადამიანური კაპიტალით როგორც ფიზიკური, ისე ბუნებრივი კაპიტალის ჩანაცვლება და ინვესტიციების შესაბამისი დივერსიფიკაცია. ამის შედეგად ადამიანური კაპიტალის წილი ეროვნულ სიმდიდრეში განვითარებული ქვეყნების (მაგალითად: ბელგია, ფინეთი, ამერიკა, სინგაპური, შვეიცარია, იაპონია, ისლანდია და სხვა) ეროვნული სიმდიდრის 70-90% შეადგენს.

ადამიანური კაპიტალის ცნების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებმაც გადააჭარბა ზრდის კლასიკურ ფაქტორებზე დაფუძნებულ მონაცემებს. განვითარებისა და ზრდის რეალური პროცესების ანალიზმა თანამედროვე პირობებში გამოიწვია ადამიანური კაპიტალის დამკვიდრება თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ძირითადი საწარმოო და სოციალური ფაქტორის სახით. ეკონომიკური კატეგორია „ადამიანური კაპიტალი“ თანდათანობით ჩამოყალიბდა, თუმცა პირველ ეტაპზე იგი შეზღუდული იყო ადამიანის ცოდნითა და შრომის უნარით.

აქვე დაწვრილებითაა განხილული ადამიანური კაპიტალის ფორმირების, დაგროვებისა და გამოყენების სამი დონე – ინდივიდუალური, კორპორატიული (ფირმის) და ეროვნული ადამიანური კაპიტალი.

აღსანიშნავია რომ ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობა შესაძლებელია მიღწეულ იქნას მის ყველა დონეზე დროული, სწორი ინვესტირების და მართვის შედეგად.

ადამიანური კაპიტალი როგორც კვლევის ობიექტი განიხილებოდა ეკონომიკური თეორიის, მენეჯმენტის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის სხვადასხვა ასპექტში. ადამიანური კაპიტალის კონცეფციის თეორიული მოსაზრებები დაამუშავეს ა. მარშალმა, ჯ.ბ. კლარკმა, ი. ფიშერმა და სხვებმა. მე-XX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანური კაპიტალის თეორია განავითარეს გ. ბექერმა, მ. ბლაუგმა, ს. ბოულსმა, ფ. მახლუპმა, ჯ. მინცერმა, ო. ნორდჰოლმმა, მ. ფიშერმა, ტ. შულცმა და სხვებმა;

ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური განვითარების პრობლემებზე საყურადღებო ნაშრომები აქვთ ქართველ მეცნიერებს: ა. აბრალავას, მ. ჯულაყიძეს, ო.შატბერაშვილს, ე.ჯულაყიძეს, ე. ბარათაშვილს, ც. ლომიას, რ. ბასარიას, რ. ქუთათელაძეს, მ. თორიას და სხვებს.

ამრიგად, ადამიანური კაპიტალის თეორიის კვლევებში მისი განვითარების ისტორიის მანძილზე ჩართული იყო სხვადასხვა მეცნიერ-მოდელე. ადამიანური კაპიტალის თეორიულ-ისტორიული ანალიზიდან ჩანს, რომ ტერმინი სულ უფრო იხვეწება.

მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანური კაპიტალის ეტაპებად ზრდა და განვითარება წარმოადგენს ახალ-ახალი ინოვაციური ტალღების გენერაციის, ეკონომიკისა და საზოგადოების ციკლური განვითარების მთავარ ფაქტორსა და მამოძრავებელ ძალას.

თანდათანობით დაგროვილი ცოდნის ბაზაზე ვითარდებოდა განათლება და მეცნიერება, იქმნებოდა მაღალპროფესიული მეცნიერულ-ტექნიკური და ზოგად-ინტელექტუალური ელიტის ფენა, რომლის მმართველობით ვითარდებოდა ქვეყანა.

მეორე თავში – „ადამიანური კაპიტალი და ინოვაციური პროცესები გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში“ – გაანალიზებულია გლობალური კონკურენტუნარიანობის, ინოვაციების, ადამიანური განვითარების და ცოდნის ინდექსები და საქართველოს რეალობა, გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა ადამიანურ კაპიტალის ტრანსფორმაციაზე და ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების განვითარების პრობლემები გლობალიზაციის ეპოქაში.

თანამედროვე რეალობისა და საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის ფორმირებისათვის გამოვიყენოთ წესრიგის თეორიის აპრობირებული კონცეპტუალური მიდგომები. კერძოდ, ორდოლიბერალური წესრიგის თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის თანახმად ეკონომიკური პრობლემების კვლევისა და დაძლევის მთელი შემოქმედებითი ციკლი უნდა ემსახურებოდეს განსაზღვრულ მიზანს და ეფუძნებოდეს სამ ძირითად პრინციპს: **პიროვნების თავისუფლებას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ქმედუნარიანობას.** ეს სამი ძირითადი პრინციპი

წარმოდგენს დემოკრატიული პროგრესისა და წონასწორობის საყრდენს, ხოლო გლობალურ-ინოვაციური ტენდენციების გონივრული გამოყენება - მათი რეალიზაციის საფუძველს.

ქვეყნების წარმატება და რეიტინგები დგინდება საერთაშორისო ინდექსების მეშვეობით. ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომელიც კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას აღნიშნავს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებაა. ინდექსის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა.

გლობალურ ინდექსებს იმისათვის ქმნიან მკვლევარები და კვლევითი ცენტრები, რომ ერთმანეთს შეადარონ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ხარისხი, კონკურენტუნარიანობის დონე, ადამიანური განვითარების მდგომარეობა, ინოვაციური განვითარების შესაძლებლობა და სხვა.

ამ თავში წარმოდგენილია მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ანალიზი და მდგომარეობა საერთაშორისო ინდექსების მიხედვით.

მესამე თავში - „საქართველოში ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის სისტემის პერსპექტიული ხედვა“ - განმარტებულია ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების განვითარების სწრაფი გარღვევის სტრატეგია და ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელი.

ამ თავში, წარმოდგენილი გვაქვს ახალი გლობალური გამოწვევების და რეალობის ანალიზი, ასევე, თუ როგორ ხდება ამას საქართველო, რა პოლიტიკითა და სტრატეგიით უნდა გაუმკლავდეს მათ.

ჩვენ გავითვალისწინეთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის მიმართულებების ჩამოსაყალიბებლად. მოდელში წარმოდგენილია: ადამიანური კაპიტალი, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და ინოვაციებში, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, მართვის სისტემა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, მეცნიერების, კვლევების და ბიზნესის ურთიერთკავშირი და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა. ჩვენი აზრით, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მთავარი რესურსი და მნიშვნელოვანი ფაქტორი არის კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი. სტრატეგიის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

Abstract

The dissertation - "The transformation of Human Capital and activation of innovative processes" – is structured in three chapters consists of an introduction, seven paragraphs, conclusion and attached list of references. The appendix contains the results of the research.

The format of Introduction is standard. There is consistently listed the actuality of the work, the aim and the tasks of the research, object and subject, the theoretical and methodological bases, scientific innovation and its practical value.

The first chapter - "The essence of the theory of human capital and innovation in the era of globalization" - covers two issues.

1. Human Capital: A Theoretical and Conceptual Analysis;
2. Activation of innovative processes as the result of transformation of human capital.

The first chapter introduces the concept of human capital and its theories of origin. It was the scientists' response to the formation of post-industrial, informative and innovative economy and society. The formation of the knowledge and innovative economy made the obvious necessity of intellectual labor and highly qualified specialists – their increasing role in economic growth, competitiveness and improvement. The 21st century and second half of the 20th century was characterized as replacement of physical and natural capital by human capital and diversification of the investments. As a result, share of human capital in national wealth of developed countries (for example: Belgium, Finland, the United States, Singapore, Switzerland, Japan, Iceland, etc.) covers 70-90% of the national wealth.

The formation of the concept of human capital was contributed by the statistics of economic growth of developed countries, which exceeded the growth factors based on the classic accounts. Analysis of the development and growth of real processes led to the establishment of the human capital as a basic factor in the modern economy, social and major industry of the society. Economic category, "Human Capital" was formed over time, but before it was limited by the human knowledge and ability to work.

Also, formation, accumulation and three levels of use - individual, corporate (firm) and the national human capital are discussed in detail.

It should be noted that **it is possible to achieve the competitiveness of human capital by timely and correct investment management at all levels.**

Human capital as an object of research was discussed in various aspects of economic theory, management, sociology and psychology. The theoretical considerations of human capital were developed by A. Marshall, J.B. Clark, I. Fischer and others. In the second half of the 20th century the theory of human capital was developed by G. Becker, M. Blaug, S. Bouls, F. Machlup, J. Mintser, O. Nordhoff, M. Fischer, T. Schultz and others;

Georgian scientists also have significant works concerning problems of human capital and innovative development: A. Abralava, M. Julakhidze, O. Shatberashvili, N. Paichadze, E. Julakhidze, E. Baratashvili, Ts. Lomaia, P. Basaria, R. Kutateladze, M. Toria and others.

As follows, various scientists engage in research on human capital theory development through the history. Thus, theoretical and historical analysis shows that the term is improving further.

Analysis of scientific and technical development process shows that human capital phase of growth and development is main and driving force for an innovative wave generation, the main factor for the development of economy and society.

Gradually, on the base of accumulated knowledge, education and science were advanced, highly qualified scientific and technical, intellectual elite was created, by whose governance, state developed.

The second chapter - "Human Capital and innovative processes in the global economic relations system " – chapter analyzes global competitiveness, innovations, human knowledge and development indexes and Georgian reality, globalization influence on the human capital transformation, human capital and innovation development in the globalization era.

In The modern reality and with consideration of Georgia's peculiarity, it is feasible to use order theory's approved conceptual approaches in order to form the country's adaptive-transformational model of socioeconomic development. In particular, an economic development concept which is based on the ordoliberal order theory, according to which economic problems research and tackles entire creative cycle must be served to the specific purpose and should be based on three basic principles: **personal freedom, social justice and economic capacity**. These three basic principles are the basis of democratic progress and social balance, and smart uses of the global-innovative trends are the basis for their realization.

Countries success and ratings are determined by international indexes. The index is specially designed quantitative indicator, which designates the indicator's combination and at the same time it is resource to verify and justify identified hypothesis. Through the index, it is determined observable unit's condition.

Researchers and research centers create global indexes, in order to compare countries quality of economic development, competitiveness level, the human development situation, development of innovative capability and more.

This section presents the analysis of macroeconomic indicators and the situation within international indexes.

The third chapter - "Human Capital and prospective view of the innovative processes management system in Georgia" – explains the fast development strategy of human capital and innovations, also the adaptive-transformational model of human capital and innovation process management.

In this chapter, we have presented the new global challenges and analysis of reality, how Georgia meets it, and within which policy and strategy it should cope with them.

While forming human capital and innovation adaptive-transformational model directions, we took into consideration the experience of developed countries. The model described as: human capital, investments in human capital and in innovations, state innovation policy, management system, innovations, scientific and technological progress, science, research and business links and the growth of economic competitiveness. In our opinion, the main resource for innovative development of the economy and important factor is the competitive human capital. With the realization of the strategy, it is possible to improve the country's economic competitiveness and the quality of life of the population.

შინაარსი

ტიტულის გვერდი	i
ხელმოწერების გვერდი	ii
საავტორო უფლების გვერდი	iii
რეზიუმე ქართულ ენაზე)	iv
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	vii
შინაარსი	vii
ცხრილების ნუსხა	x
ნახაზების ნუსხა	xi
შესავალი	12
ლიტერატურის მიმოხილვა	18
შედეგები და მათი განსჯა	28
თავი I. ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების თეორიული არსი გლობალიზაციის პირობებში	29
1.1 ადამიანური კაპიტალის თეორიულ –კონცეპტუალური ანალიზი	29
1.2. ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია, როგორც ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის შედეგი	42
თავი II. ადამიანური კაპიტალი და ინოვაციური პროცესები გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში	50
2.1 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საქართველოს რეალობა	50
2.2 გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციაზე	70
2.3 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების განვითარების პრობლემები გლობალიზაციის ეპოქაში	84
თავი III. საქართველოში ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის სისტემის პერსპექტიული ხედვა	98
3.1 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების განვითარების სწრაფი გარღვევის სტრატეგია	98
3.2 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის ადაპტურ–ტრანსფორმაციული მოდელი	109
დასკვნა	130
გამოყენებული ლიტერატურა	135

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1.1.....	30
ცხრილი 2.1.....	58
ცხრილი 2.2.....	79
ცხრილი 2.3.....	81
ცხრილი 3.1.....	102
ცხრილი 3.2.....	116
ცხრილი 3.3.....	128

ნახაზების წესხა

სურ. 2.1.....	52
სურ. 2.2.....	59
სურ. 2.3.....	64
სურ. 2.4.....	65
სურ. 2.5.....	68
სურ. 2.7.....	68
სურ. 2.8.....	81
სურ. 2.9.....	82
ნახ. 2.10.....	96
სურ. 3.2.....	102
სურ. 3.3.....	108
სურ. 3. 4.....	114

შესავალი

თემის აქტუალურობა. სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფაქტორის შესწავლას.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის გზით ეკონომიკური ზრდა, ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია შემდეგ სტრატეგიულ დოკუმენტებში და პროგრამებში:

- „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ (2013წ.)
- რეგიონალური განვითარების სტრატეგია (2010წ.)
- საქართველოს საინოვაციო კონცეფცია (2012წ.)
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005)
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2007)
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004წ.)
- საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ (2015წ.)
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (2014წ.)

მათი განხილვის შედეგად გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდა-განვითარების შემდეგი პრიორიტეტები: დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობა, ამ მიმართულებით შესაბამისი ადამიანური კაპიტალის ფორმირება, დაგროვება, გამოყენება, ცოდნის მართვა და ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერება.

„საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად,

განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.¹

დღეს ეკონომიკის წარმატებული მოდერნიზაცია მიიღწევა კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის მეშვეობით, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. შემთხვევითი არაა, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისში ბევრი ქვეყანა გადადის „ცოდნის ეკონომიკაზე“, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ კაპიტალს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე და კონკურენტუნარიანობაზე. ამის დასტურია ინოვაციური ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა.

ბაზრის გლობალიზაცია და ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსნაციონალიზაცია ამძაფრებს კონკურენტუნარიანობას ქვეყნებსა და მსხვილ კორპორაციებს შორის, ხელს უწყობს ახალი ინსტრუმენტებისა და მეთოდების წარმოშობას. სწორედ ადამიანური კაპიტალის საშუალებითაა შესაძლებელი ინოვაციების განხორციელება, ეკონომიკის ადაპტირება გლობალიზაციის პირობებთან, ეკონომიკის განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

¹ <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>, გვ. 3, უკანასკნელად შემოწმებულია 15.05.2016

2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ აუცილებელი გახდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია. ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების სტრატეგიები და ამოცანები ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამა-სტრატეგიებით დაგეგმილ ფორსირებულ განვითარებას 2020 წლამდე.

მათი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან, რაც ქვეყნის ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მთავარი რესურსია.

საქართველოს განათლების განვითარების 2014-2020 წლების სახელმწიფო პროგრამის თანახმად, განათლების სფერო მიმართული უნდა იყოს ინოვაციური ეკონომიკის მხარდასაჭერად, განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა ექცეოდეს განათლების ხარისხს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მკვლევარები აღნიშნავენ ეკონომიკის, ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის, კონკურენტუნარიანობისა და ადამიანური კაპიტალის ურთიერთდამოკიდებულების მაღალ დონეს. თუმცა, საკმარისად შესწავლილი არ არის ადამიანური კაპიტალის ურთიერთკავშირი და მისი გავლენის დონე ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე, რომელიც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი, საკვანძო ფაქტორია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს ადამიანური კაპიტალის შინაარსი აღნიშნულთან მიმართებაში, მისი შეფასების მეთოდოლოგია, მისი მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი და შემუშავდეს განვითარების სტრატეგიული ხედვა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური პროცესებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძვლის მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის მიზანმა განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ადამიანური კაპიტალის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის განხილვა, მის შესახებ არსებული მეცნიერულ-კონცეპტუალური წარმოდგენების ანალიზი და სისტემატიზაცია;
- თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ადამიანური კაპიტალის არსის, მისი სტრუქტურული შინაარსის, ფორმირებისა და განვითარების ფაქტორების გამოვლენა;
- საქართველოს ადამიანური კაპიტალის და ინოვაციური განვითარების მდგომარეობის ანალიზი;
- საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საერთაშორისო რეიტინგებში კონკურენტუნარიანობის, ადამიანური განვითარების, ინოვაციების და ცოდნის ინდექსების მეშვეობით;
- ადამიანური კაპიტალის სტრუქტურული ელემენტების და მათში ინვესტიციების დინამიკის შესწავლა;
- ინოვაციური განვითარების ნაკლოვანებებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის ფორმირება;
- საავტორო წინადადებების შემუშავება საქართველოს ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების და ცოდნის მართვის მიმართულებით, რაც ორიენტირებული იქნება ინოვაციური პროცესების აქტივაციაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

კვლევის ობიექტი და საგანი. სადისერტაციო კვლევის ობიექტს

წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი ინოვაციური აქტივიზაციის ასპექტში.

კვლევის საგანს წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების და ცოდნის მართვის პროცესები ქვეყნის ინოვაციური განვითარების, ეკონომიკური ზრდის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტში, აგრეთვე ის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც გავლენას

ახდენენ ადამიანური კაპიტალის ზრდაზე, ფორმირებაზე, დაგროვებასა და შეფასებაზე, რაც ორიენტირებულია ინოვაციური პროცესების აქტივაციაზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევა ეყრდნობა ფაქტორებისა და მოვლენების ანალიზისადმი სისტემურ, კომპლექსურ და კრიტიკულ მიდგომას. მუშაობის პროცესში ფართოდ იყო გამოყენებული სინთეზისა და შედარების, ინდუქციისა და დედუქციის, დაჯგუფების მეთოდები, ასევე, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, ფაქტორული, ზოგადი ეკონომიკური ანალიზის, წრფივი რეგრესიისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლე. დასმული პრობლემის ანალიზისა და კვლევის შედეგად მიღებულ **სიახლედ ზოგადად უნდა განვიხილოთ** ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციისა და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის ურთიერთდამოკიდებულება – ურთიერთგანსაზღვრულობის შინაგანი კანონზომიერებების თავისებურებათა დადგენა და მისგან გამომდინარე შედეგები, რაც **კონკრეტულად მდგომარეობს შემდეგში:**

- მოცემულია რა ინდივიდუალური, კორპორატიული და ეროვნული კაპიტალის თეორიული შინაარსი და პრაქტიკული მნიშვნელობა, ფორმირების, დაგროვებისა და გამოყენების შემადგენელი ელემენტების თავისებურებები ამავდროულად სიღრმისეულად იქნა შესწავლილი ინოვაციური განვითარების ცალკეულ ფაზებთან და ეტაპებთან მისი კავშირის სისტემა და ნაჩვენებია მისი სოციალ-ეკონომიკური ფენომენი, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონტექსტში;
- შემოთავაზებულია ადამიანური კაპიტალის, როგორც „ცოდნის ეკონომიკის“ უმთავრესი ფაქტორის აუცილებელ პრიორიტეტად დასახვის აუცილებლობა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზების ამოცანა, რომელიც მოიცავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ გადაიარაღებას,

მაღალტექნოლოგიურ საფუძველზე, პროგრამების უნიფიკაციას მაღალგანვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პროგრამებთან და ცოდნის გენერირება-გადაცემა-რეგენერირება მექანიზმის ეფექტიან ამოქმედებას.

- სისტემურადაა გაანალიზებული საქართველოში ადამიანური კაპიტალის სფეროში არსებული სინამდვილე 2010-2014 წლებში. გაკეთებულია ავტორისეული შეფასება მეცნიერულ კვლევებსა და ინოვაციურ სფეროში ინვესტიციების განხორციელების დინამიკასთან და მთლიანი შიდა პროდუქტზე მის გავლენასთან დაკავშირებით;
- შემოთავაზებულია ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელი, რომელიც მოიცავს სისტემური, პროცესული და სიტუაციური ოპერირების მიდგომების გამოყენების რაციონალურ სქემებს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას. ამასთან, შესაძლებელია მისი პრაქტიკული გამოყენება როგორც სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის, ისე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ჭრილში.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ნაწილის, დასკვნის, 79 დასახელების გამოყენებული წყაროებისა და დანართებისაგან. დისერტაციის ძირითადი ტექსტი მოიცავს 140 გვერდს, შეიცავს 7 ცხრილს, 12 ნახაზს და 15 დანართს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ადამიანური კაპიტალი როგორც კვლევის ობიექტი განიხილებოდა ეკონომიკური თეორიის, მენეჯმენტის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის სხვადასხვა ასპექტში. ადამიანური კაპიტალის კონცეფციის თეორიული მოსაზრებები დაამუშავეს ა. მარშალმა, ჯ.ბ. კლარკმა, ი. ფიშერმა და სხვებმა. მე-XX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანური კაპიტალის თეორია განავითარეს გ. ბექერმა, მ. ბლაუგმა, ს. ბოულსმა, ფ. მახლუპმა, ჯ. მინცერმა, ო. ნორდჰოლმმა, მ. ფიშერმა, ტ. შულცმა და სხვებმა; საინტერესოა ადამიანური პოტენციალის კვლევები, რომლებიც ეფუძნება ნეოკლასიკური თეორიის სინთეზს და სხვა მიმართულებებს (ინსტიტუციონალიზმი, ეკონომიკური იმპერიალიზმი), რომელთა წარმომადგენლები არიან ვ.ს. გოილო, ა.ი. დობრინინი, ი.ვ. ილინსკი, მ.მ. კრიტსკი, ს.ლ. კურგანსკი, ლ.გ. სემკინა, ტ.ლ. სუდოვა, ე.დ. ცირენოვა და სხვ.

ადამიანური კაპიტალის თეორიის სხვადასხვა ასპექტების თანამედროვე შეხედულებები განხილულია ქართველი მეცნიერ-მკვლევარების - მ. ჯულაყიძის, ე. ჯულაყიძის, ნ. ბასარიას, მ. თორიას, ა. აბრალავას, ე.ბარათაშვილის, ც.ლომაიას, ო.შატბერაშვილის და სხვათა ნაშრომებშიც.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ადამიანური კაპიტალის ანალიზთან ერთად ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ინოვაციური განვითარება და, შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კონკურენციის, მაკროეკონომიკის, საერთაშორისო და ინოვაციური ეკონომიკის კვლევების თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საზღვარგარეთელი ავტორების ნაშრომები, მათ შორის არიან მ. ბლაუგი, ლ. ვალრასი, ჯ.მ. კეინსი, ა. მარშალი, ჯ.ს. მილლი, მ. პორტერი, ვ. პარეტო, ჯ. რობინსონი, ს. ფიშერი, მ. ფრიდმენი, ი. შუმპეტერი, ს. კუზნეცი, ი.მ. ალიბეგოვი, ს.ვ. ბრაგინსკი, ა. გოროდეცკი, რ.გ. ემცოვი, ა.პ. კირეევი, ვ.მ. კოლონტაი, ე.ლ. ლეონტიევი, ა.ი. ლივშიცა, ვ.პ. ორეშინა, ვ.ვ. პერსკაია, ვ.ი. პრესნიაკოვი, კ.ა.სემიონოვი, ი.პ.ფამინსკი, ვ.ი.ფომიჩევი, რ.ი.

ხასბულატოვი, რ.ა.ფატხუტდინოვი, ს.აგარკოვი, ე.კუზნეცოვა, მ. გრიაზნოვა. მათ ნაშრომებში განხილულია ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი კატეგორიები, საინოვაციო საწარმოების მართვის მიმართულებები, საინოვაციო პროექტების რისკების მართვა, და ა.შ.

საინტერესოა, აგრეთვე, გამოკვლევები, რომლებიც ეკუთვნით ქართველ მეცნიერებს – ა.აბრალავას, ო.შატბერაშვილს, ლ.ჩიქავას, ე. ბარათაშვილს თანაავტორებთან ერთად (ვ.დათაშვილი, გ.ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე), ლ.ქოქიაური, შ.ჭალაგანიძეს, ლ. გვაჯაიას, ა. სამადაშვილს და სხვებს.

მიუხედავად იმ მეცნიერული ნაშრომების სიმრავლისა, რომლებიც აშუქებენ, ერთის მხრივ ადამიანური კაპიტალის პრობლემებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინოვაციური ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის საკითხებს, ვფიქრობ მაინც საკმარისად არ არის შესწავლილი ადამიანური კაპიტალი, როგორც ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის პირობა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამალგების ფაქტორი.

ნაშრომზე მუშაობისას დამუშავებულ იქნა როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები - ფუნდამენტური ნაშრომები და პუბლიკაციები.

მათგან განსაკუთრებით გვინდა შევაჩეროთ შემდეგზე:

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 612.

მონოგრაფია ეხება საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელ გლობალურ ინოვაციურ პროცესს, ეკონომიკასა და ბიზნესში მის როლს, მნიშვნელობას, თავისებურებებსა და თანმდევ წინააღმდეგობებს, საერთაშორისო რეგიონულ და რეგიონთაშორის ურთიერთობებს, ეროვნულ ეკონომიკათა ინტერესებსა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-კონცეპტუალური და გამოყენებითი ხასიათის საკითხებს.

წიგნი შედგება ოთხი თავისაგან, რომელთაგან თითოეული დაყოფილია პარაგრაფებად.

პირველი თავი – „ეკონომიკური პროგრესის ინოვაციური ფაქტორი“ – განიხილავს ისეთ საკითხებს როგორცაა: ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირება; ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრანსფორმაცია ინოვაციურ სფეროში: თეორიულ-კონცეპტუალური მიდგომა; ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში; ინოვაცია – გლობალიზაციის მთავარი პოზიტივი; კრიზისი – ინოვაციების შემაფერხებელი და სტიმულატორი; ტექნოგენური საფრთხე: პროგნოზები და რეალობა; ტექნოლოგიური განვითარება: სიახლეები და საფრთხეები.

მონოგრაფიის მეორე თავში – „ეკონომიკური განვითარების გლობალური ტენდენციები“ – საუბარია თანამედროვე ცივილიზაციის აქტუალურ გამოწვევებზე, გლობალიზაციასა და თანამედროვე გლობალურ კრიზისზე, ეროვნული ეკონომიკის მართვაზე გლობალიზაციის ეპოქაში, გლობალიზაციასა და გლობალური კრიზისის გაკვეთილებზე და ეკონომიკური კრიზისის მიზეზებსა და განვითარების ფაქტორებზე.

ნაშრომის მესამე თავში – „ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური განზომილება“ – გადმოცემულია თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი თავისებურებანი, ეკონომიკური ტრანსფორმაცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ქართული სახელმწიფოს პერსპექტივა, რეგიონულ ეკონომიკური თანამშრომლობა და კონკურენცია. აქვე ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი „კრიზისის დაძლევის ისტორიული გაკვეთილი: ლუდვიგ ერჰარდი და „გერმანული სასწაული“.

მეოთხე თავი მთლიანად ეძღვნება კომპანიების საინოვაციო საქმიანობის მართვას გლობალიზაციის პირობებში. აქ საუბარია ინოვაციების გავლენაზე ბიზნესსა და სოციალურ ეკონომიკაზე, გლობალურ ბიზნესსა და ინოვაციების მართვასა და მათთან დაკავშირებულ მნიშველობან საკითხებზე.

2. ა. აბრალავა, ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბილისი, 2012. მონოგრაფია 200 გვერდიანია. იგი ეხება საზოგადოებრივ-

ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელ გლობალურ ინოვაციურ პროცესს, მის თავისებურებებსა და მასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს, საერთაშორისო რეგიონულ და რეგიონთაშორის ურთიერთობებს, ეროვნულ ეკონომიკათა ინტერესებსა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-კონცეპტუალური და გამოყენებითი ხასიათის საკითხებს.

მონოგრაფიაში განხილულია შემდეგი თემები:

1. ეკონომიკური პროგრესის ინოვაციური ფაქტორი;
2. ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში;
3. ინოვაცია-გლობალიზაციის მთავარი პოზიტივი;
4. ეკონომიკური განვითარების გლობალური ტენდენციები;
5. გლობალიზაცია და თანამედროვე გლობალური კრიზისი;
6. ეროვნული ეკონომიკის მართვა გლობალიზაციის ეპოქაში;
7. ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური განზომილება და ა.შ.

3. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 1998 - ეს წიგნი სამაგიდო წიგნად ითვლება, მასში დაწვრილებითაა გაანალიზებული თითქმის ყველა ის საკითხი რაც ეკონომიკას ეხება. პირველი ნაწილი შედგება სამი თავისაგან, რომელშიც განხილულია ეკონომიკის ათი პრინციპი, ეკონომიკური აზროვნება, ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობის მომგებიანობა. მეორე ნაწილში გაანალიზებულია მიწოდება და მოთხოვნა 1: როგორ მუშაობს ბაზარი, მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები, ელასტიურობა და მისი გამოყენება, მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა, მესამე ნაწილი კი დათმობილი აქვს მიწოდება და მოთხოვნა II-ს: ბაზრები და კეთილდღეობას, მომხმარებლებს, მწარმოებლებს და ბაზრების ეფექტიანობას, მეოთხე ნაწილში საუბარია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესახებ, მეხუთე ნაწილი დათმობილი აქვს ფირმის ქცევასა და დარგის ორგანიზებას, რომელშიც განხილულია წარმოების დანახარჯები, ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე, მონოპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლისტური კონკურენცია. მეექვსე ნაწილი მოიცავს საკითხებს შრომის ბაზრების ეკონომიკაზე, წარმოების ფაქტორთა ბაზრებზე, შემოსავლების განა-

წილებაზე. შემდგომ ნაწილებში მეცამეტეს ჩათვლით განხილულია საკითხები: ეკონომიკის შეცვლის შემდგომი ეტაპი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რეალური ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში, ფული და ფასები გრძელვადიან პერიოდში, ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა, მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები და შემაჯამებელი ფიქრები.

4. ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2010. ნაშრომში განხილულია საქართველოს რეგიონული ეკონომიკის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქართველოს რეგიონების ბუნებრივ რესურსული პოტენ-ციალის მიმოხილვაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვაზე, რეგიონების ტიპოლოგია-კლასიფიკაციაზე და მათი გამოთანაბრების ასპექტების განხილვაზე, რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირებაზე. ჩამოყალიბებულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები, რეგიონული ინტერესების რეგულირების მექანიზმები, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პერსპექტივები, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ინოვაციური პოლიტიკის რეგიონული ასპექტები და რეგიონული ეკონომიკის სხვა აქტუალური პრობლემები.

5. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2009. ნაშრომში განმარტებულია რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კვლევის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში და მისი კომპლექსური შესწავლის მეთოდოლოგია, დახასიათებულია რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი; ეკონომიკური ზრდა, როგორც რეგიონული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი, ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული ასპექტები, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების ძირითადი მახასიათებლები. მოცემულია რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი კომპლექსური შეფასების საფუძვლები, რეგიონული პოლიტიკის მაკროეკონომიკური პროგნოზი, გაშუქებულია რეგიონული მენეჯ-

მენტისა და მარკეტინგის საკითხები და რეგიონული ეკონომიკის სხვა აქტუალური პრობლემები.

6. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., გრძელიშვილი ნ., მამალაძე ი., სენიაშვილი დ., ჩახვაშვილი დ., ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, თბ. 2012. I-II წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკური პროცესების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმები, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ფუნქციონირება, საბაზრო ურთიერთობები და საკუთრება, მეწარმეობა და მისი სახელმწიფო რეგულირების საფუძვლები, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, სახელმწიფოს სტრუქტურული პოლიტიკა, ეკონომიკის მყარი განვითარების მართვა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა, ქვეყნის ეკონომიკის საბიუჯეტო რეგულირება, ეკონომიკის საკადრო რესურსები და დასაქმება, საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სხვა.

7. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ. 2009. – სახელმძღვანელოში მოცემულია საინოვაციო მენეჯმენტის არსი და ეკონომიკური შინაარსი, საინოვაციო მენეჯმენტთან დაკავშირებული ცნებები - „ინოვაცია“, „ინოვაციური პოტენციალი“, ინოვაციური პროცესები, „ინოვაციური საქმიანობა“ და სხვათა არსი და მნიშვნელობა. განხილულია ინოვაციების სტრატეგიული მართვის, ინოვაციური პროცესების დაგეგმვის, ფინანსირების საკითხები. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად ინოვაციების რეალიზაციის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების განხილვას, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საკითხებს, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებას, მის ძირითად მიზნებსა და პრიორიტეტებს, ინოვაციების რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების ფინანსური მექანიზმის შემუშავებას, საწარმოს საინოვაციო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის საკითხებს.

8. ე. ბარათაშვილი, ბ. გეჩბაია, ვლ. ლლონტი, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2012, გვ. 208.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ძირითადი პრობლემები, შემუშავებულია კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, თანამედროვე გამოწვევების ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემო და კონკურენტუნარიანობაზე მისი ზემოქმედების მექანიზმები, გაანალიზებულია საქართველოს კონკურენტუნარიანობა და საგარეო ვაჭრობაში, ეკონომიკური ანალიზის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გლობალური კონკურენტუნარიანობის პრობლემებზე და სხვა. გამოკვლევები და შედარებითი ანალიზი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს.

მონოგრაფია შედგება ხუთი თავისა და ქვეთავებისაგან.

პირველი თავი – „კონკურენტუნარიანობა: კონცეფცია, შეფასება და ანალიზი – მოიცავს საკითხებს, რომლებიც ძირითადად კონკურენტუნარიანობას ეხება. ესენია: კონკურენტუნარიანობის არსი, შეფასება, მისი ანალიზი მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის IMD-ს მიხედვით, კონკურენტუნარიანობის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)-ის მიხედვით, საქართველოს კონკურენტუნარიანობა: პრობლემის დასმა და მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი.

მეორე თავში – „გარემო საქართველოში: პრობლემები და ზემოქმედება კონკურენტუნარიანობაზე“ – საუბარია ინსტიტუციონალურ სფეროსა და მის მახასიათებლებზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ინსტიტუტების როლზე ეკონომიკის ტრანსფორმაციაში, საბაზრო რეფორმებისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის “doing business” მართვის რეიტინგსა და მის კავშირზე კონკურენტუნარიანობასთან.

მესამე თავი მიძღვნილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, საქართველოს კონკურენტუნარიანობის შე-

ფასებაზე ვაჭრობაში, ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები, ვაჭრობის ფუნქციონირების ინდექსზე.

მეოთხე და მეხუთე თავი ეძღვნება გლობალურ კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ კრიზისს შორის ურთიერთკავშირს, გლობალურ კონკურენციას და ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამღლებასა და რეგიონულ სამეწარმეო პოლიტიკას და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

9. ე. ბარათაშვილი, ნ. ბაკაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ბ. გეჩბაია, დ. მესხიშვილი, თანამედროვე ბიზნეს-სტრატეგიები, თბილისი, 2011 (სახელმძღვანელო), გვ. 248.

სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც დღეისათვის დიდი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. იგი მოიცავს ათ თავს. მასში თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: გლობალიზაცია და ბიზნესი, ბიზნესის სტრატეგიის არსი და მისი სახეები, კონკურენტული ქცევის სტრატეგიული დეტერმინანტები, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები, სტრატეგიის შემადგენელი ელემენტები და დიაგნოსტიკური ეტაპები, ორგანიზაციის განვითარების მიმართულების არჩევა სტრატეგიებზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

10. ლამარა ქოქიაური, ნინო ქოქიაური. ინოვაციები. ინოვაციური მენეჯმენტი.თბ.: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2015. გვ.625. შემოთავაზებულ შრომაში გაშუქებულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმების, პრობლემებისა და საკითხების მთელი სპექტრი, მათ შორის, განხილულია ინოვაციების და ინოვაციური საქმიანობის, ინოვაციური პროცესის განვითარების არსი და ტენდენციები უკანასკნელ ასწლეულში; თანმიმდევრულადაა აღწერილი ინოვაციური განვითარების ციკლური ბუნება; დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ინტელექტუალური კაპიტალის, რო-გორც ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორს, აგრეთვე ორგანიზაციის

ინტელექტუალურ-ინოვაციური საქმიანობის ძირითად საკი-თხებს; სათანადო თანმიმდევრობითაა განხილული სახელმწიფო ინოვაცი-ური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმი, მისი პრიორიტეტული მიმართულე-ბები; განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდოლოგიას, ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების დინამიკას, ინოვაცი-ური მენეჯმენტის ორგანიზაციის განვითარებას მაკრო, მეზო და მაკროეკონომიკურ დონეებზე; ინტერესს იწვევს ინოვაციების სტრატეგი-ული როლის, ახალი საქონლის იდეის გენერირების, ახალი საქონლის კონ-ცეფციის შემუშავების პროცესები; ცალკე თავი აქვს დათმობილი ინოვაცი-ური პროექტების შემუშავებას, დაგეგმვის ორგანიზაციასა და მეთოდოლო-გიას, ასევე, არანაკლებრთული და მნიშვნელოვანი საკითხების მთელ კომპლექსს.

11. С.А. Агарков, Е.С. Кузнецова, М.О. Грязнова. «Инновационный менеджмент и государственная инновационная политика». Москва, 157 2011. ს. აგარკოვის, ე. კუზნეცოვასა და მ. გრიაზნოვას ნაშრომში განხილულია ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი კატეგორიები, საინოვაციო საწარმოების მართვის მიმართულებები, საინოვაციო პროექტების რისკების მართვა. გამოკვეთილადაა აღწერილი ქვეყნის სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა და მისი განვითარების თავისებურებები. დახასიათებულია საინოვაციო საწარმოები, მათი დაფინანსება და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვისა და გამოყენების საკითხები. გამორჩეულადაა საინოვაციო საქმიანობის მენეჯერთა საქმიანობა, განსაკუთრებით სამეცნიერო საქმიანობის მართვაზე ხელშეწყობის გათვალისწინებით.

12. Р.А. Фатхутдинов. «Инновационный менеджмент», «Питер», М., 2003 რ. ფატხუტდინოვის ნაშრომი „ინოვაციური მენეჯმენტი“ შედგება 10 თავისგან: ინოვაციური მენეჯმენტის კონცეფცია, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები, ინოვაციური მენეჯმენტის მეცნიერული საფუძვლები, რისკების მართვა, ინოვაციური საქმიანობის კომპლექსურ-სისტემური უზრუნველყოფა, ინოვაციების და ინოვაციების პორტფელის ფორმირება,

ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევების ორგანიზება და დაპროექტება, ინოვაციების წარმოების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური საფუძვლების მომზადება, ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზი.

ნაშრომში გამოკვეთილია ინოვაციური მენეჯმენტის კონცეფცია, ეკონომიკის, გამნათლების და მეცნიერების განვითარების ტენდენციები, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების და მხარდაჭერის სტრატეგიები განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. სრულად არის გაანალიზებული ინოვაციების ციკლი.

13. Кушнир И.В. «Инновационный менеджмент», Институт экономики и права, М. 2009.ი. კუშნირის ნაშრომში გაანალიზებულია ინოვაციური განვითარების შუმპეტერისა და კონდრატიევის თეორიები, ინოვაციების კლასიფიკაცია, საინოვაციო პროცესის სტრუქტურა, საინოვაციო პროექტების ორგანიზების ფორმები, ორგანიზაციათა ინოვაციური პოტენციალი, ფირმების ინოვაციური სტრატეგია, საინოვაციო საქმიანობის დაფინანსება, ინოვაციების ეკონომიკური ეფექტიანობა.

შედეგები და მათი განსჯა

ნაშრომში სიღრმისეულად არის შესწავლილი ის თეორიული დებულებები, რომლებიც ხსნიან ადამიანური კაპიტალის ცნებას როგორც სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას, მის სტრუქტურულ შინაარსს, ფორმირებისა და განვითარების ფაქტორებს;

ახსნილია ინდივიდუალური, კორპორატიული და ეროვნული ადამიანური კაპიტალის ცნება, მისი ფორმირების, დაგროვებისა და გამოყენების შემადგენელი ელემენტები;

განალიზებულია ადამიანური კაპიტალის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების დინამიკა 2010-2014 წლებში, ინოვაციური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე კონკურენტუნარიანობის, გლობალური ინოვაციური განვითარების და ადამიანის განვითარების საერთაშორისო რეიტინგებში;

ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში და თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში;

ადამიანური კაპიტალის გავლენა ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე და ეკონომიკური განვითარების დონეზე;

საქართველოს ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები;

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მოდელი მისი რეალიზაციის მექანიზმის აღწერით, მსოფლიო ინოვაციური გამოცდილების კონტექსტში.

თავი I. ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების თეორიული არსი გლობალიზაციის პირობებში

1.1 ადამიანური კაპიტალის თეორიულ –კონცეპტუალური ანალიზი

ადამიანური კაპიტალის ცნება და მისი თეორიები წარმოიშვა XX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იყო მეცნიერების პასუხი დროის გამოძახილზე, პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული და ინოვაციური ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებაზე. ცოდნის და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებამ ცხადყო ინტელექტუალური შრომისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების - ცოდნის ადამიანების როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკის, კონკურენტუნარიანობის ზრდაში და ამაღლებაში. მე-XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI-ე საუკუნის დამახასიათებელი პროცესებია ადამიანური კაპიტალით როგორც ფიზიკური, ისე ბუნებრივი კაპიტალის ჩანაცვლება და ინვესტიციების შესაბამისი დივერსიფიკაცია. ამის შედეგად ადამიანური კაპიტალის წილი ეროვნულ სიმდიდრეში განვითარებული ქვეყნების (მაგალითად: ბელგია, ფინეთი, ამერიკა, სინგაპური, შვეიცარია, იაპონია, ისლანდია და სხვა) ეროვნული სიმდიდრის 70-90% შეადგენს.

ადამიანური კაპიტალის იდეას საფუძველი ჩაუყარეს უ. პეტიმ, ფ. კენემ, ა.სმიტმა, ჟ.ბ. სეიმ, ჯ.ს. მილემ, დ. რიკარდომ, კ. მარქსმა, ა. მარშალმა, ე. ბემ-ბავერკმა, კ. ვიკსელმა, ჯ.ბ.კლარკმა და სხვა მრავალმა ეკონომისტმა, სოციოლოგმა და ისტორიკოსმა. ქვემოთ ცხრილში, მოცემულია ადამიანური კაპიტალის თეორიის ჩამოყალიბების და განვითარების პერიოდები.

ჩვენ განვიხილეთ წამყვანი მეცნიერების ფუნდამენტურ შრომებში ასახული დასკვნები ადამიანური კაპიტალის თეორიის და ძირითადი შინაარსის შესახებ. დიდი ხნის მანძილზე ადამიანური კაპიტალი ითვლებოდა ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით დანახარჯიან ფაქტორად. მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ინვესტიცია ალზრდასა და განათლებაში არანაყოფიერი და ხარჯიანია. XX საუკუნის მეორე ნახევარში შეხედულება ადა-

მიანური კაპიტალისა და განათლების მიმართ თანდათანობით რადიკალურად შეიცვალა.

ცხრილი 1.1.

„ადამიანური კაპიტალის თეორიის“ ფორმირების პერიოდები

ავტორი, პერიოდი	ადამიანური კაპიტალის მეცნიერული ხედვა
უ.პეტი 1690 წ.	... კაპიტალს შესაძლებელია ჰქონდეს არამატერიალური ფორმა. ამასთან, ეს „ცოცხალი მოქმედი ძალები“ პეტიმ დაახასიათა, როგორც „ქვეყნის სიმდიდრისა და მარაგის“ ელემენტი, რომელიც „ერთნაირად უნდა შეფასდეს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი გაჭირვების ლიკვიდაციაში“. ¹
ა.სმიტი 1776წ	ცოდნა და უნარ-ჩვევები არის კაპიტალი, რომელიც მუშაკის საკუთრებას წარმოადგენს. ²
ჟ.ბ.სეი 1896 წ.	კაპიტალის დაბანდება ნიშნავს „მარაგის მომზადებას, მომავალი თაობისათვის განათლებით , დამოუკიდებლობითა და ღირსებით უზრუნველყოფას“. სასარგებლო უნარები და შესაძლებლობები მის მიერ განიხილება, როგორც კაპიტალის არამატერიალური ფორმა, რომელიც ყალიბდება ყოველწლიური დაბანდების შედეგად და წარმოადგენს „მწარმოებლურ ჯამს“, რაც ეხმაურება სმიტისეულ „საწარმოს წარმოების საშუალებებს“. ³
ჯ.ს.მილი 1848 წ.	...იგი მწარმოებლურ შრომას ახასიათებს როგორც სიმდიდრის შემქმნელს. მისი აზრით, ქვეყნის სიმდიდრის კატეგორია უნდა შეიცავდეს „მუშათა ოსტატობას, ენერჯიასა და გამტანობას“ . ⁴
ლ. ვალრასი 1896 წ.	გამოყოფს პირად კაპიტალს და ადამიანს უწოდებს „ბუნებრივსა და მუდმივ კაპიტალს: ბუნებრივს იმიტომ, რომ იგი არ იწარმოება ხელოვნურად, მუდმივს კი იმიტომ, რომ ყოველი თაობა აღზრდის თავის მსგავსებს“. ⁵
კ. მარქსი 1867 წ.	სამუშაო დროის შენახვა, წარმოების უშუალო პროცესის თვალსაზრისით შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ძირითადი კაპიტალის წარმოება, ამასთან, მის ძირითად კაპიტალს წარმოადგენს ადამიანი . „კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შრომით ძალაში გარდაიქმნება, წარმოების პროცესში ცვლის თავის ღირებულებას. იგი კვლავ აწარმოებს თავის საკუთარ ეკვივალენტსა და დამატებით ღირებულებას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, იყოს მეტი ან ნაკლები“. ამრიგად, მარქსი მიიჩნევდა, რომ უფრო კვალიფიციური ნაშრომი განივთდება დროის სხვადასხვა მონაკვეთში უფრო მაღალი ღირებულებებით. ⁶
ა.მარშალი 1890-1891წწ.	ადამიანის ცოდნა წარმოადგენს წარმოების ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალას და, ამასთან, იგი ადამიანს აძლევს საშუალებას,

¹ Петти У. Экономические и статистические работы / I-II пер.; под ред. М. Смит. Предисл. Д. Розенберга. - М., 1940. - с.324

² Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. М.: Соцэкгиз, 1956: с. 490; с. 208, 235

³ ჟ. ბ. სეი, პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი, მოსკოვი, 1896

⁴ Милль Дж. С. Основы политической экономии: Т. 1 – М.: Прогресс, 1980 - С. 139.

⁵ Вальрас Л. Этюды прикладной политической экономии./ Etudes d'economie politique appliquee. - 1898. - С. 43

⁶ Маркс К., Энгельс Ф. Капитал// Соч. - 1867 - Т.23 - С. 56

	<p>დაიქვემდებაროს ბუნება, დაამტკიცოს, რომ არსებობს წარმოების მხოლოდ ორი ძირითადი ფაქტორი - ადამიანი და ბუნება. მისი აზრით, წარმოების კაპიტალი და ორგანიზაცია ადამიანის მუშაობის შედეგია. ა.მარშალი საინვესტიციო გადაწყვეტილების უმთავრეს მოთხოვნად განათლებას მიიჩნევს, რაზეც დამოკიდებულია შემოსავლები.</p> <p>ა.მარშალის ადამიანური კაპიტალის კონცეფციის მხარდაჭერისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი წინდახედულობა და განათლების მხარდის როლის განჭვრეტის შესაძლებლობა. მან მეცნიერებაში დანერგა ცნება „პერსონალური ან პირადი კაპიტალი“ და განიხილა იგი მატერიალურის ანალოგიურად, რადგან დანახარჯები განათლებაზე მატერიალური კაპიტალის ინვესტიციების მსგავსია. ა.მარშალი ცდილობდა რა ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკური შინაარსის ახსნას, წერდა: „კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილია ცოდნა და ორგანიზება, ამასთან, მისი ერთი ნაწილი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, მეორე კი არა. ცოდნა არის წარმოების ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალა. მისი საშუალებით შესაძლებელია ბუნების დაქვემდებარება და ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.¹</p>
<p>ს. ფიშერი 2002 წ.</p>	<p>ი. ფიშერის მიხედვით, ადამიანური კაპიტალი არის ადამიანში განსხეულებული უნარი, მიიღოს შემოსავალი, ანუ იგი მოიცავს დაბადებისთანავე მიღებულ უნარს და ტალანტს, ასევე, განათლებასა და შეძენილ კვალიფიკაციას.</p> <p>მისი აზრით, თუ კაპიტალი წარმოადგენს წარმოების ერთადერთ ფაქტორს, ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანური კაპიტალი გროვდება ისევე, როგორც ფიზიკური.²</p>
<p>ი. შუმპეტერი 1911 წ.</p>	<p>მას ეკუთვნის მეწარმეობის კონცეფციის ჩამოყალიბება. ი. შუმპეტერის ძირითად ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ მეწარმე განიხილება, როგორც განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. სწორედ მისი ორგანიზატორული უნარი, ინტუიცია, ფართო შესაძლებლობები და რისკის გაწევის უნარი აძლევს ეკონომიკას სრულყოფის სტიმულს. ი. შუმპეტერი კაპიტალის განხილვისას ხაზს უსვამს თეზისს ფასეულობის ერთიანი კაპიტალური ფონდის შესახებ. მის თეორიაში დროთაშორისი არჩევანისა და რესურსების დარგთაშორისი გადანაწილების ასპექტის ინტეგრირება ხდება ერთიანი მიდგომის ჩარჩოებში, რომელიც კაპიტალის ევოლუციური ტრანსფორმაციის ანალიზისათვის დადებით პერსპექტივებს ხსნის. ეს კი იწვევს კაპიტალის სტრუქტურის გართულებას მისი ახალი არამატერიალური ფორმების ხარჯზე.³</p>
<p>ს. კუზნეცი 1973 წ.</p>	<p>ს.კუზნეცმა პირველ ადგილზე დააყენა ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის სასტატო პოტენციალები. დაგროვილი ადამიანური კაპიტალის მაღალი დონე და ხარისხი აუცილებელია ინსტიტუციონალური რეფორმის დაჩქარებული განხორციელებისათვის, სახელმწიფოს ტრანსფორმაციის, წარმოების ტექნოლოგიური განახლებისა და ეკონომიკის საბაზრო გარდაქმნისათვის.⁴</p>
<p>ლ. თუროუ, ე. დოლანი,</p>	<p>არასრულყოფილი შრომა შესაძლებელია განსხვავდებოდეს სრულყოფილისაგან, რომელიც უფრო მეწარმეობლურია და ინვესტიციების</p>

¹ Маршал А. Принципы политической экономии / пер. с англ.; общ. ред. и вступление ст. С.М. Никитина. - М., 1983 -Т.1. - С.19.

² Фишер С., Дорнбуш Р., Шмаленки Р. Экономическая теория. - М: Юнити 2002.- с .864

³ Шумпетер И. Теория экономического развития. -М.: Прогресс, 2002. - С. 166.

⁴ Kuznets S. Population? Capital and Growth. - N.Y. Columbia University Press, 1973-567p

ჯ. ლინდსეი 1992 წ.	წყალობით ზრდის ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნარს. ასეთი გაუმჯობესება მოიცავს ადამიანურ კაპიტალს. ¹ ლ. თუროუ განსაზღვრავს ადამიანურ კაპიტალს როგორც საგნებისა და მომსახურების წარმოების საშუალებას. იგი ხაზს უსვამს ეკონომიკურ უნარს, რომელიც გავლენას ახდენს ნებისმიერი დაბანდების მწარმოებლურობაზე. ადამიანური კაპიტალის ევოლუციის კვლევას აგრძელებენ ლ. თუროუს თანამედროვენი – ე. დოლანი და ჯ. ლინდსეი, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განათლებით ან პრაქტიკული გამოცდილებით მიღებულ გონებრივ უნარს.
ტ. შულცი 1971 წ.	ადამიანურ კაპიტალს გააჩნია მწარმოებლური ხასიათის აუცილებელი ნიშნები, მას შეუძლია დაგროვება და კვლავწარმოება. ²
გ. ბექერი 1964 წ.	ადამიანური კაპიტალი არის ინდივიდის მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარი, საწარმოო საშუალებები და ცოდნა. ³
ა.ი.დობრინინი, ს.ა.დიატლოვი, ი. ე. დ. ცირენოვა 1999 წ.	ა.ი. დობრინინის, ს. ა. დიატლოვის, ე. დ. ცირენოვას აზრით, ადამიანური კაპიტალი არის ინვესტიციების შედეგად ჩამოყალიბებული და ადამიანის მიერ დაგროვილი ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, მოტივაციის ერთობლიობა , რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება საზოგადოებრივი კვლავწარმოების ამა თუ იმ სფეროში, ხელს უწყობს შრომის მაღალ მწარმოებლურობას და ამით გავლენას ახდენს ადამიანის შემოსავლების ზრდაზე. ⁴
ი.ა.კორჩაგინი 2011 წ.	ი.ა. კორჩაგინი განსაზღვრავს ადამიანის კაპიტალს, როგორც ინტენსიურ მწარმოებლურსა და სოციალურ ფაქტორს, რომელზეც არ ვრცელდება კლებადი უკუგების კანონი და შეუძლია ინვესტიციის განხორციელება ინტელექტუალურ საკუთრებაში, შრომის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, აღზრდაში, სწავლებაში, ცოდნაში, ინოვაციურსა და ინსტიტუციონალურ პოტენციალში, ეკონომიკის თავისუფლებაში, სამეწარმეო უნარსა და სამეწარმეო კლიმატში, მეცნიერებაში, კულტურასა და ხელოვნებაში, მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაში. ⁵

ადამიანური კაპიტალის კონცეფცია ჩამოყალიბდა ერთიან თეორიად, „ჩიკაგოს სკოლის“ წარმომადგენელთა - ტ.შულცისა და გ.ბექერის, ბ. ბეისბროდის, ჯ.მინცერის, ს.კუზნეცისა და სხვა მეცნიერების ფუნდამენტურ შრომებში.

ადამიანური კაპიტალის ცნების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებმაც გადააჭარბა ზრდის კლასიკურ ფაქტორებზე დაფუძნებულ

¹ Долан Э., Линдсей Дж. Рынок: микроэкономическая модель. - СПб., 1992. - 477 с.

² Shulz T. Investment in Human Capital. - N. Y.; London, 1971. - P. 26-28.

³ Becker Gary S. Human Capital: a theoretical and empirical analysis. - N.Y.: Columbia University Press, 1964.-P.52.

⁴ Добрынин А.И., Дятлов С.А., Цыренова Е.Д. Человеческий капитал в транзитивной экономике: формирование, оценка, эффективность использования. - СПб.: Наука, 1999.-309с.

⁵ Корчагин Ю.А. Человеческий капитал и процессы развития на макро и микроуровнях. - Воронеж. ЦИРЭ, 2011. - С.28.

მონაცემებს. განვითარებისა და ზრდის რეალური პროცესების ანალიზმა თანამედროვე პირობებში გამოიწვია ადამიანური კაპიტალის დამკვიდრება თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ძირითადი საწარმოო და სოციალური ფაქტორის სახით. ეკონომიკური კატეგორია „ადამიანური კაპიტალი“ თანდათანობით ჩამოყალიბდა, თუმცა პირველ ეტაპზე იგი შეზღუდული იყო ადამიანის ცოდნითა და შრომის უნარით.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კარდინალურად შეიცვალა მიდგომა განათლებისა და ადამიანური კაპიტალის მიმართ. ამერიკელმა ეკონომისტმა ედვარდ დენისონმა (ასევე წვლილი შეიტანეს რობერტ სოლოუმ, ჯონ კენდრიკმა და სხვ.) შეიმუშავა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების კლასიფიკაცია. მის მიერ შერჩეული 23 ფაქტორიდან 4 მიეკუთვნება შრომას, 4 - კაპიტალს, 1 - მიწას, 14 კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წვლილს ახასიათებს. თავისი მნიშვნელობით დენისონმა პირველ ადგილზე სამუშაო ძალის ხარისხი დააყენა. მისი აზრით, შრომის მწარმოებლურობა არსებითად განათლებაზეა დამოკიდებული.¹

ადამიანური კაპიტალის ფორმირების, დაგროვების და გამოყენების სამი დონე შეგვიძლია განვიხილოთ: ინდივიდუალური, კორპორატიული (ფირმის) და ეროვნული ადამიანური კაპიტალი.

ამავე დროს, საინტერესოა კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირების ფაქტორებისადმი მრავალდონიანი მიდგომა, კერძოდ ტ.ი.ილინსკაია² აღნიშნავს, რომ განვითარების თანამედროვე პირობებში ადამიანური კაპიტალის უმთავრეს თვისებას წარმოადგენს მისი **კონკურენტუნარიანობა**, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე და ეკონომიკის ზრდაზე. ავტორი გამოყოფს ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის შემდეგ დონეებს: **ნაწოდონე, მიკრო-**

¹ Денисон Э. Анализ экономического роста США с 1929 по 1969 (Accounting for United States Economic Growth, 1929-69; 1974), - 1974. - С.46

² Ильинская Т.И. Теоретические основы формирования и обеспечения конкурентоспособности человеческого капитала в экономических системах инновационного типа. - СПб, 2010. – с. 157

დონე და მაკროდონე, რომლებიც ქმნიან ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის მრავალდონიან კონუსს.¹

ნანოდონეზე ხდება ცალკეული **ინდივიდის** კონკურენტუნარიანობის შესწავლა, რომლის მაჩვენებლებია განათლების დონე, პროფესიული კვალიფიკაცია, ჯანმრთელობის დონე, ადამიანის კულტურა, მისი პიროვნული მახასიათებლები, ინფორმაციულ-კომუნიკაციურობა და სხვა.

მიკროდონეზე შეისწავლიან იმ **ორგანიზაციების** ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობას, რომელიც განისაზღვრება მისი კომპეტენციით, ანუ თვისებათა პარამეტრების ერთობლიობით, რომლითაც ხასიათდება ადამიანური კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა. კომპეტენციის ხარისხის პარამეტრები განისაზღვრება ცოდნით, უნარებით, მუშაკის პიროვნული თვისებებით, ინოვაციური და ინფორმაციული აქტიურობით და სხვა, რომლებსაც კომპანიის პერსონალი გამოიყენებს პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევის მიზნით. აღნიშნული დონე დაწვრილებით იყო განხილული ე.ო. მაკაროვას ნაშრომში².

მაკროდონეზე იქმნება **ეროვნული ადამიანური კაპიტალის** კონკურენტუნარიანობა, რომლის განვითარების მაჩვენებლებია ეროვნული ეკონომიკური სისტემის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და ფიზიკური განვითარების მდგომარეობა, დემოგრაფიული სიტუაცია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ **ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობა** შესაძლებელია მიღწეულ იქნას მის ყველა დონეზე დროული, სწორი ინვესტირების და მართვის შედეგად.

ტ. შულცს 1979 წელს და ჰ.ბექერს 1992 წელს მიენიჭათ ნობელის პრემიები, ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის და კონკურენტუნარიანობის ზრდის მენიშვნელოვანი ფაქტორის როლის განსაზღვრაში. მათ დანერგეს ადამიანური კაპიტალის ცნების განმარტება

¹ Ильинская Т.И. Теоретические основы формирования и обеспечения конкурентоспособности человеческого капитала в экономических системах инновационного типа. - СПб, 2010.- с.33

² Макарова Е.О. Человечески капитал как определяющий фактор повышения конкурентоспособности предприятия в современных условиях: автореф. к.э.н. - Чебоксары, 2008. - С. 12-14.

მსოფლიო საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ტ. შულცმა ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა ადამიანური კაპიტალი მწარმოებლურ ფაქტორად და სწორად გადმოსცა ადამიანური კაპიტალის ცნება, როგორც ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ფუნდამენტი.¹

ბექერმა ერთ-ერთმა პირველმა ადამიანური კაპიტალის ცნება **ორგანიზაციის** დონეზე გადაიტანა. მან გამიჯნა სპეციალური და ზოგადი ინვესტიციები ადამიანში, გამოყო სპეციალური სწავლების განსაკუთრებული მნიშვნელობა, მათ შორის ორგანიზაციებსა და ფირმებში სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღება.²

ბექერი თავის შრომებში მუშაკს განიხილავს, როგორც უბრალო შრომის ერთი ერთეულისა და მასში გაერთიანებული ადამიანური კაპიტალის მოცემული რაოდენობის კომბინაციას, ხოლო მისი შრომის ანაზღაურებას (შემოსავალს) - როგორც მისი უბრალო შრომის საბაზრო ფასისა და ადამიანში ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლის გაერთიანებას. ბექერისა და სხვა მკვლევარების შეფასებით მუშაკის ძირითად შემოსავალს სწორედ ადამიანური კაპიტალი განაპირობებს. მუშაკის შემოსავალი ადამიანურ კაპიტალზე პროცენტის მიღების ჩათვლით შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

$$\gamma = (W:P)(1+R)T + X + E$$

სადაც γ მუშაკის შემოსავალია; $(W:P)$ — მუშაკის მარტივი შრომის ფასი (ჯამური ინვესტიციები „უბრალო“ მუშაკებში, გაყოფილი „უბრალო“ მუშაკთა რაოდენობაზე); R — ადამიანურ კაპიტალში დაბანდების პროცენტი (შემოსავალი); T — მუშაკში კაპიტალის დაბანდების პერიოდი; X — მუშაკის შემოსავალი, რომელიც ითვალისწინებს მის თავისებურებებს (გონებრივს, ფიზიკურს), სამუშაო ადგილის პარამეტრებს (მახასიათებ-

¹ Shultz T. Human Capital in the International Encyclopedia of the Social Sciences. - N.Y., 1968. - Vol. 6. - P.12.

² Becker Gary S. Human Capital and the personal distribution of income: An Analytical Approach. - N.Y.: Columbia University Press, 1967. - 467p.

ლებს), შრომის ბაზარზე დაქირავების პირობებს; *E* — მუშაკის შეცდომებისა და გადახრების კოეფიციენტი.¹

მუშაკის ჯამური ინვესტიციები წარმოადგენენ ინვესტიციებს განათლებაში, სწავლებაში, უსაფრთხოებაში, ჯანმრთელობაში, მიგრაციაში და სხვა.

ადამიანური კაპიტალის შესაფასებლად ი.ფიშერმა გამოიყენა დისკონტირების სტანდარტული მეთოდი.² ადამიანური კაპიტალის განხილვაში მისი შეფასებისათვის გამოიყენება ინვესტიციები მოქმედ მუშაკებში და მისი უკუგება. ფართო აზრით, ადამიანურ კაპიტალში გაერთიანებულია მეცნიერება, ინოვაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინსტიტუციური და საორგანიზაციო პოტენციალი, სოციალური სფერო, უსაფრთხოება, ინფორმაციული უზრუნველყოფა, მაკროდონეზე - ელიტის ფორმირება. ადამიანური კაპიტალის შემადგენლობიდან ვერც ერთს ვერ გამოვრიცხავთ, ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგალითად, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი ინტელექტუალური შრომის უსაფრთხოება, ადამიანური კაპიტალის ვერც სხვა კომპონენტი „იმუშავებს“ ეფექტიანად.

წარმატებული ქვეყნების ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხარისხიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური და სისტემური მიდგომის შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად ვითარდება ადამიანური კაპიტალის ყველა ფაქტორი. ლიდერთა ათეულში, ადამიანური კაპიტალის მაჩვენებლის მიხედვით, მოხვდნენ შვეიცარია, ფინეთი, სინგაპური, ნიდერლანდები, შვედეთი, გერმანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, დანია და კანადა.³

ადამიანური კაპიტალის შეფასების სხვაგვარი მიდგომა მდგომარეობს მთლიან შიდა პროდუქტზე ან ეროვნულ შემოსავალზე ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების გავლენის შესწავლაში. ამ შემთხვევაში გამოიყენება

¹ Becker Gary S. Human Capital and the personal distribution of income: An Analytical Approach. - N.Y.: Becker Gary S. A Treatise on the family. - N.Y.: Columbia University Press, 1981. - 782p. ,Columbia University Press, 1967. - 467p.

² Фишер С., Дорнбуш Р., Шмаленски Р. Экономическая теория. - М: Юнити. 2002- с.864

³ <https://www.weforum.org/>,უკანასკნელი იქნა გადამოწმებული -3.02.2016

მათემატიკური მოდელები და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ფაქტორული ანალიზი. ანალიზის მათემატიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს საწარმოო ფუნქცია.

შულცმა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებზე გავლენის შესაფასებლად შემდეგი ფორმულა გამოიყენა:

$$G = kfk + LS,$$

სადაც G არის ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები; k -კაპიტალის ინტენსივობის კოეფიციენტი; fK - კაპიტალის ზღვრული მწარმოებურობა; L - სამუშაო ძალის ზრდის ტემპები; S - შრომის წილი ეროვნულ შემოსავალში.

კაპიტალის ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალზე კაპიტალის განაწილების შემთხვევაში ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$G = (I/\gamma) \cdot r + (J/\gamma) \cdot p + LS,$$

სადაც I -ინვესტიციებია ფიზიკურ კაპიტალში; J - ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში; γ -ეროვნული შემოსავალი; r - ფიზიური კაპიტალის ეფექტიანობის ნორმა; p - ადამიანური კაპიტალის ეფექტიანობის ნორმა.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების შემოსავლიანობის შიდა ნორმები იგება კაპიტალზე მოგების ნორმების ანალოგიურად. არსებობს უკუგების ნორმების ანგარიშის ორი ძირითადი მიდგომა. პირველი ეფუძნება **ბეკერის** მეთოდს: უმაღლესი განათლებისაგან მიღებული შემოსავალი უდრის კოლეჯდამთავრებულისა და საშუალო განათლების მქონე მუშაკის ხელფასების სხვაობას.¹

მეორე მიდგომა შემუშავებულია **ჯ. მინცერის** მიერ. მან შემოიტანა „ხელფასების საწარმოო ფუნქცია“, რომელიც აღწერს ადამიანის შემოსავლების ლოგარითმის დამოკიდებულებას ადამიანის განათლების დონეზე, სამუშაო სტაჟზე, ნამუშავერ დროსა და სხვა ფაქტორებზე.²

მეცნიერთა კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალის რენტაბელობა, როგორც წესი, აღემატება ფიზიკურისას. აშშ-ში დაწყებითი

¹ Г. Беккер «Человеческий капитал» (Human Capital, a theoretical and empirical analysis. -N.Y.: Columbia University Press, 1964.-p.52.

² Mincer, Jacob. Schooling, experience and earnings. N.Y. 1975. (p. 71 - 94).

განათლების უკუგების ნორმების შეფასებამ 50-100%-ს მიაღწია, საშუალო - 15-20%-ს, უმაღლესმა 10-15%-ს.

ეროვნულ სიმდიდრეზე ადამიანური კაპიტალის ზეგავლენის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ XX საუკუნეში ადამიანური კაპიტალის დაგროვებამ გადააჭარბა ფიზიკური კაპიტალის დაგროვების ტემპებს. ე. დენისონის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს 15-30%-ით ზრდა განპირობებული იყო განათლებაში ინვესტიციით.¹

გამოვყოთ ადამიანური კაპიტალის ზოგიერთი ფორმულირება. ბექერის მიხედვით: ინდივიდის ადამიანური კაპიტალი = ზოგადი განათლება + სპეციალური სიღრმისეული განათლება. აღნიშნული მიდგომა საკმაოდ სწრაფად განვითარდა და გაფართოვდა. მკვლევარები ადამიანურ კაპიტალში რთავდნენ აღზრდაში, ჯანდაცვაში, საცხოვრებელ გარემოში (მოსახლეობის ცხოვრების ხარისხში), მეცნიერებაში ჩადებულ ინვესტიციებს. ამრიგად, ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიული განვითარების ჭრილში შეიძლება გამოვყოთ ადამიანური კაპიტალის ვიწრო, გაფართოებული და ფართო განსაზღვრის ეტაპები, როდესაც ადამიანური კაპიტალის შემადგენლობაში დამატებით შედის ინვესტიციები ცხოვრების ხარისხში, სოციალურ კაპიტალში და ინტელექტუალური შრომის ინსტრუმენტარიუმში.

ფირმის ადამიანური კაპიტალი მოიცავს კორპორატიული შრომის კულტურასა და პერსონალის ეთიკას, თავად ფირმის წარმოების ტრადიციებსა და ეთიკას, ერთობლივ ცოდნას, რომელიც ფირმას საკუთარი თანამშრომლების სახით გააჩნია, მეთოდოლოგიას, ინტელექტუალურ კაპიტალს პატენტების ფორმით, პროგრამულ პროდუქტებს, ნოუ-ჰაუს, ურთიერთკავშირს ფირმის შიგნით, ფირმის საგარეო ურთიერთობებს, რაც ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ხარისხისა და სიდიდის გაზრდას, ფირმის ინოვაციურ და ორგანიზაციულ პოტენციალს.

¹ Денисон Э. Анализ экономического роста США с 1929 по 1969 (Accounting for United States Economic Growth, 1929-69; 1974), 1974. С.46.

შესაბამისად, ნაშრომში იქნება წარმოდგენილი ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია სამივე დონეზე და მათი გავლენა ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე.

თანამედროვე რუსი მკვლევარების მეცნიერულ კონცეფციებში ასევე არ არსებობს ადამიანური კაპიტალის ერთიანი განსაზღვრება და ცნება.

ბ.მ. გენკინი და ბ.გ. იუდინი მიიჩნევენ, რომ ადამიანური კაპიტალი გამოხატავს ადამიანის პოტენციალის კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება გახდეს ოჯახური მეურნეობის, საწარმოსა და ქვეყნის შემოსავლების წყარო. ასეთი კომპონენტები შეიძლება იყოს ადამიანის ფიზიკური და შემოქმედებითი უნარი, მისი ცოდნა, შესაძლებლობა და აქტიურობა.¹

ა.ი.დობრინინის, ს.ა.დიატლოვისა და ე.დ.ცირენოვას აზრით, ადამიანური კაპიტალი არის ინვესტიციების შედეგად ჩამოყალიბებული და ადამიანის მიერ დაგროვილი ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, მოტივაციის ერთობლიობა, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება საზოგადოებრივი კვლავწარმოებისთვის ამა თუ იმ სფეროში, ხელს უწყობს შრომის მაღალ მწარმოებლურობას და ამით გავლენას ახდენს ადამიანის შემოსავლების ზრდაზე.²

ი.ა. კორჩაგინი ადამიანურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ინტენსიურ მწარმოებლურსა და სოციალურ ფაქტორს, რომელზეც არ ვრცელდება კლებადი უკუგების კანონი და მას შეუძლია ინვესტიციის განხორციელება ინტელექტუალურ საკუთრებაში, შრომის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, აღზრდაში, სწავლებაში, ცოდნაში, ინოვაციურსა და ინსტიტუციონალურ პოტენციალში, ეკონომიკის თავისუფლებაში, სამეწარმეო უნარსა და სამეწარმეო კლიმატში, მეცნიერებაში, კულტურასა და ხელოვნებაში, მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაში.³

¹ Генкин Б.М. Экономика и социология труда: Учеб. для вузов. 5-е изд., доп. М.: Норма, 2003. 416 с. Юдин Б.Г. Человеческий потенциал российской глубинки //Человек. - № 2, 2003. - С. 5-15.

² Добрынин А.И., Дятлов С.А., Цыренова Е.Д. Человеческий капитал в транзитивной экономике: формирование, оценка, эффективность использования. - СПб.: Наука, 1999.-309с.

³ Корчагин Ю.А. Человеческий капитал и процессы развития на макро и микроуровнях. - Воронеж. ЦИРЭ, 2011. - С.28.

ვ.ს. ეფიმოვი ადამიანურ კაპიტალს მიიჩნევს როგორც „საწარმოო პროცესის“ უნივერსალურ დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილს, ასევე, გამოყოფს ადამიანური კაპიტალის სამ ასპექტს: ბიოლოგიური ასპექტი - ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება (დემოგრაფია, ჯანმრთელობა, აქტიურობა); სოციალური ასპექტი - ადამიანური კაპიტალის განვითარება (განათლება, კვალიფიკაცია, სოციალური ორგანიზებულობა, ინიციატივა); ეკონომიკური ასპექტი - ადამიანური კაპიტალის კაპიტალიზაცია (საწარმოო სისტემები, სოციალური ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა).¹

ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური განვითარების პრობლემებზე საყურადღებო ნაშრომები აქვთ ქართველ მეცნიერებს: ა.აბრალავას, მ.ჯულაყიძეს, ო.შატერაშვილს, ე.ჯულაყიძეს, ე.ბარათაშვილს, ც. ლომიას, რ. ბასარიას, რ.ქუთათელაძეს, მ.თორიას და სხვებს.

ამრიგად, ადამიანური კაპიტალის თეორიის კვლევებში მისი განვითარების ისტორიის მანძილზე ჩართული იყო სხვადასხვა მეცნიერ-მოღვაწე. ადამიანური კაპიტალის თეორიულ-ისტორიული ანალიზიდან ჩანს, რომ ტერმინი სულ უფრო იხვეწება.

ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების არსებული მეცნიერული თეორიების ანალიზის საფუძველზე გვინდა ჩამოვაცალიბოთ ჩვენი ხედვადასკვნა, რომ გლობალიზაციის პირობებში **ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის ფაქტორი.** ადამიანური კაპიტალის ყველა დონეზე ვხედავთ, რომ მას გააჩნია რთული შინაგანი სტრუქტურა, რომელიც იქმნება მისი მრავალი ელემენტითა და ფაქტორით. ადამიანური კაპიტალის ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია: განათლების კაპიტალი, ინტელექტუალური კაპიტალი, კულტურის კაპიტალი, ჯანმრთელობის კაპიტალი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო კაპიტალი.

¹ Человеческий капитал Красноярского края: Форсайт-исследование - 2030/ Аналитический доклад; под ред. В.С. Ефимова. - Красноярск: Сибирский федеральный университет, 2010. - 126с.

ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობაში განათლების ფაქტორები განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ნებისმიერ დროს ადამიანის ცოდნა და უნარები გავლენას ახდენდა სახელმწიფო ინსტიტუტების და კომპანიების განვითარებაზე და, შესაბამისად, განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს.

განათლების კაპიტალის როგორც კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის შემადგენელი ნაწილის ჩამოყალიბება საგანმანათლებლო სისტემაში ხდება.

ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ინოვაციური ფაქტორები თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში წამყვან როლს ასრულებს. **ინოვაციის შექმნა და დანერგვა** დაკავშირებულია ინტელექტუალურ კაპიტალთან - ადამიანური კაპიტალის წამყვან ელემენტთან. ადამიანის კრეატიულობა, უნარი, რომ შექმნას ახალი ცოდნა, გვევლინება როგორც ადამიანისა და ფირმის, ისე ეროვნული ეკონომიკის მთავარ კომპონენტად. **ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია** - კონკურენტუნარიანობის დონემდე განისაზღვრება ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების და ტექნოლოგიების არსებობითა და ეფექტიანად გამოყენებით, მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ღრმა ინტეგრაციით, ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ დონეზე ინოვაციური პროცესების აქტივიზაციით.

ჩვენი აზრით, ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების და ეკონომიკის მნიშვნელოვან აქტივს და ინოვაციური აქტივიზაციის ფაქტორს. ეროვნული ადამიანური კაპიტალი პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე, ეკონომიკური პარამეტრების ზრდაზე და კონკურენტუნარიანობის დონეზე, მოიცავს ცოდნისა და უნარების მარაგს, რაც დაგროვდა ინდივიდუალური ადამიანური, საგანმანათლებლო, და სამეცნიერო პოტენციალის საფუძველზე, მას შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის კეთილდღეობა, ეკონომიკური სტაბილურობა და ზრდა, ინოვაციური განვითარება და კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე (ავტორის ხედვა).

მოცემულ თავში წარმოდგენილი და გაანალიზებული იყო ადამიანური კაპიტალის ცნება, მისი თეორიები, ადამიანური კაპიტალის სტრუქტურა, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების ფაქტორები. თამამად შეიძლება ითქვას რომ, ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ კატეგორიას, რომლის ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციური პროცესების აქტივიზაციას, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია ინოვაციების თეორიასთან და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციასთან ურთიერთკავშირში განვიხილოთ.

1.2. ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია, როგორც ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის შედეგი

მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანური კაპიტალის ეტაპებად ზრდა-განვითარება წარმოადგენს ახალ-ახალი ინოვაციური ტალღების გენერაციის, ეკონომიკისა და საზოგადოების ციკლური განვითარების მთავარ ფაქტორსა და მამოძრავებელ ძალას.

თანდათანობით დაგროვილი ცოდნის ბაზაზე ვითარდებოდა განათლება და მეცნიერება, იქმნებოდა მაღალპროფესიული მეცნიერულ-ტექნიკური და ზოგად-ინტელექტუალური ელიტის ფენა, რომლის მმართველობით ვითარდებოდა ქვეყანა.

ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დრაივერს (მამოძრავებელ ძალას) წარმოადგენს კონკურენცია ნებისმიერ საქმიანობაში. კონკურენცია ქმნის და არჩევს საუკეთესო ეფექტიან მენეჯმენტს, ზრდის ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობას და ხარისხს, სტიმულს აძლევს საწარმოებს და მენეჯმენტს, რომ შექმნან ინოვაციური პროდუქცია და მომსახურება. თავისუფალი კონკურენცია, საერთა-

შორისო განსაზღვრებით, წარმოადგენს ეროვნული ადამიანური კაპიტალის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის, ინოვაციების გენერაციისა და ეფექტიანი ინოვაციური პროდუქტის შექმნის ძირითად სტიმულატორს.

განვიხილოთ ადამიანური კაპიტალი, როგორც განვითარების ინტენსიური ფაქტორი და ინოვაციური ტალღების დრაივერი.

მსოფლიოში სხვადასხვა დროს მომხდარი სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციები, ეკონომიკის ტექნოლოგიური წყობისა და საზოგადოების ტიპის ცვლა კარგად გვიჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალი და მისი ზრდისა და განვითარების ციკლი წარმოადგენს განვითარების ინოვაციური ტალღების ბიძგისა და მსოფლიო ეკონომიკისა და საზოგადოების ციკლური განვითარების მთავარ ფაქტორს.

ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლუციური ცვლილებები ეკონომიკასა და საზოგადოებაში, დიდი ინოვაციური პროცესები მიმდინარეობდა დაგროვილი ადამიანური კაპიტალის ბაზაზე ხალხის, ქვეყნისა და ცივილიზაციის განვითარების ნებისმიერ ისტორიულ პერიოდში. ამის საილუსტრაციოდ ერთმანეთს შევადაროთ ეკონომიკის ტიპები, ტექნოლოგიური წყობა, ადამიანური კაპიტალის დონე და ხარისხი, საფუძვლად კი დავუდოთ მისი შემადგენელი ნაწილები - მენტალობა და კულტურა, აღზრდა, ჯანმრთელობა, განათლება, მეცნიერება, ცხოვრების დონე და შრომის პირობები.

პირველი სამრეწველო რევოლუცია და პირველი ტექნოლოგიური წყობა (1770-1830წ.წ.), რომელიც სერგეი გლაზიევი კონტრატივის გრძელი ტალღების ბაზაზე შემოიტანა, ერთმანეთს ემთხვევა დროში. ეს ნახტომი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში საწარმოო ძალების სწრაფი ზრდისა და კაპიტალიზმის ფორმირების საფუძველზე განხორციელდა. ახალი ტექნოლოგიების, მოწყობილობისა და თვით კაპიტალიზმის გამოჩენა, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, როგორც ადამიანური კაპიტალის განვითარების ეტაპი და მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი. ამ პერიოდში მოხდა კულტურის, აღზრდის, განათლების, ცოდნის, მედიცინის, ეკონომ-

მიკური მეცნიერების რევოლუციური განვითარება, რელიგიათა სრულყოფა, ეკონომიკის ზრდა და განვითარება, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფოებრიობის განვითარება.

კრეატიულმა, კულტურულმა, განათლებულმა და საკუთარი საქმის პროფესიონალმა ადამიანებმა მოახდინეს სამრეწველო რევოლუცია. სამეცნიერო, სამრეწველო და ტექნოლოგიური ინოვაციებისკენ მათ უბიძგათაობათა მიერ დაგროვილმა ცოდნამ და, რა თქმა უნდა, კონკურენციამ.

გლობალიზაციის პირობებში ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი ფაქტორი ცოდნის დონის ამაღლება და იმ პროფესიონალთა ჩამოყალიბებაა, რომელთაც შეუძლიათ ახალი ინოვაციური პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და მომსახურების გამოგონება, დანერგვა და ინოვაციების გენერირება. ინოვაციები და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის ახალ სიმაღლეზე და ხარისხის ახალ დონეზე ასვლის შედეგს.

ა.აბრალავა ნაშრომში „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ეკონომიკური პრობლემები“ ღრმად აანალიზებს და განიხილავს ინოვაციურ სფეროს და აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური პროცესები წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების გარეშე.¹ საზოგადოების პროგრესირებადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეცნიერებატევადი პროდუქციითა და მომსახურებით შეუძლებელია ინოვაციათა ფართოდ გამოყენების გარეშე. ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის დომინანტურ როლს განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანათა კომპლექსი, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა, ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვა.

გლობალიზაციის პირობებში ინოვაციურმა პროცესებმა მოიცვა მაღალტექნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ნანოტექნოლოგიური და მენეჯმენტის სფეროები, რომლის დამახასიათებელი თავისებურებებია:

¹ ა.აბრალავა, ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, -უნივერსალი-, თბ., 2014, გვ. 21-25.

ორიენტაცია ხარისხობრივ ასპექტებზე, ცვლილებები ადამიანური კაპიტალის ხარისხსა და სტრუქტურაში (ცოდნის ადამიანი), ტრადიციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის ამაღლება.

ინოვაციური სფეროს განვითარება მისი სისტემურ პროცესული გააზრება ახალი თეორიული დასკვნების საშუალებას იძლევა, ხოლო მასთან დაკავშირებული გლობალური მოვლენების სრული მეცნიერული აღქმა მეტად რთულია.¹

ევგენი ბარათაშვილის აზრით, საქართველოში მტკ-ს დასაჩქარებლად, ინტელექტუალური ეკონომიკის შესაქმნელად, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული და ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მკვეთრი ამაღლებისთვის საჭიროა კარდინალური ზომების მიღება და სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება, ბიზნესის მხარდაჭერა (ინოვაციური), მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება, კადრების მომზადების სრულყოფა, ინოვაციური კლასტერების ფორმირება, ინოვაციური პროექტების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის. ამასთან, ქვეყნის სამეცნიერო ინსტიტუტები და მსხვილი უნივერსიტეტები უნდა გახდეს ეროვნული ცენტრები მეცნიერების და ტექნიკური მიღწევებისა და შესაბამის კომერციულ-ინოვაციურ სტრუქტურებზე მათი გადაცემისათვის. აუცილებელია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო პოლიტიკის ფორმირება და მსოფლიო ბაზარზე მყარი პოზიციის დაკავება მაღალტექნოლოგიური და მეცნიერული პროდუქციით, არსებული მოწინავე ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით და ქვეყნის რეგიონებსა და ფირმებს შორის კონკურენციის გამძაფრებით-გამძლიერებით.² დღეს გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ლიდერობას განსაზღვრავს მეცნიერება, ცოდნა, მოსახლეობის განათლება,

¹ ა.აბრალავა, ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, -უნივერსალი-, თბ., 2014, გვ., 37-46.

² ე.ბარათაშვილი, ბ. გეგზაია, ვ. დლონტი, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. გამომცემლობა უნივერსალი., 2012., გვ. 132-134

ადამიანური კაპიტალის ხარისხი და კვალიფიკაცია ორიენტირებული ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე.

შესაბამისად იკვეთება, ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის და ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის გზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების შემდეგი პრობლემური საკითხების გაანალიზება და განხილვა:

- ინოვაციური პროცესების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში
- ადამიანური კაპიტალის, ინტელექტუალური რესურსების ფორმირება, დაგროვება, გამოყენება
- ადამიანური კაპიტალის დაგროვება-გამოყენების მართვის თანამედროვე სისტემების ძიება
- ინოვაციური პროცესების მართვის და სახელმწიფო რეგულირების სტრატეგიის ფორმირება- **საინოვაციო პოლიტიკა.**

განვითარების პროცესში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მენტალობასა და ხალხის კულტურას - შრომის ეთიკის, მეწარმეობის ფორმირების ბაზას, შრომის ხარისხის საფუძველს. მენტალობა და კულტურა ხალხის მიერ დაგროვილი ადამიანური კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ხოლო ადამიანური კაპიტალი ინოვაციების განვითარების მთავარი ინტენსიური ფაქტორია.

ინოვაციებმა პროფესიულ განათლებაში, ეკონომიკაში, სახელმწიფო მართვაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განაპირობეს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდა. ამის შედეგად XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა **ინდუსტრიული ეკონომიკა** და საზოგადოება.

ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციისა და განვითარების თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

- განათლების, მეცნიერების, მართვის, სამეწარმეო რესურსის განვითარება და ეფექტიანობის ზრდა, რამაც განაპირობა **ინოვაციების**

გენერირება და ეკონომიკისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების შექმნა.

- პროფესიული განათლებისა და პროფესიული სამეცნიერო ორგანიზაციების შექმნა.
- სამეწარმეო რესურსისა და თავისუფალი კონკურენციის შემდგომი ხარისხიანი განვითარება.
- სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების შემდგომ ეტაპებზე - ეკონომიკის, საზოგადოებისა და ცხოვრების ხარისხის ზრდისა და განვითარების დრავერების სიმძლავრის ამაღლება: ცოდნის დაგროვება-ადამიანური კაპიტალი, ინტელექტისა და პროფესიონალიზმის ზრდა-კორპორატიული ადამიანური კაპიტალი, ეროვნული ადამიანური კაპიტალი-ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია, გენერირება.

ადამიანური კაპიტალი, თეორიაშიც და პრაქტიკაშიც, გახდა განვითარების წამყვანი, რთული და ინტენსიური ფაქტორი და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ფუნდამენტი.

ინოვაცია არის მეცნიერული მიღწევების გამოყენება კომერციული მიზნებით.

ინოვაცია მეცნიერთა და გამომგონებელთა, ინოვატორთა და მეწარმეთა (ადამიანური კაპიტალი კორპორატიული და ეროვნული) ხანგძლივი და გულმოდგინე ძალისხმევით შედეგია. მას განაპირობებს მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენის ან ტექნიკური გამოგონების ევოლუციური განვითარება, ამ საფუძველზე ახალი პროდუქტების შექმნა და მისი კომერციალიზაცია.

ასე რომ, ინოვაცია დაფუძნებულია მეცნიერულ ცოდნაზე, რომლის შედეგია მეცნიერული აღმოჩენა ან გამოგონება.

აქვე გვინდა პარალელი გავავლოთ, რომ ადამიანური კაპიტალის ძირითად აქტივს წარმოადგენს ცოდნის კაპიტალი, შესაბამისად შეგვიძლია

თამამად დავასკვნათ, რომ ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია არის ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის შედეგი (ავტორის ხედვა).

შესაბამისად, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის (ცოდნის დაგროვება-გამოყენება) ძირითადი ციკლები დაკავშირებულია და იწვევს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციას.

ადამიანური კაპიტალის ფორმირების ციკლი მდგომარეობს კვლავწარმოების პროცესების პერიოდულ გამეორებაში და მოიცავს გარკვეულ ეტაპებს. რუსი მეცნიერი ი.სკობლიაკოვას კვლევების მიხედვით, „ციკლის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია შესასწავლი პროცესების წინასწარი პროგნოზი, ასევე, მათი პერიოდის განსაზღვრა. ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების ციკლები ვლინდება მკაცრად განსაზღვრულ ფორმაში. ციკლზე შეიძლება ვისაუბროდ ყოველთვის, როდესაც ადამიანური კაპიტალის განვითარების დინამიკაში ხდება ცვლილება“¹.

ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების ციკლი დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების ისტორიასთან. ყოველი ახალი თაობა ხსნის პოტენციურ საშუალებებს, პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც განუხორციელებელი და ამოუხსნელი დარჩა.

პირველი ციკლი დაკავშირებულია ინტელექტუალური რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებასთან, მეორე ციკლი - ადამიანური კაპიტალის დაგროვებასთან, მესამე ციკლი წარმოადგენს ადამიანური კაპიტალისა და მისი რესურსების გამოყენებას, ტრანსფორმაციასა და ცოდნის ეკონომიკის ფორმირებას. ეს არის შიდა მოძრაობა, გარდასახვა ერთი ფორმიდან მეორეში.

ინდივიდუალური ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ინდივიდის განსაკუთრებული და სპეციალური ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების მარაგს, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს დამატებითი შემოსავალი და სხვა კეთილდღეობა იმ ადამიანთან შედარებით, რომელსაც ეს არ გააჩნია.

¹ Скоблякова И.В. Циклы воспроизводства человеческого капитала /И.В. Скоблякова.- М.: "Издательство Машиностроение – 1". – 2006. – 12 с.

კორპორატიული ადამიანური კაპიტალი არის ფირმის მიერ დაგროვილი, სპეციალური და განსაკუთრებული ინდივიდუალური ადამიანური კაპიტალი, ნოუ-ჰაუ, ინტელექტუალური კაპიტალი, მართვისა და ინტელექტუალური ტექნოლოგიები, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩათვლით, რომლებიც ზრდიან ფირმის კონკურენტუნარიანობას.

ეროვნული ადამიანური კაპიტალი არის ინოვაციური (კრეატიული) შრომის რესურსების ნაწილი, წამყვანი სპეციალისტები, დაგროვილი კონკურენტუნარიანი და მაღალმწარმოებლური ცოდნა, განათლებაში, კულტურაში, ჯანდაცვაში ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული ეროვნული სიმდიდრის დაგროვილი კრეატიული (ინოვაციური) წილი, ინოვაციური სისტემა, ინტელექტუალური კაპიტალი, სოციალური კაპიტალი, ასევე ცხოვრების ხარისხი. აღნიშნულის ერთობლიობა გლობალიზაციის პირობებში უზრუნველყოფს ქვეყნისა და სახელმწიფოს ეკონომიკის ინოვაციური ნაწილის კონკურენტუნარიანობის განვითარებას მსოფლიო ბაზარზე.

ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია არის ცოდნის დაგროვებისა და გამოყენების უწყვეტი პროცესი, პასუხად **ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის** მოთხოვნებზე.

აქტუალობას არ კარგავს ადამიანური კაპიტალის შეფასების საკითხი. გლობალიზაციის ეპოქაში, პოსტინდუსტრიულმა ეკონომიკამ შეცვალა პრიორიტეტები და ტენდენცია არის კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის მოთხოვნა, რომელიც ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის გზით აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და კონკურენტუნარიანობას.

ჩვენ ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების შეფასებისთვის არჩევანი გავაკეთეთ ინდექსების მეთოდოლოგიაზე, რომელზეც მომდევნო თავში გვექნება მსჯელობა.

თავი II. ადამიანური კაპიტალი და ინოვაციური პროცესები გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში

2.1 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საქართველოს რეალობა

მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და გლობალიზაციის პროცესმა სახე უცვალეს ეკონომიკური განვითარების მექანიზმს და აჩვენეს, რომ ეკონომიკურ ზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს არამატერიალური წარმოება და ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გაფართოება. დაჩქარებულ განვითარებას იმ ქვეყნებმა მიაღწიეს, სადაც დროის შესაფერისი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი - ტექნოლოგიური ცოდნის ათვისებაში კაპიტალის ზრდა- გამოიყენეს.¹

თანამედროვე რეალობისა და საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის ფორმირებისათვის გამოვიყენოთ წესრიგის თეორიის აპრობირებული კონცეპტუალური მიდგომები. კერძოდ, ორდოლიბერალური წესრიგის თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის თანახმად ეკონომიკური პრობლემების კვლევისა და დაძლევის მთელი შემოქმედებითი ციკლი უნდა ემსახურებოდეს განსაზღვრულ მიზანს და ეფუძნებოდეს სამ ძირითად პრინციპს: **პიროვნების თავისუფლებას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ქმედუნარიანობას**. ეს სამი ძირითადი პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული პროგრესისა და წონასწორობის საყრდენს, ხოლო გლობალურ-ინოვაციური ტენდენციების გონივრული გამოყენება - მათი რეალიზაციის საფუძველს.²

ქვეყნების წარმატება და რეიტინგები დგინდება საერთაშორისო ინდექსების მეშვეობით. ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი

¹ აბრალავა ა., ეკონომიკის გლობალურ - ინოვაციური პრობლემები, „უნივერსალი“, თბ., 2014., გვ 62

² ა. აბრალავა, ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენტირი, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, # 4. 2012., გვ.,45-46

მაჩვენებელია, რომელიც კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას აღნიშნავს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებაა. ინდექსის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა.

გლობალურ ინდექსებს იმისათვის ქმნიან მკვლევარები და კვლევითი ცენტრები, რომ ერთმანეთს შეადარონ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ხარისხი, კონკურენტუნარიანობის დონე, ადამიანური განვითარების მდგომარეობა, ინოვაციური განვითარების შესაძლებლობა და სხვა.

საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და მდგომარეობა გვინდა წარმოვადგინოთ საერთაშორისო ინდექსების მიხედვით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, იზომება მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხი, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობა და ტექნოლოგიური მზაობის დონე.


რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებსა (მსოფლიო ბანკი(WB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა . შ .) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები). საქართველო GCI-ს კვლევაში ჩართულია 2004 წლიდან.

GCI ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ბიზნესკლიმატის შექმნისათვის და საყურადღებოა მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

იგი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა, სამი ადგილით ზევით გადაინაცვლა 2013 წლის

პოზიციიდან. უკვე მეოთხე წელია საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში (სურათი 2.1).¹



სურ. 2.1.

საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში

კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – იგი მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს, ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის.

2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ საქართველომ პოზიცია სამი საფეხურით გაიუმჯობესა და მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის 4,22 ქულით 66-ე პოზიციაზეა.² (იხ. დანართი 2).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შედგენილი ინდექსის სტრუქტურა სამი მთავარი ბლოკისგან - ძირითადი მოთხოვნები, ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები და ინოვაციური ფაქტორები - შედგება. თავის მხრივ, ძირითადი მოთხოვნები მოიცავს: სახელმწიფო ინსტიტუ-

¹ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2014-2015 (The Global Competitiveness Report), <https://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-10.05.2016

² გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2015-2016 (The Global Competitiveness Report), [http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global Competitiveness Report 2015-2016..pdf](http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global%20Competitiveness%20Report%202015-2016..pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-10.05.2016

ტებს, ინფრასტრუქტურას, მაკროეკონომიკურ გარემოს, საბაზისო განათლებას და ჯანდაცვას. ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები მოიცავს: უმაღლეს განათლებას, საქონლისა და შრომის ბაზრის ეფექტიანობას, ფინანსური ბაზრების განვითარებას, ტექნოლოგიებს და ბაზრის ზომას. ინოვაციური ფაქტორები მოიცავს ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა.

ქვეყანამ, 4.22 ქულით, 140 ქვეყანას შორის, 69-ე ადგილიდან 66-ზე გადაინაცვლა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა – სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი).

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან ერთ ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან – 58 ქვეკომპონენტში.

ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (Efficiency Enhancers) გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა. უმაღლესი განათლება, ტრეინინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომითი ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფინანსო ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს. გაუმჯობესებული კომპონენტებია: ინსტიტუტები – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; უმაღლესი განათლება და ტრენინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის განვითარება – გაუმჯობესდა 1 პოზიციით და 112-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

გაუმჯობესებული ქვეკომპონენტებს შორისაა **1. ინსტიტუტები:** საკუთრების უფლება – გაუმჯობესდა 27 პოზიციით და 58-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 101-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ნდობა პოლიტიკოსების მიმართ – გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასამართლოს დამოუკიდებლობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 56-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 54-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კანონმდებლობის ეფექტიანობა რეგულაციებში – გაუმჯობესდა 28 საფეხურით და 55-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები სამართალდარღვევებზე და ძალადობაზე – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე – გაუმჯობესდა 21 საფეხურით და მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა; ორგანიზებული კრიმინალი – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 17-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფირმების ქცევითი ეთიკა – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა; აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტის სიძლიერე – გაუმჯობესდა 20 საფეხურით და

65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კორპორატიული საბჭოს ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 84-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უმცირესობაში მყოფი აქციონერთა ინტერესების დაცვა – გაუმჯობესდა 22 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

2. ინფრასტრუქტურა: საჰაერო მიმოსვლისას ადგილები კვირაში – გაუმჯობესდა 6 საფეხურით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

3. მაკროეკონომიკური გარემო: ინფლაცია, წლიური %-ლი ცვლილება – გაუმჯობესდა 25 საფეხურით და 53-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

4. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება: ტუბერკულოზის გავლენა ბიზნესზე – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 66-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ტუბერკულოზის შემთხვევები/100,000 მოსახლეზე – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ახალშობილთა სიკვდილიანობა/1000 დაბადებულზე – გაუმჯობესდა 23 საფეხურით და 61-ე ადგილზე გადმოინაცვლა; დაწყებითი განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 90-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

5. უმაღლესი განათლება და ტრენინგი: საშუალო განათლებაში ჩართულობა, გაუმჯობესდა 50 საფეხურით და 30-ე ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიულ განათლებაში ჩართულობა – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 74-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მენეჯმენტის სკოლების ხარისხი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

6. ბაზრის ეფექტიანობა: ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 91-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზარზე დომინირება – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტი – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 116-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მთლიანი საგადასახადო

განაკვეთი, მოგების % – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-9 ადგილზე გადმოინაცვლა; დანახარჯები სოფლის მეურნეობაში – გაუმჯობესდა 27 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სავაჭრო ტარიფები – გაუმჯობესდა 28 საფეხურით და მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის გავლენა ინვესტიციებზე – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 21-ე ადგილზე გადმოინაცვლა; იმპორტის წილი მშპ-ში – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; მომხმარებელთა მოთხოვნები – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 114-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა: ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა – გაუმჯობესდა 16 საფეხურით და 10-ე ადგილზე ადგილზე გადმოინაცვლა; დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-12 ადგილზე გადმოინაცვლა; თანამშრომლობა დაქირავებულ-დაქირავებულს შორის – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; გადასახადების გავლენა სამუშაო სტიმულზე – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-15 ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიული მენეჯმენტი – გაუმჯობესდა 18 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება; ფინანსური მომსახურების არსებობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 73-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სესხზე ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბანკების სიმყარე – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 57-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფონდო ბირჟის რეგულაცია – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

8. ტექნოლოგიური მზაობა: ინტერნეტის მომხმარებელი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ინვესტიციები და ტექნოლოგიების ტრანსფერი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტი 100 მოსახლეზე – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა;

9. ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა. შიდა ბაზრის მოცულობის ინდექსი – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 98-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უცხოური ბაზრის ინდექსი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 107-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მშპ (PPP – აშშ. მლრდ. დოლარი) – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 103-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

10. ბიზნესის განვითარება: ადგილობრივ მიმწოდებელთა ხარისხი – გაუმჯობესდა 3 საფეხური და 117-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 137-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შედარებითი უპირატესობა – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და 75-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საერთაშორისო დისტრიბუციაზე კონტროლი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; წარმოების პროცესის დახვეწა – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მარკეტინგის ხარისხი – გაუმჯობესდა 15 საფეხური და 89-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

11. ინოვაციები: მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 113-ე ადგილზე გადმოინაცვლა. პატენტით სარგებლობის საკითხში თანამშრომლობა – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და 60-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

2015-2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ძირითად მოთხოვნებში საქართველო 50-ე პოზიციაზეა (4.83 ქულა), ეფექტიანობის მასტიმულირებელ ფაქტორში – 77-ე პოზიციაზე (3.97 ქულა), ხოლო ინოვაციური ფაქტორების მაჩვენებელში საქართველოს 118-ე ადგილი (3.10 ქულა) უჭირავს.

აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს დაწინაურება განაპირობა შემდეგი ფაქტორების გაუმჯობესებამ, კერძოდ: ძირითადი მოთხოვნები – საქართველოს პოზიცია ორი საფეხურით გაუმჯობესდა; ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები – ამ ბლოკშიც საქართველოს პოზიცია ორი საფეხურით გაუმჯობესდა და მან 79-დან 77-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემატურ საკითხად მიიჩნევა განათლებული პროფესიონალების დეფიციტი - 15,3 ნიშნული, ფინანსებთან ხელმისაწვდომობა – 13,6 ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დონე – 11,3 და სხვა.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი ქვეყნის სტატუსი აქვს.

2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით“ პირველი ადგილი შვეიცარიას უკავია 5,70 ქულით. პირველ ათეულში ასევე არიან: სინგაპური, აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, იაპონია, ჰონგ-კონგი, ფინეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო.

გრაფიკში მოყვანილია ის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობა, რომლითაც შედგენილია რეიტინგი.

ცხრილი 2.1.


საქართველოს პოზიცია მაკროეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით, 2014-2015 წ.

განვითარების საფეხურები	შპს (ერთ სულ მოსახლეზე (აშშ \$))	ქვეყნების რაოდენობა
I. საფეხური - ფაქტორ-მამოძრავებელი	> 2000	37 ქვეყანა
პირველიდან მე-2 საფეხურზე გარადამული	2,000-2,999	16 ქვეყანა
II. საფეხური - ეფექტიანობის მამოძრავებელი	3,000-8,999	30 ქვეყანა (საქართველო)
მე-2-დან მე-3 საფეხურზე გარადამული	9,000-17,000	24 ქვეყანა
III. საფეხური - ინოვაციის მამოძრავებელი	< 17,000	37 ქვეყანა



საქართველო რეიტინგის პირველ ათეულში შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით მოხვდა: ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დღეების მიხედვით – მე-2 ადგილი მსოფლიოში, ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურებით – მე-3 ადგილი, სავაჭრო ბარიერებით – მე-6

ადგილი, საბაჟო პროცედურებით – მე-7 ადგილი, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის მიხედვით – მე-8 ადგილი, გადასახადების განაკვეთების დონით – მე-10 ადგილი. ყველაზე ცუდ პოზიციებზე კი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვითაა: ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობით – 138-ე ადგილი, უნივერსიტეტებისა და ბიზნესის კვლევებში თანამშრომლობით – 128-ე ადგილი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკით – 127-ე ადგილი, კომპანიების დანახარჯით კვლევებსა და განვითარებაზე – 126-ე ადგილი, ადგილობრივი ფინანსური ბაზრებიდან დაფინანსებით – 126-ე ადგილი, მეცნიერებითა და ინჟინრებით – 122-ე ადგილი, ადგილობრივი პროდუქციის ხარისხით – 121-ე ადგილი. (იხ. დანართი # 1).



სურ. 2.2. საქართველოს პოზიცია მსოფლიოში 2014-2015 წლის მონაცემებით

საქართველოს უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს თუ შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია ინსტიტუტების განვითარებით, ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის ეფექტიანობით, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით, სავალუტო კონტროლის არარსებობით, დაბალი კრიმინალით, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობით. პრობლემებია შემდეგი მიმართულებით: საკუთრების უფლებების დაცვაში, ინოვაციებში, საშუალო და უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებასა და კვლე-

ვების წარმოებაში, კონკურენციის დონეში შიდა ბაზარზე, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობაში, პროფესიონალ სამუშაო ძალაში.

აღნიშნული პირდაპირ მიანიშნებს საქართველოში კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის - „ცოდნის ადამიანის“ დეფიციტის, და არსებული ადამიანური კაპიტალის არაეფექტურად, არამიზნობრივად გამოყენების შესახებ. შექმნილია ყველა პირობა ბიზნესის კეთებისთვის და არ არის ამის შესაბამისი ადამიანური კაპიტალი და შესაბამისად, დაბალია ინოვაციების დონეც.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია არის ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის პირობა. ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია იწვევს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ანუ „ცოდნის ადამიანის“-კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვება-გამოყენება წარმოადგენს ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებას და ითხოვს სტრატეგიული პოლიტიკის ფორმირებას.

ადამიანის (ჰუმანური, საზოგადოებრივი) განვითარების ინდექსი (ინგ. Human Development Index – HDI, აგი) ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმოადგენს მისი განვითარების ინდიკატორს და მოიცავს ამ განვითარების ისეთ საზომებს, როგორცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; განათლების დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ადამიანის განვითარების ინდექსი გაეროს მიერ ადამიანური განვითარების განსაზღვრის სტანდარტულ საშუალებადაა მიჩნეული. ინდექსი 0-დან 1-მდე იცვლება. ადამიანის განვითარების ინდექსი ადგენს კრიტერიუმებს და გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმების მიხედვით რა საფეხურზეა ესა თუ ის სახელმწიფო.¹

2011 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით, განათლება იზომება სწავლების საშუალო ხანგრძლივობით (სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე) და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობით; ჯანმრთელობა

¹ <http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-15.05.2016

იზომება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით და ღირსეული ცხოვრების საშუალება ქვეყნის მთლიანი შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით. ინდექსის მნიშვნელობა გამოითვლება, როგორც სამივე მაჩვენებლის გეომეტრიული საშუალო, შესაბამისად, ადამიანის განვითარების ინდექსში განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი თანაბარი წილითაა წარმოდგენილი.

ადამიანის განვითარების ინდექსის მთავარი დანიშნულებაა, განსაზღვროს ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე, რომელიც იმავდროულად განსაზღვრავს ქვეყანათა ჯგუფს, რომელსაც ეს ქვეყანა განეკუთვნება – **განვითარებულს**, განვითარებადს თუ დაბალგანვითარებულს. საზოგადოდ, „ჰუმანური განვითარება“ - ეს არის კონცეფცია „გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიხედვით და ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მისაღებად უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა. შ.

გაეროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 74,9 წელია, სწავლაზე დახარჯული წლების რაოდენობა 13,8, ხოლო გენდერული განვითარების ინდექსი 0,962, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 7 ათას 164 დოლარს. „ადამიანის განვითარების ინდექსის“ რეიტინგში 2015 წელს საქართველომ შეინარჩუნა თავისი პოზიციები 188 ქვეყანას შორის და 76 ადგილი უჭირავს. საქართველოს ინდექსი 0,754 ქულაა, რაც განვითარების მაღალ დონეს შეესაბამება, ნათქვამია გაეროს მოხსენებაში Human Development Reports 2015.¹

ადამიანური განვითარების ინდექსი ითვლება ყოველწლიურად ადამიანური პოტენციალის ძირითადი კრიტერიუმების – ცხოვრების, განვითარების, განათლების დონისა და ცხოვრების ხანგრძლივობის შედარების საფუძველზე. (იხილეთ დანართი 3, 4).

¹Human Development Reports 2015. http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr_2015_statistical_annex.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-5.02.2016

ინდექსის გამოთვლისას ითვალისწინებენ სამი სახის მაჩვენებელს: სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონე (სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო ოდენობა) და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით დათვლილი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველუნარიანობის პარიტეტით აშშ. დოლარში.

რეიტინგში პირველი ადგილი ნორვეგიას უჭირავს (0,944), მეორე — ავსტრალიას (0,935) და მესამე ადგილზე შვეიცარია (0,93). მიმდინარე წლის რეიტინგში ბოლო სამი ადგილი უჭირავთ: ერთრიას — ინდექსით 0.391 (186 ადგილი), ცენტრალურ აფრიკას რესპუბლიკა- ინდექსით 0,35 (187 ადგილი) და ნიგერიას — ინდექსით 0,348 (188 ადგილი).

მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი ადგილი უჭირავთ რუსეთს – 50-ე, ინდექსით 0,798, აზერბაიჯანს 78-ე ადგილი, სომხეთს 85-ე ადგილი, თურქეთს — 72-ე ადგილი, უკრაინას - 81 ადგილი.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი **(0.754)** აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, რომლის კოეფიციენტიც უდრის **0.694-ს**, რაც, ერთი მხრივ, დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, შედარებისთვის ვერ გამოდგება, რადგანაც საშუალო ინდექსის გამოყვანაში დაბალი განვითარების ქვეყნების მაჩვენებლებიც მონაწილეობს და გავლენას ახდენს საერთო ინდექსის მაჩვენებლებზე.

2010 წლიდან, ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველომ გადაინაცვლა საშუალო განვითარების დონის მქონე ქვეყნიდან მაღალი განვითარების დონის მქონე ქვეყნის კატეგორიაში, რაც დაკავშირებულია ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებასთან და არა ინდექსის მონაცემების გაუმჯობესებასთან. შესაბამისად, ინდექსში, გვინდა გამოვყოთ განათლების ინდექსი, რომელიც ასახავს მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს (ხელმისაწვდომობას) და არა ხარისხობრივს.

ჩვენს მიერ განხილულ იქნა 2003-2015 წწ. აბიტურიენტთა ნაკადები და კურსდამთავრებულების სტატისტიკა.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მივიღეთ შემდეგი სურათი:

რაოდენობრივად, სტაბილურად მზარდია როგორც აბიტურიენტთა ნაკადი, ისე კურსდამთავრებულთა რაოდენობა. ეს რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტში არ არსებობს ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზის მონაცემები, რაც მოგვცემდა სტუდენტების მიერ მიღებული განათლების ხარისხობრივი ანალიზის კუთხით განხილვის საშუალებას. ეს გამოწვეულია ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტობით. კერძოდ, გვინდა რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ, მაგალითად საშუალო განათლების დონე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აბიტურიენტების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების გადალახვა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა.

განვიხილეთ ეროვნული შეფასების და გამოცდების ცენტრის 2015 წლის მონაცემები და მივიღეთ შემდეგი სურათი:

გამოცდაზე გამოცხადებულ

აბიტურიენტთა რაოდენობა - 37 161 აბიტურიენტი

გამოცდაზე დაფიქსირებული

მაქსიმალური ქულა - 80 -1 აბიტურიენტი, 79 -2 აბიტურიენტი


მინიმალური კომპეტენციის

ზღვარი გადალახა (25 ქულა) - აბიტურიენტების 87,6%-მა

ზოგად უნარებში ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზის თანახმად, ვხედავთ, რომ აბიტურიენტების 87,6 პროცენტმა გადალახა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, ხოლო მაქსიმალური ზღვარი ერთმა აბიტურიენტმა.

ამით აშკარად ვხედავთ საგანმანათლებლო სისტემის კომპლექსურ პრობლემას.

სიხშირეთა განაწილება ქულების მიხედვით



	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი	IV ვარიანტი
0-20 ქულა	7,62%	6,90%	5,70%	8,61%
21-40 ქულა	52,68%	50,30%	52,91%	52,75%
41-60 ქულა	30,00%	32,55%	31,31%	29,98%
61-80 ქულა	9,70%	10,26%	10,08%	8,65%

წყარო- შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015

სურ. 2.3.


წარმოგიდგენთ ზოგადი უნარების გამოცდას. აბიტურიენტთა 87,6% - ს არ ყოფნით სკოლის ცოდნის დონე და დამატებით ემზადებიან რეპეტიტორებთან. რაც თავისთავად ნიშნავს ზედმეტი ინვესტიციის განხორციელებას განათლებაში მშობლების მხრიდან და, საბოლოო ჯამში, ვიღებთ ორმაგ არაეფექტიან ინვესტიციას.

ეს არის სახელმწიფოს პრობლემა, (პედაგოგების პროფესიონალიზმის ხარისხი), რაც დადასტურდა 2014 წელს ჩატარებული პედაგოგების სასერტიფიკატო გამოცდების შედეგებით, როდესაც პედაგოგების 70%-მა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

აქვე გვინდა განვიხილოთ, თუ რა ადგილს იკავებენ ქართული წამყვანი უნივერსიტეტები საერთაშორისო რეიტინგების ცხრილში. (იხილეთ დანართი 7).

საქართველოში არსებული 75 უნივერსიტეტიდან პირველ ათეულში შემავალი უნივერსიტეტები მსოფლიო რეიტინგში არასახარბიელო ადგილებს იკავებენ. ეს სერიოზული პრობლემა გლობალიზაციის პირობებში, როდესაც აქცენტები და პრიორიტეტები გადატანილია ცოდნის ადამიანის ფორმირებაზე და, შესაბამისად, როგორც კონკურენტუნარიანი ადამიანური

კაპიტალის, ისე კომპანიებისა და, საბოლოო ჯამში ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე.



სურ 2.4. 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების უნარების სტატისტიკა

აქედან გამომდინარე, აქტუალურია ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევა. თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე დაყრდნობით, ნაკლებად შესაძლებელია კვლევისთვის საჭირო მონაცემების მოპოვება, მაგალითად, კურსდამთავრებულების დასაქმებისა და შემოსავლების ან სპეციალობით დასაქმებულთა შესახებ.

ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგების განსაზღვრაში „სპეციალობით დასაქმების“ კომპონენტის შემოღება, რამაც შესაძლოა გააძლიეროს დამსაქმებლებისა და უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობა. ამ ტიპის კონსოლიდირებული ინფორმაცია და მონაცემები ბაზარზე სპეციალისტების მოთხოვნა - მიწოდების ობიექტურ სურათს მოგვცემს.

2016 წელს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო და გამოააშკარავა არსებული პრობლემები, რომლებიც

სისტემურ ხასიათს ატარებს და ჩვენი აზრით, მისი მოგვარების უმთავრესი ქვაკუთხედია უმაღლესი საგანმანათლებლო სუბიექტების ავტონომიურობა.

განვიხილოთ ადამიანის განვითარების ინდექსისა და მისი სუბინდექსების მნიშვნელობები დინამიკაში (იხილეთ დანართი 3, 4) სადაც კარგად ჩანს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობისა და განათლების ინდექსები აჭარბებს სამი სუბინდექსის საშუალო მაჩვენებელს. აგი-ს მაჩვენებელი მხოლოდ შემოსავლების ინდექსს აღემატება. მოცემული დიაგრამიდანაც კარგად ჩანს, რომ მთლიანი ეროვნული შემოსავალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგი-ს დაბალ მნიშვნელობაზე. ცხადია, ადამიანის განვითარების ინდექსის ზრდა ბევრად იქნება დამოკიდებული შემოსავლების ინდექსის ზრდაზე, რაც მიღწეული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებითა და მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდით. ამ მხრივ, საინტერესოა მსოფლიო ბანკის ცოდნის შეფასების მეთოლოგიის განხილვა.

ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია მსოფლიო ბანკის პროგრამის "ცოდნა გავითარებისთვის" მიერ შექმნილი ინტერაქტიური ინსტრუმენტია, რომელიც ქვეყნებს ეხმარება განსაზღვრონ, ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლისას მათ წინაშე არსებული სირთულეები და შესაძლებლობები. ეს ხდება 145 ქვეყნისათვის ცოდნის ეკონომიკის ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. პროგრამის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და ცოდნის ინდექსი (იხილეთ დანართი 8).

ცოდნის ინდექსით (ცი) იზომება ქვეყნის უნარი, შექმნას, აითვისოს და გაავრცელოს ცოდნა. მეთოდოლოგიურად ცოდნის ინდექსი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია ცოდნის ეკონომიკის სამი ძირითადი საყრდენის მიხედვით: განათლება და ადამიანური რესურსები, ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით (ციე) განისაზღვრება, არის თუ არა გარემო იმ ცოდნის ხელშემწყობი, რომელიც ეკონომიკური განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ის ერთობლივი ინდექსია, რომელიც

გამოხატავს ქვეყნის მთლიანი განვითარების დონეს ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით. ცეი გამოითვლება ცოდნის ეკონომიკის ოთხი ძირითადი საყრდენის მიხედვით: ეკონომიკური სტიმულები და ინსტიტუციონალური რეჟიმი, განათლება და ადამიანური რესურსები, ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. აღნიშნული ინდექსების ანალიზის ცხადყოფს საქართველოს სუსტ პოზიციებს ამ ინდექსებში შესაბამისად ცეი-5,19 და ცი-4,49 ქულა.


ინოვაციის გლობალური ინდექსი (The Global Innovation Index) გვიჩვენებს ქვეყნების რეიტინგს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით. ინდექსს საერთაშორისო ბიზნეს-სკოლის INSEAD (საფრანგეთი) მეთოდით ანგარიშობენ. პირველი კვლევა 2007 წელს ჩატარდა და დღეს-დღეობით სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციური განვითარების მაჩვენებელი ინდიკატორების ყველაზე სრულყოფილ კომპლექსს წარმოადგენს.

ინოვაციის გლობალური ინდექსი შედგენილია 80 სხვადასხვა მაჩვენებლით, რომელიც დეტალურად ახასიათებს მსოფლიოს ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას. კვლევის ავტორების განმარტებით, „გლობალური ინოვაციის ინდექსი 2014“-ში, სადაც განხილულია მსოფლიოს 142 ქვეყნის ინოვაციური განვითარების მახასიათებლები, საქართველო რეიტინგში 142 ქვეყნიდან 73-ე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ იგი წინა წელს 71-ე პოზიციაზე იმყოფებოდა. რეიტინგში საქართველოს ყველაზე ცუდი შედეგები დაუფიქსირდა შემდეგი მიმართულებით:


- მიმდინარე ხარჯები განათლებაზე;
- ადამიანური კაპიტალი და კვლევები;
- ბაზრის კაპიტალიზაცია;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა;
- ცოდნის გავრცელება ქვეყნის მასშტაბით და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გარდა, საქართველოს კიდევ ბევრ ინდიკატორში აღენიშნება მნიშვნელოვანი ჩავარდნა, რაც საბოლოო ჯამში შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია, როგორც ინოვაციური პოტენციალის რაოდენობასთან, ისე მისი განხორციელების პირობებთან. ამიტომ ინოვაციების ინდექსს ძირითადად მაჩვენებლების 2 ჯგუფის ჯამით ანგარიშობენ: 1. არსებული რესურსები და ინოვაციების განხორციელების პირობები (Innovation Input), რაც მოიცავს ინსტიტუტებს, ადამიანურ კაპიტალსა და კვლევებს, ინფრასტრუქტურას, შიდა ბაზრისა და ბიზნესის განვითარებას; 2. ინოვაციის განხორციელებისას მიღწეული პრაქტიკული შედეგები (Innovation Output), რომელშიც შედის: ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ცოდნის განვითარება, კრეატიული საქმიანობის შედეგები. ამრიგად, საერთო მაჩვენებელი არის თანაფარდობა ხარჯსა და ეფექტს შორის, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ქვეყანაში ინოვაციების განვითარების ეფექტურობის ხელშეწყობა.



სურ. 2.5. საქართველოს ტექნოლოგიური მზაობა (2014წ.)



სურ. 2.6. საქართველოს ინოვაციური განვითარების ფაქტორები

ცხრილებიდან ჩანს, რომ განვითარების მეორე ძირითადი საფეხურის, ეფექტიანობის მამოძრავებელი და გამაძლიერებელი კომპონენტების მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური მზაობა, საქართველო არის 67 პოზიციაზე (საერთო ქულა 3,85) და მოყვანილი 7 კომპონენტიდან შედარებითი უპირატესობა მიენიჭა ერთს - ინტერნეტის სისწრაფე მომხმარებელზე, ხოლო დანარჩენ 6 კომპონენტში აღინიშნება არახელსაყრელი მდგომარეობა (ნახ. 6.).

გაცილებით რთულად არის მდგომარეობა ინოვაციებისა და მისი განვითარების ფაქტორების მხრივ: 121 პოზიცია (საერთო ქულა 2,71) და შვიდივე კომპონენტი არასახარბიელო მდგომარეობაშია (ნახ.2.6).

გლობალური ინდექსების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ადამიანური კაპიტალის გავლენა ინოვაციური პროცესების აქტიუზაციაზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეზე.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

- ძირითადი მოთხოვნები (სახ. ინსტიტ., ინფრასტ., მაკროეკ. გარემო, სავაჭარო განათლ., ჯანდაცვა)
- ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (უმაღლესი განათლება, შრომის ბაზარი, ფინ. ბაზრის განვით., ტექნოლოგიების და ბაზრის ზომა)
- ინოვაციური ფაქტორები - ბიზნესი, ინოვაციები

- **ცოდნის ინდექსით (ცი)** იზომება ქვეყნის უნარი შექმნას, აითვისოს და გავრცელოს ცოდნა. მეთოდოლოგიურად ცოდნის ინდექსი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია ცოდნის ეკონომიკის სამი ძირითადი საყრდენის მიხედვით: განათლება და ადამიანური რესურსები, ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.
- **გლობალური ინოვაციის ინდექსი**
ინსტიტუტების განვითარება,
ადამიანურ კაპიტალსა და კვლევებს,
ინფრასტრუქტურას, შიდა ბაზრისა და ბიზნესის განვითარებას;
ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ცოდნის განვითარება.
ადამიანური განვითარების ინდექსი.
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა,
განათლების დონე,
მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ჩვენ მიერ წარმოდგენილია ოთხი ინდექსის შემადგენელი ფაქტორები და ვხედავთ, რომ ერთი და იგივე ფაქტორი მეორდება ოთხი გლობალური ინდექსის შემადგენლობაში. რაც ადასტურებს მჭიდრო ურთიერთკავშირსა და პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას კონკურენტუნარიანობის დონესა, ინოვაციური განვითარების და ადამიანის განვითარებას შორის, ანუ, რაც უფრო მაღალია ქვეყანაში ადამიანის განვითარება (კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი სამივე დონეზე - ინდივიდუალური, კორპორატიული, ეროვნული), მით უფრო მაღალია მისი ინოვაციური პოტენციალი და კონკურენტუნარიანობის დონე.

ანალიზის შედეგად მივიღეთ იმ ფაქტორების დამოკიდებულება ინოვაციური განვითარების დონეზე, რომელთა საშუალებითაც ხდება ადამიანური კაპიტალის ფორმირება, როგორცაა „დაწყებითი განათლება“, „უმაღლესი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე“, „შრომითი ბაზრის ეფექტიანობა“ და „ინოვაციური პოტენციალი“.

ამრიგად, განათლება, ცოდნის კაპიტალი ხდება ადამიანური კაპიტალის ფორმირების უმთავრესი ფაქტორი ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისთვის.

ინოვაციურად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ეკონომიკა, სადაც ადამიანური კაპიტალი (ცოდნა) უწყვეტად ახორციელებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სიახლის შემოტანას. შესაბამისად, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი გახდა ინოვაციური ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ფაქტორი, კომპანიების, დარგების, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველი.

2.2 გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციაზე

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების არსებით უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ახალ „ცოდნის ადამიანზე“ ორიენტირებული ეკონომიკისა და ადამიანური კაპიტალის, როგორც კონკურენტუნარიანობის განსაკუთრებული რესურსის როლის ამაღლება თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში.

ადამიანური კაპიტალი თავისი კრეატიულობისა და ინოვაციების შექმნის რესურსით, უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება თანამედროვე საზოგადოებაში.

კვლევაში განხილულია გლობალიზაციის ფაქტორები, როგორცაა: მეცნიერება, ტექნოლოგია და ტექნოლოგიური ცოდნა, მაღალი ტექნოლოგიები, გამოგონება, ინოვაცია, განათლება და დახასიათებულია ადამიანური

კაპიტალის ძირითადი ელემენტები: ცოდნა (პროფესიული და ზოგადი);
ჯანმრთელობა; მოტივაცია; მობილობა და სხვა.

მეცნიერულ ლიტერატურაში არსებობს გლობალიზაციის მრავალი განმარტება, რაც ასახავს მისი ფენომენის და მასთან დაკავშირებული პროცესების სირთულეს და მნიშვნელობას. როგორც წესი, მეცნიერები: კ.ბერგერი, ე.გიდენსი, ა. კოზმინსკი, მ.აკულიჩი, ა. გალაგანი, ვ. იაკოვეცი, ა.აბრალავა, ე. ბარათაშვილი და სხვები, თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში განიხილავენ გლობალიზაციის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ასპექტების ჭრილში.

ვ.იაკოვეცი აღნიშნავს, რომ ერთის მხრივ, მკაფიოდ იკვეთება მეცნიერული პროგრესის გლობალური ხასიათი, ეროვნული საზღვრების გარეშე, რომელიც ახდენს ინოვაციური იდეების და მეცნიერების გაცვლას; ასევე იკვეთება უწყვეტი განათლების გლობალური კონტურები, კრეატიული პედაგოგიკის და ეფექტურ ინფორმაციულ ტენოლოგიებზე დაყრდნობით.¹

ჩვენ გვინდა განვიხილოთ გლობალური პროცესების გავლენა ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციაზე.

ა. ტურჩინოვი გლობალიზაციას განსაზღვრავს, როგორც ადამიანური კაპიტალის (ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსები) გადანაწილების ფორმად, და მათ აკუმულირებას იმ ქვეყანაში, რომელსაც ესაჭიროება ეს რესურსი და შეუძლია მოღვაწეობის და კვლავწარმოების საუკეთესო პირობებით უზრუნველყოფა².

გლობალიზაცია ცვლის წარმოდგენას ადამიანის როლის შესახებ საზოგადოებაში, და აყალიბებს ადამიანების გლობალურ მენტალობას.

¹ Яковец Ю.В. Глобализация и взаимодействие цивилизаций. – М., ЗАО «Изд-во «Экономика», 2001. – с.346.

² Турчинов А.И. Глобализация и проблемы интеллектуальных ресурсов общества. URL: <http://spkurdyumov.narod.ru/D36Turchinov.htm> (дата обращения: 02.03.2016)

ჩვენ ვიზიარებთ ი.მაიბუროვის აზრს რომ გლობალიზაციის წამყვანი ფაქტორი არის განათლება, მეცნიერება და კულტურა¹.

შესაბამისად თანამედროვე კვლევები და კონცეპტუალური მიდგომები გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, წამყვანი როლი და ყურადღება უნდა იყოს მიმართული გლობალური საგანმანათლებლო პროცესებისადმი, კერძოდ უმაღლესი განათლებასა და მეცნიერებისაკენ, რომლებიც ინოვაციური განვითარების ერთადერთი ინსტრუმენტია.

ცოდნა და ინფორმაცია და მათი მზარდი როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, წარმოადგენს ასევე მთავარ ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის და საზოგადოების კეთილდღეობის. იწვევს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას, რომელთა საშუალებით არის შესაძლებელი ახალი ცოდნის მაღალი სიჩქარით გავრცელება, რაც თავისთავად ეკონომიკური გლობალიზაციის წამყვანი ფაქტორია.

გლობალიზაციის პროცესები ითხოვს არსებული საგანმანათლებლო სისტემების სწრაფ ადაპტაციას და ტრანსფორმაციას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

უნივერსიტეტი არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ადამიანის მენტალობის ტრანსფორმაცია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისკენ.

შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ რომ საგანმანათლებლო სისტემა, კერძოდ, უნივერსიტეტი არის წამყვანი ფაქტორი გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

¹ Майбуров И. Глобализация сферы высшего образования // Мировая экономика и международные отношения. – 2005. – № 3. – С. 10-17.

ახალი ინოვაციური ტექნოლოგიები ითხოვს სპეციალისტების ცოდნის განახლებას. ვინაიდან მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებს შეუძლიათ მაღალტექნოლოგიური პროცესების მართვა.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა. საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მსოფლიოში მე-19 ადგილზეა, ხოლო ზოგადად, გლობალიზაციის დონით – 63-ზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის გლობალიზაციის ინდექსი 2012 წლის მონაცემებს ეყრდნობა. ციურხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 191 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს ეფუძნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე **საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით** განისაზღვრება. ჩვენ ყურადღებას ძირითადად ეკონომიკურ გლობალიზაციაზე გავამახვილებთ.

2010 წელს აშშ-ის ადამიანური კაპიტალის ღირებულებამ 95 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 77%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალის 26% მოდის აშშ-ზე (მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი ნაკლებია და 20%-ს შეადგენს), რუსეთზე - 8%, ჩინეთზე - 7%, ბრაზილიასა და ინდოეთზე - 2-2%, ევროკავშირის ქვეყნების წილი კი 57%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალი შეადგენს მსოფლიო სიმდიდრის 67%-ს. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის შეადგენს 30%-ს, რუსეთისთვის - 50%-ს. უმეტესი ქვეყნებისათვის ადამიანური კაპიტალი აღემატება ეროვნული სიმდიდრის ნახევარს (გარდა ოპეკ-ის ქვეყნებისა).¹ **შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე**

¹ მერაბ ჯულაყიძე, ადამიანური კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, (08.01.2016), http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=27606

არსებობს პირდაპირი კავშირი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანი პოზიციების მიღწევის უნარსა და ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეს შორის.

კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება ხელს უწყობს ინტენსიური ეკონომიკური ზრდის ამაღლებას, მოსახლეობის დასაქმებასა და კეთილდღეობას, ინოვაციური დარგების განვითარებას და ა.შ.

ჩვენი ამოცანა:

1. ადამიანური კაპიტალის, როგორც ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის ძირითადი პირობის როლის განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში; ისეთი კატეგორიების არსის ჩამოყალიბება, როგორცაა „ადამიანური კაპიტალი“ და „კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი“;

2. საქართველოში ადამიანური კაპიტალის ფორმირების პროცესზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენა;

3. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პირობებში ადამიანური კაპიტალის ხარისხის დონის ამაღლების გზების ძიება;

4. განვითარებული ადამიანური კაპიტალის შექმნაში მეცნიერული საგანმანათლებლო კლასტერების როლის განსაზღვრა.

აუცილებელია კონცეპტუალური დასაბუთება და ურთიერთკავშირების გაანალიზება ეკონომიკაში ინოვაციური პროცესებისა და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბების პროცესებს შორის, მათი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაზე. დასმული ამოცანის მნიშვნელობიდან და მათი სირთულის ხარისხიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება თანამედროვე პირობებში მოითხოვს ინოვაციურ ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის გაძლიერებას. ეს კი საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის ეფექტური ფორმის შექმნის საფუძველი გახდება.

რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე და სიცოცხლის ხანგრძლივობა. რაც უფრო მაღალია მოსახლეობის შემოსავლების დონე, მით უფრო მაღალია საზოგადოების განათლების ხარისხი და რაც უფრო მაღალია ადამიანის ინტელექტი, მით უფრო მეტია მისი შემოსავალი.

იმისათვის, რომ ქვეყანა აღნიშნულ პირობებში იყოს წარმატებული, მან თავი უნდა დაიმკვიდროს როგორც საინტერესო საქმიანობა პარტნიორმა და აწარმოოს მაღალტექნოლოგიური, უნიკალური კონკურენტუნარიანი პროდუქტი/მომსახურება მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, მაღალი კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს. მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი დონე შეესაბამება კულტურის, განათლების, პროფესიონალური მომზადების მაღალ დონეს და კარგ ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც არის კონკურენტუნარიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, კერძოდ, ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში, რომელიც ეფუძნება ადამიანის უნარებსა და ცოდნის მაქსიმალურ გამოყენებას.

გლობალიზაციის პროცესები მოქმედებს არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ფაქტორებზე, არამედ მთლიანობაში ეროვნულ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით, საწარმოებისა და სახელმწიფოების ინოვაციური შესაძლებლობები, რომლებიც ყალიბდება ადამიანური კაპიტალის უშუალო მონაწილეობითა და საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსებით, თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე, ადამიანთა საქმიანობა ეროვნული ეკონომიკის სიმდიდრის წყაროა, მაგრამ მისი კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მასში განხორციელებულ ინვესტიციებზე.

უშუალოდ ადამიანური კაპიტალი არის ფენომენი და გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საწარმოების კონკურენტ-

ტუნარიანობის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ინოვაციები, როგორც ადამიანური კაპიტალის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი, უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზარზე წარმოებულ მალატექნოლოგიური პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა უნდა დაიწყოს საბაზრო გარემოს კონკურენტუნარიანობითა და მაკროეკონომიკური წონასწორობის შექმნით. უაღრესად აქტუალურია ასეთი პირობების ფორმირება მალატექნოლოგიური საწარმოებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ინოვაციების შექმნის, ათვისებისა და კომერციალიზაციის ინტეგრირებას ახდენენ.

სახელმწიფოს დონეზე მხარდაჭერა გულისხმობს ქვეყანაში არა მხოლოდ ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნასა და სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას, არამედ საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსების განვითარების უზრუნველყოფას გლობალური ეკონომიკის პირობებში. ამ ამოცანის გადაწყვეტაში არსებით როლს ასრულებს საზოგადოების საგანმანათლებლო პროცესის მაღალი ხარისხი, როგორც ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის ძირითადი ფაქტორი.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ინოვაციურ-ეკონომიკურ განვითარებას უშლის ხელს, არის ყველა დონის კვალიფიკაციის კადრების მზარდი დეფიციტი. ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია უმაღლესი განათლების კვალიფიციური ცოდნის ფართო სპექტრის მქონე სპეციალისტების მოსამზადებელ უმაღლეს სასწავლებლებს.

გლობალიზაციის პირობებში ასეთი სპეციალისტები იქნებიან მოთხოვნადი, როგორც მალატექნოლოგიურ ბიზნესში, ასევე ინოვაციური მიმართულების კომპანიებისათვის.

ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ უნივერსიტეტებს; ეს გამოიხატება არა მხოლოდ საგანმანათლებ-

ლო მომსახურების გაწევით, არამედ მეცნიერულ-კვლევითი ამოცანების გადაჭრის გზით. ამასთან, ეს ორი მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირში უნდა იყოს.

განათლება, როგორც სპეციალიზებული კვალიფიკაციებისა და ცოდნის შენახვის, ცოდნის განვითარებისა და თაობიდან თაობამდე გადაცემის პროცესი (**ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია**) და ასევე მეცნიერება და კვლევა, როგორც საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლების შესაძლებლობა, განსაზღვრავს უნივერსიტეტების დანიშნულებას, როგორც ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ტრანსფერს.

აქედან გამომდინარე, პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში საწარმოს განვითარების ძირითადი ფაქტორი გამოდის ცოდნის კომერციალიზაციის პროცესი. ეს ნიშნავს მეცნიერების შედეგების გამოყენებას, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გადატანას მრეწველობაში (მომსახურებაში) და ინოვაციური საწარმოების შექმნას, მაგრამ სახელმწიფო და მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ ამგვარი ამოცანების რეალიზაცია ეტაპობრივად, ყველა დაინტერესებულ კომერციულ სუბიექტებთან და **სახელმწიფო სტრუქტურებთან.**

სხვადასხვა სახის ინოვაციების შექმნის ბირთვის ადამიანები წარმოადგენენ და საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური კაპიტალის სრულყოფის, დაგროვებისა და ეფექტიანი გამოყენების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკაში საწარმოს ინოვაციური საქმიანობის განვითარება.

შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების კონკრეტული სასწავლო პროგრამები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თანამედროვე ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მოთხოვნების ადეკვატური უნდა იყოს და ოპერატიულად უნდა რეაგირებდეს ამ მოთხოვნებზე.

აქ კიდევ ერთხელ, შევხებით საქართველოში არსებული უნივერსიტეტების რეიტინგების პრობლემას, რომელიც შესაცვლელია და დასამატე-

ბელია სხვადასხვა კრიტერიუმები და მათ შორის დასაქმების კრიტერიუმები.

საჭიროა მუდმივი ტრენინგების პროგრამები და პროფესიული გადამზადების ეფექტური სისტემების შექმნა და განვითარება.

აღსანიშნავია, სასკოლო დაწესებულებებში და უნივერსიტეტებში არსებული არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და შესაძლებლობები.

სტანდარტები შეტანილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოთხოვნებში, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სრულად ამ სტანდარტების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო სტანდარტების საზოგადოებისა და დამსაქმებლის მოთხოვნებთან მიახლოება ყველა დონეზე, სწავლის ხარისხის ამაღლება განათლების სისტემისთვის ახალ გამოწვევად იქცა. ეს, თავის მხრივ, მოახდენს ყველა კატეგორიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის ამაღლებასა და **ინოვაციური პროგრამების შექმნას.**

მაგალითად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გაიარა სახელმწიფო აკრედიტაცია და გაიხსნა ახალი ფაკულტეტი **მეღვინეობა-მევენახეობა.** ფაკულტეტი მიზნად ისახავს ტრადიციული ქართული მეღვინეობისა და ქართული ჯიშის ვაზის აღორძინებას და წარმოებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შეთავაზებას ქართული ღვინის კომპანიებისათვის, მეღვინეობის დარგის მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას.

საქართველო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებით გამორჩეული ქვეყანაა, რაც დიდ პერსპექტივებს უქმნის მისი ეკონომიკის განვითარებას. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნით ადამიანურ კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების მდგომარეობაზე დაკვირვება სწორედ ამ დარგში. შესაფასებელი მონაცემები ცხრ. 2.2-შია მოყვანილი:

ცხრილი 2.2.

საქართველოს ღვინის მწარმოებელ საწარმოებში წარმოების მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2009-2013 წლებში

მაჩვენებლები	2009		2010		2011		2012		2013	
	ათასი დეკალ.	ათასი ლარი	ათასი დეკალ.	ათასი ლარი	ათასი დეკალ.	ათასი ლარი	ათასი დეკალ.	ათასი ლარი	ათასი დეკალ.	ათასი ლარი
ნატურალური ღვინო და ღვინომასალა, გარდა ცქრიალა ღვინისა	1399.8	57359.3	2475.6	84878.4	2904.7	112412.7	4499.1	154982.0	6551.5	283491.5
ცქრიალა ღვინო (შამპანური)	121.8	8856.2	114.2	8376.4	138.8	10827.8	123.7	9240.2	164.5	12313.8
სულ	1521.6	66215.5	2589.8	93254.8	3043.5	123240.5	4622.8	164222.2	6716.0	295805.3
დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, კაცი	2212		3431		2893		4255		4689	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.-<http://www.geostat.ge/>

ცხრილში მოყვანილი მონაცემები ავლენენ ამ დარგში წარმოების მოცულობის ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის შეუსაბამობას. ამავე დროს, ყველაზე მაღალრეიტინგულია სწორედ ის კომპანიები (სააქციო საზოგადოებები: თელავის ღვინის მარანი, თბილღვინო, თელიანი ველი, შპს ბადაგონი, შატო მუხრანი და სხვები), რომლებშიც დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. ამ კომპანიებში ხშირად იწვევენ კონსულტანტებსა და პროფესიონალებს, ატარებენ ტრენინგებსა და პროფესიულ სემინარებს, სტაჟირებებს ახდენენ ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე რეიტინგულ კომპანიებში წარმოების ზრდა-განვითარებასა და ინოვაციურობას განაპირობებს არა მათში დასაქმებულთა რაოდენობის მატება, არამედ ხარისხიანი, მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის გამოყენება. ამიტომ, ღვინის კომპანიებმა მეტი ძალისხმევა უნდა მოახმარონ თავიანთი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას და

პროფილური კადრების მომზადებას, სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკის გატარებასა და დასაქმებას.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩვენ ვხედავთ დინამიკაში შეუსაბამობას წარმოების ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის. რამაც გამოიწვია დამატებითი კვლევის ჩატარების აუცილებლობა. მოვიძიეთ ამ დარგში კომპანიების რეიტინგი. შედგენილი კითხვარისა და გამოკითხვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ის კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს თანამედროვე ეკონომიკაში მოწინავე ადგილებს იკავებენ რეიტინგში¹, ესენია:

სს „თელავის ღვინის მარანი“

სს „თბილღვინო“

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“

შპს „დუგლაძეების ღვინოების კომპანია“

სს „თელიანი ველი“

შპს „საქართველოს ღვინის სახლი“

შპს „ბადაგონი“

შატო მუხრანი

შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“

შპს „გრუზვინპრომი“

რეიტინგის ათეულში შესული კომპანიების მიერ ბოლო წლების განმავლობაში გამახვილებული იყო ყურადღება ინოვაციური პროცესებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე როგორც საწარმოო, ისე პროგრამების კუთხით. მათ მიერ კეთდებოდა აქცენტები კომპანიების ბიზნეს-პროცესების მართვაზე, ადამიანური კაპიტალის განვითარება-დაგროვებაზე, როგორც პროფესიონალებისა და კონსულტანტების მოწვევის სახით, ისე ტრენინგებისა და პროფესიონალური სემინარების ჩატარების მიმართულებით, უცხოეთში სტაჟირებებით ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის.

ყოველივე ამან გამოიწვია ამ კომპანიების განვითარება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ექსპორტზე გატანა. აღნიშნულ კომპა-

¹საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო:<http://www.geostat.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-27.04.2016


ნიებში ტოპ-მენეჯმენტი დაკომპლექტებულია მაღალი დონის მენეჯერებით, რომლებსაც ძირითადად განათლება მსოფლიოს რეიტინგულ უნივერსიტეტებში აქვთ შეძენილი.

კვლევამ გვიჩვენა, რომ რეინტიგულ კომპანიებში, მიუხედავად წარმოების ზრდისა, დასაქმებულთა რაოდენობა არ იზრდება იქიდან გამომდინარე, რომ ინოვაციების დანერგვა მოითხოვს ხარისხიან და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანურ კაპიტალს და არა რაოდენობრივ ზრდას.


ცხრილი 2.3

ღვინის მწარმოებელ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2006- 2013 რაოდენობა

(საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)									
								/კაცი/	
მაჩვენებლის დასახელება	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	4020	3111	2590	2212	3431	2893	4255	4689	



სურ. 2.7. ღვინის მწარმოებელ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2006- 2013 რაოდენობა



სურ. 2.8. საქართველოს ღვინის ექსპორტის დინამიკა

კომპანიების მხრიდან საჭიროა:

- ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროცესების დანერგვა საწარმოებში, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- არსებული მენეჯერების გადამზადება და მათი შენარჩუნება კომპანიაში;
- უფრო გამოცდილი და მაღალანაზღაურებადი კადრების დაქირავება;
- ტოპ-მენეჯმენტის მიერ თანამშრომლების სხვადასხვა გადამზადების პროგრამებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება - მუდმივი სწავლის რეჟიმი.
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა პროფესიული თანამშრომლების მოსამზადებლად, სტუდენტების სტაჟირება, პრაქტიკა, დასაქმება.

ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური განვითარება - ეს გრძელვადიანი პროცესია. განათლების სისტემა, სამეცნიერო სექტორის განვითარება და გაძლიერება, თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, სხვა ქვეყნებიდან შემოტანა და დანერგვა, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა – მიზანმიმართულ პოლიტიკას, სტრატეგიას, ქვეყნის ყველა სექტორის ჩართულობასა და თანამშრომლობას მოითხოვს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ყველა სექტორის განვითარებასა და გაძლიერებას გულისხმობს – განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მაღალ დონეს, კერძო სექტორის, საფინანსო ინსტიტუტების, საკონსალტინგო კადრების, წარმოების, ბაზარზე კონკურენციის არსებობას, საგადასახადო შეღავათებისა და წახალისების პოლიტიკის გატარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალ დონეს, კერძო საკუთრების დაცვისა და ხელშეუხებლობის გარანტიებს, პოლიტიკურ სტაბილურობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზის შედეგად, საქართველოში ჩამორჩენა შემდეგი მიმართულებით: ინოვაციების უნარი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, კომპანიების ხარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარებისათვის, თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და კომპანიებს შორის, მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა/ხელმისაწვდომობა, კლასტერების განვითარება, წარმოების პროცესის დახვეწილობა, უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობა, კომპანიის დონეზე ტექნოლოგიების ათვისება.

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს კონკურენტული ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვება-გამოყენების პროცესის ხელშემწყობი აქტიური სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტაციას და გამოიწვევს შესაბამისად ჩამორჩენილი მიმართულებების გაუმჯობესებას:

- განათლების ხარისხი;
- კვლევითი ორგანიზაციების ხარისხი;
- უნივერსიტეტებისა და დარგების თანამშრომლობა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- ინოვაციური შესაძლებლობების დანერგვა;

- ინოვაციური ტექნოლოგიების ტრანსფერი;
- ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობა.

რაც შესაძლებელს გახდის საქართველოს ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციას „ცოდნის ადამიანის“ დონეზე, ინოვაციური პროცესების აქტივიზაციასა და შესაბამისად, ეკონომიკური მაჩვენებლებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

2.3 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების განვითარების პრობლემები გლობალიზაციის ეპოქაში

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინსტიტუციების, ადამიანური კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. ასეთი კონდიციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების, მეცნიერების, ინდუსტრიული და აგრარული სექტორების განვითარების, დარგობრივი და სოციალური სტრუქტურების სრულყოფისა და ა.შ. გზით.

საქართველოში რეფორმების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟინრინგული, კოლსანტინგური, საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექპორტს რამდენეჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.). წლების განმავლობაში საქართველოში სახეზე გვაქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი,

ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა, არაეფექტიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას. სახეზეა ასევე სამუშაო ძალის არასასურველი მიგრაცია. უცხოეთში იმყოფება კვალიფიციური, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი არაკვალიფიციური სამუშაოების შესასრულებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეროვნულ ადამიანისუფლ კაპიტალს და ა.შ. ყოველივე ეს წინააღმდეგობაშია ინოვაციური ეკონომიკის პრინციპებთან.¹

განსაკუთრებით ძლიერ განუვითარებელი და არაეფექტიანია ქვეყნის საინოვაციო სისტემა, კერძოდ:

1. სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: შეუდარებლად მცირეა მეცნიერთა ხელფასი, საგანგაშოდ კლებულობს მათი რაოდენობა, მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში და ა.შ.

2. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნასა და ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

3. დაბალ განვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდელო, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები).

¹ http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/2014-2020samoq_gagma.pdf, გვ.9-10, უკანასკნელად შემოწმებულია, 20.04.2016

4. თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.).

5. არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები და სხვ.

6. დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, არ არსებობს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა და ინოვაციური მცირე საწარმოები.

7. არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი **საინოვაციო პოლიტიკა** - შესაბამისი სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი; არ არსებობს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმები.

8. არ არსებობს მუდმივი კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, ზალიან მცირეა და არასტაბილური სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე.

9. შესაბამისად, არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები. ინოვაციების იმპორტი შედარებით ხორციელდება მხოლოდ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც განაპირობებს ის, რომ არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დამაბულობა და სხვ.

10. ბიზნესი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. იმყოფებიან რამდენიმე კონკურენციულ ბრძოლაში საზღვარგარეთის ფირმებთან, კარგავენ ბაზრებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ფირმებისათვის დამახასიათებელია ინოვაციური საქმიანობის დაბალი დონე.

ამიტომ, რომ საქართველოს საინოვაციო პოტენციალისა და ტექნოლოგიების ათვისების უნარის რეიტინგებში დაბალი შეფასებები აქვს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით ვითარდება არა ინოვაციური გზით.¹

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისა – მან უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების მაქსიმალური დაცვა; ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ოპტიმალური გადასახადები და სოციალური დახმარებები; მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს მეცნიერების განვითარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დასაწერგვად, ინოვაციების განხორციელების გზით და ა.შ. სწორედ სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა და განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით და ა. შ. მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითდინებით.

ბოლო წლებში, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღინიშნება მეცნიერების როლის გათვითცნობიერებისადმი ინტერესის ახალი აღმავლობა. იგი ბევრ მიზეზზეა დამოკიდებული, რომელთა შორის საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ თანამედროვე მსოფლიოში ცალკეული ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური ზრდის ტემპები, მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზაზე გლობალური კონკურენციის გამძაფრება, საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც რიგ ქვეყნებში ზღუდავს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობებს და სხვა. ამასთან ერთად, ძლიერდება ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის ტემპების დიფერენციაცია და, აქედან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკების სამეც-

¹ http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/2014-2020samoq._gegma.pdf, გვ-9-10, გადამოწმებულია უკანასკნელად 10.05.2016

ნიერო-ტექნიკური განვითარების დონეთა შორის სხვაობა. ასე მაგალითად, წამყვანი ქვეყნების ხუთეული - აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯავენ უფრო მეტ სახსრებს, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ამასთან, აღნიშნულ ხუთეულში აშშ-ს წილი 50%-ს აღემატება.¹

მეცნიერული მიღწევები და მოწინავე ტექნოლოგიები ქმნიან ბაზას საერთაშორისო ინტეგრაციისათვის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებში. ამავე დროს, მსოფლიო სამეცნიერო-საინოვაციო კომპლექსის ფეხზე დაყენებას და განვითარებას ახასიათებს საკუთარი კანონზომიერება, რაც აუცილებლად აისახება საქართველოს პრაქტიკაში, რომლის სამეცნიერო-საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივების დასაბუთებული შეფასება შეუძლებელია მსოფლიოს ტენდენციების გათვალისწინების გარეშე და დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესების ტემპების მუდმივ ზრდასთან.

ზოგადად გლობალიზაციის არსი მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ინტეგრაციაში მდგომარეობს. მსოფლიო მიისწრაფის ინტეგრაციის უფრო სრულყოფილი, ძირითადად საბაზრო მოგებითა და ეკონომიკური ეფექტიანობით სტიმულირებული მექანიზმებისაკენ, რომელიც ემყარება გარდაქმნის ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებებს: საერთაშორისო ვაჭრობა (დაბალი სავაჭრო ბარიერები და მეტი კონკურენცია), ფინანსური შემოსავალი (უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ტექნოლოგიური ლიცენზირება და სხვა), კომუნიკაციები (მასმედია, ინტერნეტი), ტექნოლოგიური წინსვლა (ტრანსპორტი, ეკონომიკა, ბიოსაინჟინრო და მონათესავე დარგები), საზოგადოების მოძრაობა (მოზილურობა), კერძოდ, შრომის სფეროში.

ეკონომიკის გლობალიზაცია - ეს არის ობიექტური მსოფლიო პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. იგი პლანეტას ერთიან ორგანიზმად

¹შ. ჭალაგანიძე, ე.ჭალაგანიძე, სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 2.04.2016

აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას. ეკონომიკის გლობალიზაცია - არის სისტემაშემქმნელი, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიკის მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც იქმნება ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლის, საერთაშორისო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის განვითარების, უამრავი ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებისა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნის შედეგად. დღეს მსოფლიოს 100 განვითარებულ ქვეყანას შორის 51 ქვეყნის ეკონომიკა გახდა ტრანსნაციონალური სისტემის შემადგენელი ან ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებული ნაწილი. სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების გლობალიზაცია ან მზარდი ურთიერთდამოკიდებულება სარგებლიანობისა და დანაკარგის თანაბარი განაწილების გარანტიას არ იძლევა. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აიძულებს სხვადასხვა ქვეყნებს ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ, რადგან გლობალური მსოფლიოს ერთ ნაწილში კოლაფსი სწრაფად გადაეცემა მეორეს.¹

გლობალიზაცია, თავისი არსით, მასშტაბური მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი გავლენას ახდენს ადამიანზე, მის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ სტატუსზე, მის განწყობასა და პიროვნულ განვითარებაზე, ფასეულობებსა და მისწრაფებაზე. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს საერთო ინფორმაციულ სივრცეს, ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის ინტენსიფიკაციას, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერების დარგში, მეცნიერულ-ტექნოლოგიური-ინფორმაციული მიღწევების სწრაფ დანერგვას პრაქტიკაში და სხვა.

გლობალიზაციის პროცესები მოქმედებს არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ფაქტორებზე, არამედ მთლიანობაში ქვეყნის განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით, საწარმო-

¹შ. ჭალაგანიძე, სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია, <http://www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library.exe>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -2.05.2016

ებისა და სახელმწიფოების ინოვაციური შესაძლებლობები, რომლებიც ყალიბდება ადამიანური კაპიტალის უშუალო მონაწილეობითა და საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსებით, თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

განვიხილოთ, თუ რა ფაქტორები მოქმედებს გლობალიზაციის პირობებში (ასტიმულირებენ თუ აფერხებენ) ადამიანური კაპიტალის თვისებების განვითარებაზე.

გლობალიზაციის პროცესების პოზიტიური გავლენის შეფასება არც ისე ძნელია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ქმნის სერიოზულ საფუძველს ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრისათვის.

უპირატესობები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- გლობალიზაცია ხელს უწყობს სპეციალიზაციის გაღრმავებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებას;
- გლობალიზაციის პროცესების მნიშვნელოვან უპირატესობად მიიჩნევა მდგრადი ეკონომიკური ზრდა, წარმოების მასშტაბების ეკონომიის ხარჯზე;
- გლობალიზაციის პროცესების უპირატესობა, ასევე უკავშირდება მოგებას თავისუფალი ვაჭრობიდან, ყველა მონაწილე მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებით;
- გლობალიზაციის პროცესები აძლიერებს კონკურენციას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, განვითარებისა და გავრცელების ხარჯზე; გლობალიზაციის პირობებში პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ტემპი ბევრად აღემატება მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპს. ეს წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს ტრანსნაციონალური კომპანიების შექმნისას, რაც, თავის მხრივ, უშუალო მოქმედებას ახდენს ნაციონალურ ეკონომიკაზე;
- გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებას. გლობალიზაციის პროცესები მსოფლიო ეკონომიკაში ხელსაყრელია,

პირველ რიგში, მომხმარებლისთვის, ვინაიდან კონკურენცია მათ საქონლის ფართო არჩევანისა და ფასების შერჩევის შესაძლებლობას აძლევს;

- გლობალიზაცია, მსოფლიო მასშტაბით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას უწყობს ხელს გლობალურ დონეზე წარმოების რაციონალიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელებისა და ინოვაციების უწყვეტი დანერგვის ხარჯზე;

- გლობალიზაცია ქვეყნებს დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზების საშუალებას აძლევს;

- გლობალიზაცია ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრის სერიოზულ საფუძველს ქმნის, კერძოდ: ეკოლოგიური პრობლემები, რესურსების კონსოლიდაცია, სხვადასხვა დარგში კოორდინირებული მოქმედებები და ა.შ.;

მაგრამ ბევრ დადებით და პოზიტიურ მახასიათებლებთან ერთად გლობალიზაციის პროცესებს თან ახლავს რიგი პრობლემები, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია მსოფლიო მასშტაბით ნეგატიური შედეგების გამოწვევა, კერძოდ:

- გლობალიზაციის პროცესების უპირატესობების არათანაბარი განაწილება ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების ჭრილში;

- ეროვნული ეკონომიკის შესაძლო დეინდუსტრიალიზაცია;

- ძლიერი სახელმწიფოების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკაზე კონტროლის სადავეების მოპოვების შესაძლებლობა;

- ფინანსური სფეროს შესაძლო დესტაბილიზაცია, რეგიონული ან გლობალური პოტენციური არასტაბილურობა მსოფლიო დონეზე ნაციონალური ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე.

გლობალიზაცია ნაკლებად განვითარებული (განვითარებადი) ქვეყნებისთვის, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, ხასიათდება კიდევ რიგი ნაკლოვანებებით:

- განვითარებული ქვეყნებისგან ტექნოლოგიური ჩამორჩენა;

- მარგინალიზაცია (სოციალური ჯგუფების დაშლის პროცესი);
- მოსახლეობის ძირითადი მასების გადატაკება;
- ქვეყნის საგარეო ვალის ზრდა, რაც პირდაპირ აფერხებს პროგრესს;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას და ზრდის სოციალურ დაძაბულობას;
- ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ საკუთარი ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენება;
- უმუშევრობის ზრდა;
- სამუშაო ძალის მობილობა, ანუ მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია.

საქართველოში ადამიანური კაპიტალის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე ამჟამურებს გლობალიზაციის საფრთხეებს და ახალი პრობლემების და გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყანას.

ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალური ინდექსით (GII 2013) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2014 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსით (ICI) მას 131 ქვეყანას შორის 44-ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (GCI) 2013-2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის სუსტ პოზიციებს იკავებს (იხ. თავი 2.1).

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად არაერთი ღონისძიება გატარდა, მოსახლეობის მიერ ამ საშუალების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით

(2013-2014) საქართველო შედარებით უკეთეს, თუმცა, კვლავ არასახარბიელო პოზიციაზეა:

- მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი;
- 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი.

ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს საექსპორტო კალათის შემადგენლობისა და დინამიკის ანალიზისას გამოვლინდა რამდენიმე სუსტი მხარე: ა) საბაზრო წილის შემცირება ძირითად ბაზრებთან და პროდუქტებთან მიმართებაში; ბ) პროდუქტის დივერსიფიკაციის დაბალი მაჩვენებლები და გ) ექსპორტული ფირმების სიცოცხლისუნარიანობის დაბალი მაჩვენებელი რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. შექმნილ ვითარებაში პროდუქტიულობისა და ექსპორტის ზრდისათვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ინოვაციური პოტენციალის, ადამიანური კაპიტალისა და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. ინოვაცია და მეწარმეობა სამუშაო ადგილების წარმოქმნისა და პროდუქტულობის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, თუმცა ამ სამი მნიშვნელოვანი მიმართულებით საქართველოს პროგრესი მაღალი არ არის, რაზეც სხვადასხვა რეიტინგულ სიებში საქართველოს დაბალი რეიტინგული ადგილი მიუთითებს.¹

საქართველოს პოზიცია ინოვაციასთან და ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებულ საერთაშორისო რეიტინგებში (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (77/144)) საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს ეფექტიანობის ხელშეწყობი ფაქტორების ჯგუფში (განათლება და უნარები, ინოვაცია, ბიზნესის განვითარება, ფინანსური ბაზარი).

¹ თ. ბრეგვაძე, მ. დალაქიშვილი, კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015, <http://tco.iliauni.edu.ge/images/files/needsassessmentreport.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2016.

გლობალური ინოვაციის ინდექსი ((GII) (73/ 141) საქართველო ე.წ „არა-ეფექტიანი ინოვატორების“ ჯგუფშია გლობალური ტექნოლოგიების ინდექსი (88/142) დაბალია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ქსელების მზაობის ინდექსი (60/148). მსოფლიო ბანკის მიერ 2013 წელს განხორციელებული საწარმოთა გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3 % ფლობს ბიზნესს, მაშინ როდესაც სხვა განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 16 %-ს შეადგენს. საქართველოში კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციების წილი ძალიან დაბალია არაკვლევით ინოვაციებთან შედარებით - ძირითადად ხდება ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების გარეთ შესყიდვა. მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მეზობელ ქვეყნებში ბიზნეს-სექტორში კვლევაზე დაფუძნებულ ინოვაციებზე დანახარჯების წილი 60%-ს შეადგენს (Innovation Union Scoreboard, 2014)¹

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია არის ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის კანონზომიერი შედეგი. ინოვაციების დანერგვა განაპირობებს მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლის კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. მაგრამ, ეს პროცესები მოითხოვს ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებს, ვინაიდან პერსონალის მაღალი განათლების დონე, მრავალმხრივი უნარები, არასტანდარტული აზროვნება, კომუნიკაბელურობა აუცილებელი წინაპირობაა კომპანიის მაღალი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად.

დღეისათვის, ცოდნა, ინფორმაცია, ადამიანური კაპიტალი ხდება როგორც სახელმწიფოს, ისე საწარმოს მთავარი სტრატეგიული რესურსი და წინსვლაზე ორიენტირებული კომპანიები უდიდეს ყურადღებას აქცევენ კომპანიისათვის საჭირო დარგებში თავიანთი პერსონალის უწყვეტი განათლების სწორ ორგანიზაციას.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა საერთაშორისო კომპანია „შაბოს“ განვითარების დინამიკა, რომელმაც ანალოგიურ პრობლემებს გაუმკლავდა

¹ <https://era.gv.at/object/document/1275/attach/20140327-innovation-union-scoreboard-2014.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.03.2016.

ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებით და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით.

„შაბო“ - ღვინისა და კონიაკის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელია უკრაინაში (ადგილობრივ ბაზარზე საბაზრო წილის 28%).

კომპანიის პროფესიული გამოცდილება მოიცავს - მევენახეობას, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის: კუპაჟირებული ღვინის, უკრაინული კონიაკისა და ბრენდის, ყურძნის არყის, ცქრიალა ღვინისა და ვერმუტის წარმოებას, ღვინის კულტურის ცენტრს, რომელიც აღიარებულია, როგორც კულტურული მემკვიდრეობა და შეტანილია ევროპის მუზეუმების ღვინის რუკაში.

კომპანიას აქვს მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარებული კულტურა, აწარმოებს სოციალურად პასუხისმგებელ ბიზნესს.

„შაბოს“ საკუთარი ვენახების ფართობია - 1200 ჰა, 30-ზე მეტი სახეობის 3.5 მილიონი ვაზის ნერგი (იხ.დანართი 10).


როგორც ცხრილიდან ჩანს, 2005 წელს ღვინის გაყიდვებმა შეადგინა 1 მილიონი ბოთლი, საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა იყო ნული. კომპანიას მიიჩნია, რომ დადგა აუცილებლობა საერთაშორისო დონის წამყვანი სპეციალისტების მოწვევის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეების განახლების და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა.

2010 წელს ღვინის გაყიდვებმა შეადგინა 25 400 000 ბოთლი, საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა იყო ნული და ამ ეტაპზე კომპანიამ დაიწყო ეტაპობრივი მოდერნიზაცია და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

ამის შედეგად, 2013 წელს ღვინის გაყიდვებმა შეადგინა 30 500 000 ბოთლი, საექსპორტო პროდუქციის (ღვინო და კონიაკი) რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 1 000 000.

2013 წელს კომპანია „შაბომ“ გაიარა სერტიფიკაცია ISO 9001:2008 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაზე.

2013 – 2014 წელს კომპანია „შაბომ“ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო პრესტიჟულ სადეგუსტაციო კონკურსებში და მიიღო ხარისხის 20 მედალი «Commended», «SILVER» и «Bronze» - «Decanter World Wine Awards» და «International Wine Challenge», «SILVER» – Mundus Vini, «Chardonnay du Monde».



ნახ. 2.9. კომპანია „შაბოს“ პროდუქციის გამოშვების დინამიკა

2015 წელს ღვინის გაყიდვებმა შეადგინა 28 100 000 ბოთლი, საექსპორტო პროდუქციის (ღვინო და კონიაკი) რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 1 800 000 ათასი ბოთლი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კომპანიის სწრაფი განვითარებისა და სწორი სტრატეგიის კარგი მაგალითი. ნათელია, რომ როგორც კი კომპანიამ დაიწყო ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია, საწარმოს მოდერნიზაცია, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროცესების დანერგვა, მან 56%-ით გაზარდა საექსპორტო პროდუქციის გაყიდვა, მისი კონკურენტუნარიანობის ხარჯზე და მკვეთრად გაზარდა მთლიანი პროდუქციის წარმოების (გაყიდვების) მოცულობა.

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კომპანია, რომელიც ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციასა და ინვესტირებაზე, ინოვაციური ტექნოლოგიების

დანერგვაზე, საექსპორტო ბაზრების ზრდაზე და ა.შ., აუცილებლად აღწევს წარმატებას. მიუხედავად მსოფლიოში რთული ეკონომიკური მდგომარეობისა და ეკონომიკური კრიზისისა, კომპანია ინარჩუნებს სტაბილურ მდგომარეობას.

ჩვენი აზრით, საქართველოს ღვინის კომპანიებისთვის, როგორც ისტორიული მეღვინეობის ქვეყნისთვის, საინტერესო იქნება „შაბოს“ წარმატების გზის შესწავლა და მაგალითად გამოყენება.

ვფიქრობთ რომ, საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის ისტორია, ქართული ჯიშის ყურძნები, კერძოდ „საფერავი“ გვაძლევს შანსს, ჩვენც არა პატარა შატობით და მწვადით უმასპინძლოთ სტუმრებს, ტურისტებს, ბიზნესმენებს, ინვესტორებს, არამედ მსოფლიო დონის ღვინის მუზეუმებით და კულტურული ცენტრებით, რომლებიც იქნება აღიარებული როგორც საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა და საამაყო ადგილს დაიკავებს ევროპის ღვინის რუკებზე.

თავი III. საქართველოში ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის სისტემის პერსპექტიული ხედვა

3.1 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციების განვითარების სწრაფი გარღვევის სტრატეგია

ამ თავში, წარმოდგენილი გვაქვს ახალი გლობალური გამოწვევების და რეალობის ანალიზი, ასევე, თუ როგორ ხდება ამას საქართველო, რა პოლიტიკით და სტრატეგიით უნდა გაუმკლავდეს იგი მათ. აქ პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ მთავარ შეკითხვებს:

- რა ადამიანური კაპიტალი გააჩნია დღეს საქართველოს და არის თუ არა ის საკმარისი ინოვაციური აქტივიზაციისათვის და სწრაფი გარღვევის მოსახდენად?

- არის თუ არა დღეს საქართველოში მმართველობითი რგოლი, ლიდერები, გუნდი (სახელმწიფო ინსტიტუტებში, ბიზნესში, მეცნიერებაში...), რომელიც შეძლებს ინოვაციური პოლიტიკის და სტრატეგიით დასახული გეგმების განხორციელებას?

- რა სტრატეგია და პოლიტიკა გააჩნია ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისთვის, ადამიანური კაპიტალის გამოყენებით ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროცესების გადასაჭრელად და ცოდნის ეკონომიკის საფეხურზე გადასასვლელად?

- რამდენად გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიაში ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანად ჩამოყალიბება ახალ ბაზრებზე გასასვლელად, კლასტერების და ტრანსნაციონალური კორპორაციების მეშვეობით?

- ითვალისწინებს თუ არა ინვესტიციების ზრდას ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევებში, ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

გლობალიზაციის ეპოქაში, ცოდნის ეკონომიკის საფეხურზე გადასასვლელად ქვეყნები აქცენტს აკეთებენ ცოდნის ადამიანის-კონკურენტული

ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვება-გამოყენებაზე. გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური განვითარების ინიციატორი, როგორც წესი, არის სახელმწიფო შემდეგი ფაქტორების გამო:

სახელმწიფოს მიერ ხდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირება და შესრულება. ის ვალდებულია სწორად დაგეგმოს სტრატეგიული პროგნოზირება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის პარამეტრები. კონკურენტუნარიანობის ზრდას ქვეყანა ვერ მიაღწევს ინოვაციური აქტივიზაციის გარეშე. შესაბამისად, ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა განვითარების სტრატეგიის ბირთვია.

ინოვაციური პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ დონეზე მართვის ხარისხზე. მნიშვნელოვან როლს ინოვაციური მოდერნიზაციის გზაზე თამაშობს მმართველი გუნდის კომპეტენტურობა და განვითარების დონე¹.

ჩვენი აზრით, მმართველი ელიტის როლი ადამიანური კაპიტალის და ინოვაციური პროცესების განვითარებაში გადამწყვეტია და სტრატეგიული.

პროფესორი ანზორ აბრალავა მიიჩნევს რომ, ქვეყნის ეკონომიკური ხელმძღვანელობის ხარისხის საკითხი გლობალიზაციის ეპოქაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, ხარისხიანი და ეფექტიანი ეკონომიკური მართვისთვის კი ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს შექმნილი შემდეგი ძირითადი წანამძღვრები:

- სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგიის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის, მის შესახებ წარმოდგენებისა და შეთანხმებული პრინციპების არსებობა;
- იმ მმართველთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელთაც პროფესიული მომზადება და გამოცდილება აქვთ;
- მმართველ ჯგუფში პასუხისმგებლობის უნარის დამკვიდრება.

¹ბალაიანი ა.ა., „პოლიტიკური ელიტა და თანამედროვე რუსეთის ინოვაციური განვითარება-, რუსულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია- პოლიტიკა -ინოვაციური განვითარების ფაქტორი., 2010., გვ.,17

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას უკიდურესად ჭირდება მაღალპროფესიული, მაღალზნეობრივი და ეროვნულად ორიენტირებული ელიტა.

გლობალიზაციის ვითარებაში სახელმწიფო მართვის კონტექსტში აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: რადგან სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი სუბიექტია, გლობალიზაციის გამოწვევები პირველ რიგში სწორედ სახელმწიფოსკენაა მიმართული.¹

საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების და ინოვაციური აქტივიზაციის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ მომზადებულია შემდეგი სახელმწიფო დოკუმენტები:

- „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ (2013წ.)
- რეგიონალური განვითარების სტრატეგია (2010წ.)
- საქართველოს საინოვაციო კონცეფცია (2012წ.)
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005)
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ(2007)
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004წ.)
- საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ(2015წ.)
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (2014წ.)

დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამები და ჩამოყალიბდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სსიპ "ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ აშენდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი. ტექნოპარკმა უნდა

¹ ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. სტუ, თბილისი, 2009., გვ. 78

შექმნას ერთიანი ეკოსისტემა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელი შეუწყოს ინოვაციური იდეების განვითარებას. ტექნოლოგიური პარკი დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზებს ისეთ რესურსებს, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ისე დიდ ოფისებს კომპანიებისათვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს. პარკის ტერიტორიაზე იმუშავებს აქსელერატორი, მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგ-ცენტრები და შოუ-რუმები, იქნება მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, co-working ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას. ტექნოლოგიური პარკის შექმნის მთავარი მიზანი არის ცოდნაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება. ტექნოლოგიური პარკი ასევე იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობები და მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები.

ტექნოლოგიური პარკი, ერთი მხრივ, ბიზნესს მისცემს უახლეს ტექნოლოგიებთან წვდომის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ნიჭიერ ადამიანებს ხელს შეუწყობს იდეების კომერცი-ალიზაციაში მსოფლიოს უმსხვილეს და ცნობილ მაღალტექნოლოგიურ კომპანიებში.¹

მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროს ჩართულობები და შემუშავებული სტრატეგიები ამ მიმართულებით, რამაც უნდა უზრუნველყოს განათლების და ცოდნის ფორმირების საერთაშორისო სტანდარტები. მაგრამ სახელმწიფოს პროგრამები და ინიციატივები საქართველოში, როგორც წესი პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩება. „საქართველო 2020- განვითარების სტრატეგია როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდოლოგი-

¹ <http://gita.gov.ge/ge/events>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -14.05.2016

ურად ინკლუზიური ზრდის (ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას არა გადანაწილების პოლიტიკით, არამედ მათი ჩართულობით ეკონომიკურ აქტივობაში) მოდელის კონცეფციის მიხედვით არის აგებული.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების და მართვის სქემის შემუშავება. ეს აქტუალურია, მითუმეტეს იმ დროს, როცა სახელმწიფო აპარატის და ინსტიტუტების შენახვაზე სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარხები იზრდება.

ცხრილი 3.1.

ბიუჯეტით გათვალისწინებული სამთავრობო ხარჯები (2010-2015 წწ.)¹

წელი	შრომის ანაზღაურება		საქონელი და მომსახურება		მთლიანი სამთავრობო ხარჯი	
	მლნ ლარი	% წინა წელთან	მლნ ლარი	% წინა წელთან	მლნ ლარი	% წინა წელთან
2010	993	5%	882	-1.7%	1875	1.9%
2011	1 012	2%	989	12.2%	2001	6.7%
2012	1 049	4%	1 061	7.3%	2111	5.5%
2013	1 188	13%	766	-27.8%	1953	-7.5%
2014	1 318	11%	854	11.5%	2172	11%
2015	1 408	7%	964	12.9%	2372	9%

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი ხედვა ადამიანური კაპიტალის და ინოვაციური განვითარების სწრაფი გარღვევის გზების და მიდგომების შესახებ საქართველოში.

კიდევ ერთხელ გვინდა ავღნიშნოთ რომ, ჩვენ კვლევაში ადამიანური კაპიტალის სქემა შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი:



სურ. 3.2. ადამიანური კაპიტალის სამი დონე

¹ <http://www.mof.ge/>, „უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -9.03.2016“

შესაბამისად, განვითარების მიმართულებებიც გვინდა წარმოვადგინოთ სამივე დონეზე.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ცოდნაში, განხორციელებული ინვესტიციები გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე ძირითად ფონდებში. აქედან გამომდინარე, ეროვნული ადამიანური კაპიტალის ხარისხი და ღირებულება დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე და ქვეყნის ინოვაციური განვითარება ადამიანური კაპიტალის ხარისხზე, რაც მეტყველებს პრობლემის კომპლექსურობაზე. ვინაიდან, საქართველოს შემთხვევაში ცოდნის ინდექსის და გლობალური ინოვაციების ინდექსის ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოდ, რომ ეს ღირებულება არც ისე მაღალია.

ჩვენ გვინდა ჩამოვყალიბოთ სწრაფი გარღვევის სტრატეგიული ხედვა აღნიშნული მდგომარეობის და პრობლემების დასაძლევად.

მაგრამ, გლობალიზაციის პირობებში ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენებისას აქტუალური ხდება ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რომლებიც ინოვაციურ პროცესებს უზრუნველყოფენ ეროვნულ ფესვებზე და ტრადიციებზე, პოლიტიკურ და კულტურულ თავისებურებაზე დაყრდნობით.¹

ადამიანური კაპიტალის სამივე დონე, აქტივების სტრუქტურიდან გამომდინარე, საჭიროებს ინვესტიციებს, ხოლო **ინვესტიციები პროფესიულ**

-ინოვაციურ მართვას, დივერსიფიკაციას, როტაციას და მონიტორინგს.

მაგრამ აქვე დგება დღის წესრიგში ცოდნის მენეჯმენტის (მართვის) აქტუალობა. შესაბამისად ჩვენი, სტრატეგიული მიმართულებები მოიცავს მართვის (მენეჯმენტის) ხედვებს ადამიანური კაპიტალის და ცოდნის კაპიტალის განვითარების კუთხით.

ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანურ კაპიტალში, აქტივების მიხედვით **ინვესტიციების მართვის** საკითხები.

¹ აბრალავა ა., ეკონომიკის და ბიზნესის გლობალურ - ინოვაციური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014., გვ., 70

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მეცნიერები გამოყოფენ ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების შემდეგ ძირითად მიმართულებას:

- ინვესტიციები აღზრდაზე;
- ინვესტიციები განათლებაში;
- ინვესტიციები ჯანმრთელობაში;
- ინვესტიციები მობილობაში;
- ინვესტიციები ინფორმაციულობაზე;
- ინვესტიციები უსაფრთხოებაზე.

ძირითადი ინვესტორი ადამიანურ კაპიტალში არის სახელმწიფო, რომელიც გამოყოფს სახსრებს მოსახლეობის განათლებაში (დაწყებითი, საშუალო, სახელმწიფო უნივერსიტეტები და ა.შ.), ჯანდაცვაში, კულტურაში, უსაფრთხოებაში და ა.შ. **მიზანი** - ეკონომიკური სტაბილურობა, განვითარება, ადამიანური კაპიტალის დაგროვება-გამოყენება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებს, ასევე, ახორციელებენ კომპანიები პროფესიული ზრდისთვის, ჯანმრთელობაში, შრომის უსაფრთხოებაში. **მიზანი**-კომპანიის მომგებიანობის ზრდა, სოციალური პასუხისმგებლობა.

ოჯახის მიერ განხორციელებული ინვესტიციებია განათლების თანადაფინანსება სხვადასხვა დონეზე, მორალურ-ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება, მისაღები საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა. **მიზანი** - პროფესიული მისწრაფებების დაკმაყოფილება, სოციალური სტატუსის მოპოვება, მატერიალური კეთილდღეობა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სწრაფი გარღვევის სტრატეგია, თავისი სახელწოდების მიუხედავად, საჭიროებს არანაკლებ 6-8 წელს, პირველი შედეგების რეალურად მისაღწევად.

საერთაშორისო ინდექსების და ფაქტიური მდგომარეობის შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანური კაპიტალის და ინოვაციური განვითარების სწრაფი გარღვევის სტრატეგიული ხედვა.

სტრატეგიის მიზანი:

- კონკურენტუნარიანი, ინოვაციურობაზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის ფორმირება;
- ადამიანურ კაპიტალში დაგეგმილი და განხორციელებული ინვესტიციების მართვა და მონიტორინგი;
- ცოდნის მართვა სახელმწიფო დაწესებულებებში და კომპანიებში;
- ინოვაციური თანამშრომლობის სქემის ჩამოყალიბება - სახელმწიფო -მეცნიერება- განათლება-ბიზნესი;
- ინოვაციურად მოაზროვნე თაობის ფორმირება გლობალიზაციის გამოწვევების და ცოდნის ეკონომიკის ამოცანების გადასაჭრელად.

სტრატეგიის ამოცანები:

- საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის ამაღლება; მეცნიერების სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გაზრდა ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნის და მომსახურების კუთხით; ახალგაზრდა კადრების მოზიდვა მეცნიერების სფეროში;
- უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაზრდა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისად, განათლების ხარისხის ზრდის გზით. პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამები სრულად ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება. ამასთან, მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების ეფექტური მექანიზმების დანერგვა და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა-

ბისტვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა.

აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა ბიზნესისა და საჯარო სექტორის ისეთი ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერისათვის, რომელიც ეხება განათლებასა და მეცნიერებას, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს, კვლევასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების გაუმჯობესების უმთავრესი წინაპირობაა განათლების ადმინისტრატორების, პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება.

რეალობა გვიჩვენებს, რომ პროფესიონალი კადრები წარმოადგენს პრობლემას, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორში. ჩვენი ხედვით, ეს პრობლემა საქართველოში არის სისტემურ-კომპლექსური. ამასთან, პირველ რიგში ადამიანური კაპიტალის მთავარი აქტივის განათლების (ცოდნის) კაპიტალზე გავამახვილებთ ყურადღებას. პრობლემების განხილვისას ვხედავთ არსებული ცოდნის და ადამიანური კაპიტალის მართვის აუცილებლობას და შესაბამისად, ცოდნაში ინვესტიციების მართვის და მონიტორინგის სისტემების დანერგვას.

სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია შემდეგი სამკუთხედი: სახელმწიფო - განათლების სისტემა (მეცნიერება) - ბიზნესი. ეს უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის დაგროვება-გამოყენებას და, შესაბამისად ინოვაციური პროცესების აქტივიზაციას.

ვინაიდან ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის შედეგი არის ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული ინოვაციების დანერგვით და განვითარებით. ინოვაციურობა არის კიდევ ერთი არსებითი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის კონკურენტულ პოზიციებს თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკის ეპოქაში. საქართველოში განსაკუთრებით დაბალია ინოვაციის


ხარისხი (იხ. მე-2 თავი ინოვაციების გლობალური ინდექსი), ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება ყველა პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. სახელმწიფო დონეზე უნდა ხდებოდეს კომპანიების მიერ ინოვაციების დანერგვის წახალისება საკანონმდებლო და საშეღვათო პირობების ჩამოყალიბებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აქტივიზაციას.

ასევე, თავიდანვე უნდა იყოს გააზრებული საინვესტიციო პოლიტიკა და შესაძლებლობები ამ მიმართულებით, და აქაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ფონდების და უცხოური საინვესტიციო კომპანიების მეშვეობით თანადაფინანსების ხელსაყრელი პირობების შეთავაზება, პარალელურ რეჟიმში კვალიფიციური ადამიანური რესურსის ფორმირება, ინოვაციების მომსახურებისათვის.

მაღალეფექტიან ინდუსტრიულ ეკონომიკებში დღეს განსაკუთრებით განვითარებულია გამოგონებებისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. ასეთი ბიზნესის განვითარება, სათანადო დარგის სპეციალისტებთან ერთად, ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტის ექსპერტების აუცილებელ მონაწილეობასაც მოითხოვს. ასეთი სპეციალისტების საქმიანობის ასპარეზი მარტო ბიზნესით არ შემოიფარგლება. ისინი მონაწილეობენ ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, ინოვაციების შექმნასა და მათ დანერგვაში, მეცნიერებატევადი საქონლის ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტოდ მომზადების წარმართვაში.

ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებისათვის საფუძვლიანი პლატფორმის შესაქმნელად მუდმივად უნდა ხდებოდეს ინოვაციების, პატენტების შესყიდვა, მათი მოდიფიცირება და დანერგვა. ამ გზით ქვეყანა შეძლებს დააგროვოს ცოდნა და თავად დაიწყოს ინოვაციების შექმნა, დაპატენტება, გამოყენება, ექსპორტი და გადავიდეს განვითარების ახალ დონეზე, რასაც ეწოდება **ცოდნის ეკონომიკა**.

შემდეგ თავში, ჩვენ გავაანალიზებთ სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინვესტიციების და ხარჯების დინამიკას და ვეცდებით გავაანალიზოთ მათი უკუგება და ეფექტიანობა ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების ფორმირების ფაქტორების კრილში.



სურ. 3.3. ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების პროცესების მართვის სტრატეგია

3.2 ადამიანური კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების მართვის ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელი

ჩვენი აზრით, ეკონომიკის განვითარებას და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციას საქართველოში შემდეგი ურთიერთდამოკიდებული ფაქტორები აფერხებს:

1. სახელმწიფო ინოვაციური განვითარების პოლიტიკის არარსებობა.

კვლევისა და ინოვაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების შედეგად კვლევისა და ინოვაციის პროცესის ძირითად მონაწილეთა ქმედებები უფრო გრძელვადიანი, მიზანდასახული, გააზრებული და უსაფრთხო გახდება. გამომდინარე კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკიდან, კვლევისა და ინოვაციის მართვის სისტემას, ეროვნულ კვლევით პოტენციალზე დაყრდნობით, შეუძლია ხელი შეუწყოს დეტალური პოლიტიკების შემუშავებას მრავალ სფეროში, პირველ რიგში კვლევასა და ინოვაციასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ისეთ სფეროებში, როგორცაა სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვა, საინფორმაციო საზოგადოების განვითარება, ენერგეტიკა, კვების პროდუქტების წარმოება, გარემოს დაცვა და სხვ.¹

ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო პროგრამის მე-3 თავში - „პრიორიტეტები - ნათქვამია შემუშავდეს საქართველოს მდგრადი და რეალური ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზნების სრულიად შესაბამისი კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკა²

- კვლევისა და ინოვაციების სფეროში ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საქართველოს მიზანს, უზრუნველყოს მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური განვითარება;

¹ საინოვაციო პოლიტიკის მონახაზი: რეკომენდაციები ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. კოალიცია „ინოვაციური საქართველო“, თბილისი, 2013 [www.inovdev.ge/uploads/files/70646Kolalicia_Geo.pdf], „უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 4.04.2016

² ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა, ევროკავშირი-საქართველო, 2012 წ., გვ.3-4

- განათლების სფეროს რეფორმირებაზე მიმართული ძალისხმევის შემდგომი განმტკიცება ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- უმაღლესი განათლების სექტორის რეფორმირების მიზნით თანამშრომლობის განმტკიცება ბოლონიის პროცესის კონტექსტში;
- ქართველი მეცნიერების, სტუდენტების და მკვლევარების/მეცნიერების მონაწილეობის გააქტიურება საერთაშორისო გაცვლის ისეთ პროგრამებში, როგორცაა „ტემპუსი“ (TEMPUS), „ერაზმუს მუნდუსი“ (Erasmus Mundus), „მარი კიური“ (Marie Curie), „ჟან მონე“ (Jean Monnet), „ევროკავშირის ჩარჩო პროგრამები FP6; FP7“ (European Community Framework Programmes FP6; FP7);
- ცხოვრების მანძილზე სწავლისა და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისება, აგრეთვე, განათლების, მეცნიერების და ტრენინგის სფეროში შემდგომი რეფორმების მხარდაჭერა, ადამიანური რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- საჯარო მოხელეებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- მეცნიერების მართვის სისტემის რეფორმირება სათანადო საკანონმდებლო ბაზის, ისეთი ფინანსური მოდელის და მართვის საშუალებით, რაც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო მიღწევებზე, პოტენციალის ზრდასა და ერთობლივ ინიციატივებზე;
- განათლების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო პროგრამებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;

2. ინოვაციების განვითარების მაკოორდინერებელი სახელმწიფო სტრუქტურის არარსებობა.

რომელსაც ექნება ინსტიტუტების და სამინისტროების ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგის და კონტროლის კომპეტენცია. ამ დაწესებულებებში არსებული ინოვაციური განვითარების პროექტების და

პროგრამების ერთიან საინოვაციო პოლიტიკის სისტემაში მოსაქცევად. მაგალითად ამერიკაში ასეთი სტრუქტურაა მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ოფისი, საფრანგეთში განათლების და მეცნიერების სამინისტრო, იაპონიაში ეკონომიკის სამინისტრო და პრემიერ მინისტრთან არსებული მეცნიერების საბჭო და ა.შ.

სახელმწიფო-მეცნიერება-ბიზნესის ურთიერთკავშირის და თანამშრომლობის არ არსებობა. თავის მხრივ, ბიზნეს-კომპანიები მიიჩნევენ, რომ უმაღლესი განათლების კონტექსტში ბიზნესის მხრიდან კვლევის დაფინანსების დაბალი მაჩვენებლები განპირობებულია კვლევითი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით და არსებული ადამიანური კაპიტალის დაბალი დონით, რომლებსაც არ შეუძლიათ კონკურენტუნარიანი, დარგზე ორიენტირებული კვლევების განხორციელება.

3. ადამიანური კაპიტალის, მეცნიერების და ინოვაციების განვითარების არაეფექტიანი ინვესტირება.

ჩვენი აზრით, საჭიროა მკაცრი კონტროლის და მონიტორინგის დაწესება მიმდინარე ხარჯებზე, მათი ეფექტურობის კვლევა, სწრაფი განვითარებისათვის საპროგნოზო ინვესტიციების დაგეგმვა. დაბალია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების შედინების მაჩვენებლები, რაც საფრთხეს უქმნის ცოდნის ეფექტურ გადაცემასა და სამეცნიერო პოტენციალის მუდმივ განვითარებას. ქვეყანაში არ არსებობს მეცნიერების სფეროში შეთანხმებული პრიორიტეტები და განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციური აქტივიზაციისათვის.

4. ადამიანური კაპიტალის ხარისხი და დაბალი მზადყოფნა ინოვაციური განვითარებისთვის.

დღეისათვის საქართველოში არსებული ადამიანური კაპიტალის ხარისხი მზად არ არის მდგრადი ინოვაციური კვლევისა და განვითარებისთვის. როგორც ვნახეთ, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს მაჩვენებლები ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებით დაბალია და ნაკლებად ამზადებს კვალიფიციურ რესურსებს სამუ-

შაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ღვინის კომპანიებში დამსაქმებელთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სამუშაო ძალის განათლება და პროფესიონალიზმი ინოვაციური განვითარების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

5. განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ინკუბატორები, აქსელერატორები, ტექნოპარკები საერთო სამუშაო სივრცეები და ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისები (TTO) - მსოფლიოში გავრცელებული ინსტრუმენტებია სტარტაპების და კომპანიებში ინოვაციების ხელშეწყობისათვის. საქართველოში ამ კუთხით სერიოზული ჩამორჩენაა და მსგავსი სტრუქტურები ძირითადად ტრენინგებით არიან შემოფარგლული თავიანთ საქმიანობაში. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დედაქალაქს გარეთ და სოფლებში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ხარისხი. განსაკუთრებით სოფლად და დაბებში. მიუხედავად ამ სექტორის განვითარების საკმაოდ მაღალი ტემპისა, ბიზნეს და სამეცნიერო სექტორში ამ ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები დაბალია.

6. ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა ინოვაციებისათვის.

2014-2015 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, ფინანსების ხელმისაწვდომობა ქართველი მეწარმეებისათვის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. მხოლოდ 12%-ს აქვს სესხი და 14%-ს აქვს წვდომა კრედიტზე, დანარჩენები კი შიდა ინვესტიციებით სარგებლობენ. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული კრედიტის 94% კერძო კომერციულ ბანკებზე მოდის, ძალიან რთული საგარანტიო პირობებით (ჩვეულებრივ უძრავი ქონების სახით, რომლის საერთო ღირებულება სესხის ოდენობის 220%-ია). გარდა ამისა, სესხები გაიცემა მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ამ პირობებითაც კი საქართველოში მოქმედი ბანკები თავს იკავებენ ინოვაციურ პროექტებში ფულის ჩადებისაგან მაღალი რისკის გამო.

ალტერნატიული დაფინანსების წყაროებია - „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, საპარტნიორო ფონდი, რომლებიც დიდ პროექტებზე არიან ორიენტირებული. ბიზნეს ანგელოზები, ვენჩურული კაპიტალი და სხვა ფორმები ძირითადად ხელმიუწვდომელია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური განვითარება საჭიროებს სახელმწიფო სტრატეგიას და ინოვაციური განვითარების პოლიტიკას. ჩვენი აზრით, საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ წამყვანი ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით მოქმედი პოლიტიკა. ეკონომიკური ზრდის და კეთილდღეობის ასამაღლებლად, განვითარებადი ქვეყნები საკუთარ ძლიერ მხარეებს უნდა დაეყრდნონ, დაგეგმონ შესაბამისი ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, ეფექტიან ინსტიტუტებში, ტექნოლოგიებში და ინოვაციურ და კონკურენტუნარიან საწარმოებში. იმის მაგალითად, რომ სწრაფი პროგრესი შესაძლებელია, შეიძლება გავიხსენოთ კორეა, ირლანდია, მალაიზია და ჩილე. მსოფლიოში წარმატებული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სტიმულატორებით და ამ ქვეყნების შედეგები მსოფლიო რეიტინგებშიც შესაფერისია.

საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა თავის ბუნებით არიან ინოვაციური მიმართულების ქვეყნები, პირველობის, ლიდერობის და მარალტექნოლოგიური ბიზნეს ამბიციებით.¹

აქვე გვინდა გავაანალიზოთ გამომცემლობა ბლუმბერგის 2015 წლის მონაცემებით, წამყვანი ქვეყნების მიერ ინოვაციური განვითარების და კვლევების კუთხით შემუშავებული სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები და სტრატეგიები.²

¹ Лесков, С. Руководитель Федерального агентства по науке и инновациям Сергей Мазуренко: «Инновации – это симбиоз государственной политики и рыночных отношений» // Известия. – 2008. – 3 декабря.

²<http://www.bloomberg.com/graphich/2015-inovative-countries>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -10.02.2016

ქვეყანა	სახელმწიფოს მხარდაჭერა ინოვაციებში
ამერიკა, ჩინეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი	ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მხარდაჭერა, მცირე და საშუალო საწარმოებში
ამერიკა, ჩინეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, შვედეთი	ერთობლივი საწარმოების შექმნა მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების და ბიზნეს სტრუქტურების
გერმანია, დანია, ინდოეთი, ჩინეთი, შვედეთი	ტექნოპარკების და ინკუბატორების გახსნა და მხარდაჭერა
ბრიტანეთი, გერმანია, ნორვეგია, დანია, ინდოეთი, ჩინეთი, ამერიკა, საფრანგეთი	ინოვაციური საწარმოების დაფინანსება, საშეღვათო გრანტები
გერმანია, საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი	ვენჩურული კომპანიების ფინანსური მხარდაჭერა
გერმანია, ამერიკა, საფრანგეთი, შვედეთი	პატენტების მხარდაჭერა
ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი, ჩინეთი, საფრანგეთი	სახელმწიფო მოხელეებს აქვთ უფლება, მეცნიერული სიახლეების დანერგვაში მონაწილეობის
ბრიტანეთი, გერმანია, ნორვეგია, დანია, ინდოეთი,	საგადასახადო შეღავათები ინოვაციური საწარმოებისათვის
ჩინეთი, ამერიკა, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი ბრიტანეთი, გერმანია, ნორვეგია, დანია, ირლანდია, საფრანგეთი	ინოვაციურ პოლიტიკას კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურები ახორციელებენ საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა ინოვაციურ საქარმოებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს

სურ. 3. 4. ქვეყნების სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა და სტიმულატორები

ინფორმაცია ცხადყოფს, რომ პატარა ქვეყნებს შეუძლიათ ლიდერის პოზიციების დაკავება მსოფლიო რუკაზე. ამ ქვეყნების მიერ განხორციელებული ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის

და მართვის კუთხით სტრატეგიებით და მიმართულებებით ვხედავთ, რომ მათი მიდგომები არის გლობალურ-კონცეპტუალური. ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში ასევე საშუალოზე მაღალია სახელმწიფო დანახარჯები (29% - ლატვიაში, 31% - ესტონეთში და 29% - საქართველოში), მაგრამ საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი - 5.7%. შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება საქართველოს ადაპტურ - ტრანსფორმაციული მოდელის ჩამოსაყალიბებლად განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდის და ოპტიმიზაციის მოდელები.

განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება და შედეგების თვისობრივი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად განპირობებული იქნება განათლების ყველა საფეხურზე დაფინანსების ეტაპობრივი ზრდითა და ადეკვატური ინვესტირებით. ჩვენი აზრით, ერთ მოსწავლეზე/ სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების პარალელურად, უნდა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებების გაძლიერებას და მათ მიერ ხარისხის უზრუნველყოფის უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარებას. აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოსაზიდად მექანიზმების შემუშავება.

უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუდმივ ინსტიტუციურ განვითარებას.¹ უმაღლესი განათლების დაფინანსებაში, ერთი მხრივ, დაბალია სახელმწიფო დაფინანსების წილი, ხოლო, მეორე

¹ Skills Mismatch and Unemployment/Labor market challenges in Georgia (2013), WorldBank, <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/15985>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.04.2016

მხრივ, პრაქტიკულად არ არსებობს დაფინანსების სხვა დამატებითი წყაროები. ძირითადი დატვირთვა მოდის შინამეურნეობებზე, რაც განაპირობებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენისათვის.¹

მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი ვერ ქმნის გრძელვადიანი კვლევითი პრიორიტეტების განხორციელების, კლასტერების ჩამოყალიბებას, გაძლიერების და მუდმივი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობებს.

ამისათვის გავანალიზოთ ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციის დონე შემდეგი ელემენტებით: ჯანმრთელობის კაპიტალი (სახელმწიფოს ხარჯი ჯანდაცვაზე), განათლების კაპიტალი (სახელმწიფოს ხარჯი განათლებაზე), კეთილდღეობის კაპიტალი (სახელმწიფოს ხარჯი სოციალურ უზრუნველყოფაზე), კულტურის კაპიტალი (სახელმწიფოს ხარჯი კულტურულ ღონისძიებებზე, ბიბლიოთეკებზე, თეატრებზე და ა.შ.), ინოვაციური და მეცნიერული კაპიტალი (სახელმწიფოს ხარჯი მეცნიერულ კვლევებზე, ინოვაციებზე, გამოგონებებზე და ა.შ.). კვლევისთვის აღებულია 2000- 2015 წლები, ხარჯები მოყვანილია %-ობით მშპ-ის მიმართ .

ცხრილი 3.2.

ინვესტიციები ადამიანური კაპიტალის ელემენტების მიხედვით (<http://www.mof.ge>)

წლები	მშპ (მლნ ლარში) (Y)	ინვესტიცია განათლებაში (ყველა დონე) X1 (მლნ ლარში)	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები X2 (მლნ ლარში)	ინვესტიცია ჯანმრთელობაში X3 (მლნ ლარში)	ინვესტიცია მორალურ-ზნეობრივ აღრზნებაში (დასვენება, კულტურა და რელიგია) X4 (მლნ ლარში)	ოჯახის და ბავშვების სოციალური უზრუნველყოფა X5 (მლნ ლარში)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარში)
2000	7 824,30	29,00	-	29,05	44,76	122,10	276,70
2001	9 620,90	33,00	-	41,70	46,41	156,90	689,10
2002	8 824,300	37,00	-	59,75	48,05	299,70	1 276.7
2003	10 620,900	41,00	9 361,20	29,50	49,70	342,50	1 689.1
2004	9 824,300	65,30	12 361,20	95,40	85,70	477,90	2 276.7
2005	11 620 000,0	385,00	20 117,70	204,20	107,60	627,50	2 689.1

¹ Berryman, S., Mikeladze M. & Andguladze, N. (2011) Assessment of the Education Sector in the Republic of Georgia

2006	13 789 700,0	511,00	17 361,20	225,80	139,10	690,10	3 133,1
2007	16 993 800,0	549,00	22 136,40	256,30	177,20	640,20	3 866,9
2008	19 074 900,0	671,00	31 200,00	313,10	202,10	323,00	4 352,9
2009	17 986 000,0	755,00	39 700,00	363,80	239,50	459,80	4 101,3
2010	20 743 400,0	835,00	38 000,00	454,80	312,20	1 421,40	4 675,7
2011	24,3440,00,0	555 791,00	18 705,00	361052,00	158 878,00	1 551,80	5 447,10
2012	26,167,300,0	637 448,00	26 432,00	401618,00	194 344,00	1 732,30	5 818,10
2013	26,847,400,0	682 544,00	25 456,00	481334,00	144 601,00	1 999,20	5 987,60
2014	29,150,000,0	739 661,00	30 307,00	652906,00	190 258,00	2 384,80	6 491,60

კვლევისთვის ჩვენ მიერ გამოყენებულია რეგრესიული მოდელი, რომელიც ძალიან გავრცელებული მეთოდია მონაცემების ერთმანეთზე დამოკიდებულების ასახვისათვის. მოდელის აგება საშუალებას გვაძლევს მიღებული შედეგების საფუძველზე განვახორციელოთ პროგნოზირება და დაგეგმვა. ასევე, რეგრესიულ ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მიმართული იქნება შედეგზე მოქმედი პრიორიტეტული მიზეზის გამოკვეთაზე.

ჩვენს მაგალითში განვიხილავთ ადამიანურ კაპიტალის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებში განხორციელებულ ინვესტიციებს სახელმწიფოს მიერ. მოდელში გამოყენებული თითოეული ცვლადის ჩართვას სჭირდება თეორიული დასაბუთება.

შერჩეული ამოცანის მოდელირება შეიძლება რეგრესიული მოდელის საშუალებით. დასმული ამოცანის მიზანია დადგინდეს ერთი მხრივ, მთლიან შიდა პროდუქტსა და მეორე მხრივ, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის, როგორცაა: ინვესტიცია განათლებაში (ყველა დონე) X1 (მილიონ ლარში); ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები X2 (მილიონ ლარში); ინვესტიცია ჯანმრთელობაში X3 (მილიონ ლარში); ინვესტიცია მორალურ-ზნეობრივ აღრზდაში (დასვენება, კულტურა და რელიგია) X4 (მილიონ ლარში); ოჯახის და ბავშვების სოციალური უზრუნველყოფა X5 (მილიონ ლარში). აღნიშნული მაჩვენებლები განხილულია 2000-2015 წლების დროითი ინტერვალისთვის.

რეგრესიული ანალიზის მიზანს წარმოადგენს რეგრესიის განტოლების აგება, მისი პარამეტრების სტატისტიკური შეფასებების ჩათვლით. რეგრესიის განტოლება საშუალებას იძლევა ვიპოვოთ დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობა თუ დამოუკიდებელი ცვლადის ან ცვლადების სიდიდეები ცნობილია. წრფივი რეგრესიის აგების ამოცანის ფორმულირება შემდეგი სახით არის შესაძლებელი. ერთ x ცვლადზე დაკვირვების შედეგების საშუალებით უნდა შევაფასოთ და განვსაზღვროთ მეორე, y ცვლადის მოსალოდნელი მნიშვნელობები.

პირველი ფაქტორი: რეგრესიულ მოდელში შემავალი β_0 და β_1 პარამეტრების შეფასებების განსაზღვრისათვის ვისარგებლეთ b_0 და b_1 –ის გამოსათვლელი მექანიზმით პროგრამული პაკეტის ფარგლებში. უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების შეფასება ლეზულობს შემდეგ კონკრეტულ სახეს თითოეული ცვლადის მიხედვით 1 ფაქტორისათვის (იხ. დანართი #):

$$\hat{y} = b_0 + b_1 x_1 ; \text{ შესაბამისად: } \hat{y} = 9108507,809 + 26.79781831 x_1$$

b_1 კოეფიციენტი გამოსახავს x_1 ფაქტორული ცვლადის ერთეული ცვლილების შედეგად წარმოქმნილ შედეგობრივი y ცვლადის საშუალო მნიშვნელობის ცვლილებას. კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომების გამოთვლა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თითოეული კოეფიციენტის მნიშვნელობა და დავადგინოთ ნდობის ინტერვალები. რეგრესიის კოეფიციენტების სიზუსტე მით მაღალია, რაც: რაც მცირეა ნარჩენობითი წევრის დისპერსია; რაც დიდია დაკვირვების რიცხვი; რაც დიდია ამხსნელ ცვლადთა დისპერსიები. დაკვირვებათა რიცხვის გაზრდის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად არსებობს, მაგრამ კვლევის პროცესში 16 წლიანი პერიოდი არის განხილული. კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები იქნება: თავისუფალი წევრისთვის 2386711, ხოლო ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტისთვის 7.031485. რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესაფასებლად განვიხილოთ ჰიპოთეზათა წყვილები:

$$H_0 : \beta_j = 0,$$

$$H_1 : \beta_j \neq 0, j=0,1.$$

$$|t_{b_j}| = \frac{|b_j - \beta_{j0}|}{s_{b_j}},$$

სადაც $\beta_{j0} = 0$, ანუ კოეფიციენტების მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t_{b_0} = \frac{b_0 - 0}{s_{b_0}} = 3,970904635$$

$$t_{b_1} = \frac{b_1 - 0}{s_{b_1}} = 4,559943958$$

თითოეული უნდა შევადაროთ კრიტიკული წერტილს, სტიუდენტის განაწილების ცხრილში თავისუფლების ხარისხით $(n - m - 1)(13)$ და 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის: $t_{კრ} = t_{n-m-1, \delta/2}$.

$t_{b_0} > t_{კრ}$, $t_{b_1} > t_{კრ}$, რაც იმას ნიშნავს, რომ b_0 და b_1 კოეფიციენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს ანუ მათთვის ნულოვანი ჰიპოთეზა დადასტურებული არაა. იგივეს ადასტურებს P-ს მნიშვნელობაც: 0,001393364 და 0,000445171. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები მოდელში უნდა ჩავრთოთ. წყვილური რეგრესიის სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ დისპერსიული ანალიზი ადასტურებს კოეფიციენტების შეფასებით მიღებულ შედეგებს. განვიხილოთ ტოლობა:

$\text{Var}(y) = \text{Var}(\hat{y}) + \text{Var}(e)$, ან მოკლედ: $Q = Q_r + Q_e$ \hat{y} - ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად Q_r და Q_e უნდა შევადაროთ ერთმანეთს.

$$Q_r = \text{Var}(\hat{y}) = 9.13E+14$$

$$Q_e = \text{Var}(e) = 8.17E+14 ; \text{ვამუშავებთ შემდეგი სახის ჰიპოთეზას:}$$

$$H_0: Q_r \leq Q_e$$

$$H_1: Q_r > Q_e$$

$$F = \frac{Q_r/m}{Q_e/n-m-1} = 20,7930889$$

რადგან $F < F_{კრ}$, ამიტომ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია.

საინტერესოა დეტერმინაციის კოეფიციენტის გადაადგილებული და გადაუადგილებელი მნიშვნელობებისა და კორელაციის კოეფიციენტების შედარება.

$$R^2 = 1 - \frac{Q_e}{Q} = 0,597621239$$

გადაუადგილებელი მნიშვნელობაა:

$$\overline{R}^2 = R^2 - \frac{m}{n-m-1}(1 - R^2) = 0,568879899$$

კორელაციის და დეტერმინაციის კვადრატები ერთმანეთის ტოლია.

მეორე ფაქტორი: ამოცანის მიზანია დადგინდეს ერთი მხრივ, მთლიან შიდა პროდუქტსა და მეორე მხრივ, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს შორის, როგორცაა: ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები X2 (მილიონ ლარში). უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების შეფასება დებულობს შემდეგ კონკრეტულ სახეს თითოეული ცვლადის მიხედვით:

$$\hat{y} = b_0 + b_1 x_i; \hat{y} = 1926410,982 + 591,3111568 x_1 \text{ (იხ. დანართი \#)}$$

კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები იქნება: თავისუფალი წევრისთვის 3203065, ხოლო ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტისთვის 138,3069. რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესაფასებლად განვიხილოთ ჰიპოთეზათა წყვილები:

$$H_0 : \beta_j = 0,$$

$$H_1 : \beta_j \neq 0, j=0,1.$$

$$|t_{b_j}| = \frac{|b_j - \beta_{j0}|}{s_{b_j}},$$

სადაც $\beta_{j0} = 0$, ანუ კოეფიციენტების მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t_{b_0} = \frac{b_0 - 0}{s_{b_0}} = 0,13$$

$$t_{b_1} = \frac{b_1 - 0}{s_{b_1}} = 4,96$$

თითოეული უნდა შევადაროთ კრიტიკული წერტილს, სტიუდენტის განაწილების ცხრილში თავისუფლების ხარისხით $(n - m - 1)(13)$ და 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის: $t_{კრ} = t_{n-m-1, \delta/2}$.

$t_{b_0} > t_{კრ}$, $t_{b_1} > t_{კრ}$, რაც იმას ნიშნავს, რომ b_0 და b_1 კოეფიციენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს ანუ მათთვის ნულოვანი ჰიპოთეზა დადასტურებული არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში კოეფიციენტი მნიშვნელოვანი არაა. P-ს მნიშვნელობებსაც თუ განვიხილავთ, 0,896 და 0,00025, დავასკვნით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავისუფალი წევრი მნიშვნელო-

ვანი არაა, ხოლო ზღვრული მაჩვენებელი მნიშვნელოვანია, როგორც 1%-იანი, ასევე 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის.

წყვილური რეგრესიის სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ დისპერსიული ანალიზი ადასტურებს კოეფიციენტების შეფასებით მიღებულ შედეგებს. განვიხილოთ ტოლობა:

$$\text{Var}(y) = \text{Var}(\hat{y}) + \text{Var}(e),$$

$$\text{ან მოკლედ: } Q = Q_r + Q_e$$

\hat{y} – ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად Q_r და Q_e უნდა შევადაროთ ერთმანეთს.

$$Q_r = \text{Var}(\hat{y}) = 1.13E+15$$

$$Q_e = \text{Var}(e) = 1.73E+15$$

ვამუშავებთ შემდეგი სახის ჰიპოთეზას:

$$H_0: Q_r \leq Q_e$$

$$H_1: Q_r > Q_e$$

$$F = \frac{Q_r/m}{Q_e/n-m-1} = 24,76$$

რადგან $F < F_{\alpha}$, ამიტომ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია და მთლიანობაში განტოლება მნიშვნელოვანია.

საინტერესოა დეტერმინაციის კოეფიციენტის გადაადგილებული და გადაუადგილებელი მნიშვნელობებისა და კორელაციის კოეფიციენტების შედარება.

$$R^2 = 1 - \frac{Q_e}{Q} = 0.66$$

$$\text{გადაუადგილებელი მნიშვნელობა: } \bar{R}^2 = R^2 - \frac{m}{n-m-1}(1 - R^2) = 0.63$$

III ფაქტორი: დასმული ამოცანის მიზანია დადგინდეს ერთი მხრივ, მთლიან შიგა პროდუქტსა და მეორე მხრივ, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს შორის, როგორცაა ინვესტიცია ჯანმრთელობაში X3 (მილიონ ლარში). აღნიშნული მაჩვენებლები განხილულია 2000-2014 წლების დროითი ინტერვალისთვის.

უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების შეფასება დებულობს შემდეგ კონკრეტულ სახეს თითოეული ცვლადის მიხედვით:

$$\hat{y} = b_0 + b_1 x_1; \hat{y} = 9388809,804 + 33,59391609 x_1 \text{ (იხ. დანართი\#)}$$

კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები იქნება: თავისუფალი წევრისთვის 2311099,745, ხოლო ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტისთვის 7,601790533.

რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესაფასებლად განვიხილოთ ჰიპოთეზათა წყვილები:

$$H_0 : \beta_j = 0,$$

$$H_1 : \beta_j \neq 0, j=0,1.$$

$$|t_{b_j}| = \frac{|b_j - \beta_{j0}|}{s_{b_j}},$$

სადაც $\beta_{j0} = 0$, ანუ კოეფიციენტების მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t_{b_0} = \frac{b_0 - 0}{s_{b_0}} = 4,06248576$$

$$t_{b_1} = \frac{b_1 - 0}{s_{b_1}} = 4,419210966$$

თითოეული უნდა შევადაროთ კრიტიკული წერტილს, სტიუდენტის განაწილების ცხრილში თავისუფლების ხარისხით $(n - m - 1)(13)$ და 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის: $t_{\alpha} = t_{n-m-1, \alpha/2}$.

$t_{b_0} > t_{\alpha}$, $t_{b_1} > t_{\alpha}$, რაც იმას ნიშნავს, რომ b_0 და b_1 კოეფიციენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს ანუ მათთვის ნულოვანი ჰიპოთეზა დადასტურებული არაა. იგივეს ადასტურებს P-ს მნიშვნელობაც: 0,00116445 და 0,000582872. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები მოდელში უნდა ჩავრთოთ.

კოეფიციენტები მნიშვნელოვანია როგორც 1%-იანი, ასევე 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, რაც იძლევა ამ ეტაპზე განტოლების მნიშვნელოვნების ვარაუდის საშუალებას.

წყვილური რეგრესიის სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ დისპერსიული ანალიზი ადასტურებს კოეფიციენტების შეფასებით მიღებულ შედეგებს. განვიხილოთ ტოლობა:

$$\text{Var}(y) = \text{Var}(\hat{y}) + \text{Var}(e),$$

$$\text{ან მოკლედ: } Q = Q_f + Q_e$$

\hat{y} – ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად Q_r და Q_e უნდა შევადაროთ ერთმანეთს.

$$Q_r = \text{Var}(\hat{y}) = 8.89E+14$$

$$Q_e = \text{Var}(e) = 8.4E+14$$

ვამუშავებთ შემდეგი სახის ჰიპოთეზას:

$$H_0: Q_r \leq Q_e$$

$$H_1: Q_r > Q_e$$

$$F = \frac{Q_r/m}{Q_e/n-m-1} = 19,52942557$$

რადგან $F < F_{\alpha}$, ამიტომ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია და დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განტოლება მთლიანობაში მნიშვნელოვანი, ანუ სანდოა.

საინტერესოა დეტერმინაციის კოეფიციენტის გადაადგილებული და გადაუადგილებელი მნიშვნელობებისა და კორელაციის კოეფიციენტების შედარება.

$$R^2 = 1 - \frac{Q_e}{n} = 0,582456312$$

გადაუადგილებელი მნიშვნელობაა

$$\bar{R}^2 = R^2 - \frac{m}{n-m-1}(1 - R^2) = 0,552631763$$

მოცემული მაჩვენებლები მიუთითებენ ეგზოგენურ და ენდოგენურ ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის კავშირზე.

IV ფაქტორი: დასმული ამოცანის მიზანია დადგინდეს ერთი მხრივ, მთლიან შიგა პროდუქტსა და მეორე მხრივ, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს შორის კავშირი, როგორცაა ინვესტიცია მორალურ-ზნეობრივ აღზრდაში X_4 (მილიონ ლარში).

უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების $\hat{y} = b_0 + b_1 x_1$

შეფასება დებულობს შემდეგ კონკრეტულ სახეს თითოეული ცვლადის მიხედვით:

$$\hat{y} = 9134394,568 + 103,7855615x_1$$

კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები იქნება: თავისუფალი წევრისთვის 2310542, ხოლო ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტისთვის 23.93725. თავისუფალი წევრის სტანდარტული შეცდომა საკმაოდ მაღალია.

რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესაფასებლად განვიხილოთ ჰიპოთეზათა წყვილები:

$$H_0 : \beta_j = 0,$$

$$H_1 : \beta_j \neq 0, j=0,1.$$

$$|t_{b_j}| = \frac{|b_j - \beta_{j0}|}{s_{b_j}},$$

სადაც $\beta_{j0} = 0$, ანუ კოეფიციენტების მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t_{b_0} = \frac{b_0 - 0}{s_{b_0}} = 3,924946231$$

$$t_{b_1} = \frac{b_1 - 0}{s_{b_1}} = 4,460312962$$

თითოეული უნდა შევადაროთ კრიტიკული წერტილს, სტიუდენტის განაწილების ცხრილში თავისუფლების ხარისხით $(n - m - 1)(13)$ და 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის: $t_{\alpha/2} = t_{n-m-1, \alpha/2}$.

$t_{b_0} > t_{\alpha/2}$, $t_{b_1} > t_{\alpha/2}$, რაც იმას ნიშნავს, რომ b_0 და b_1 კოეფიციენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს ანუ მათთვის ნულოვანი ჰიპოთეზა დადასტურებული არაა. იგივეს ადასტურებს P-ს მნიშვნელობაც: 0,001525042 და 0.00052495. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები მოდელში უნდა ჩავრთოთ, ამდენად განსახილველი ეგზოგენური ფაქტორი მნიშვნელოვანია.

კოეფიციენტები მნიშვნელოვანია როგორც 1%-იანი, ასევე 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, რაც იძლევა ამ ეტაპზევე განტოლების მნიშვნელოვნების ვარაუდის საშუალებას.

წყვილური რეგრესიის სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ დისპერსიული ანალიზი ადასტურებს კოეფიციენტების შეფასებით მიღებულ შედეგებს. განვიხილოთ ტოლობა:

$$\text{Var}(y) = \text{Var}(\hat{y}) + \text{Var}(e), \text{ ან მოკლედ: } Q = Q_f + Q_e$$

\hat{y} – ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად Q_r და Q_e უნდა შევადაროთ ერთმანეთს:

$$Q_r = \text{Var}(\hat{y}) = 8.95E+14$$

$$Q_e = \text{Var}(e) = 8.34E+14$$

ვამუშავებთ შემდეგი სახის ჰიპოთეზას:

$$H_0: Q_r \leq Q_e$$

$$H_1: Q_r > Q_e$$

$$F = \frac{Q_r/m}{Q_e/n-m-1} = 19,89439172$$

რადგან $F < F_{3\alpha}$, ამიტომ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია და დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განტოლება მთლიანობაში მნიშვნელოვანი, ანუ სანდოა.

საინტერესოა დეტერმინაციის კოეფიციენტის გადაადგილებული და გადაუადგილებელი მნიშვნელობებისა და კორელაციის კოეფიციენტების შედარება.

$$R^2 = 1 - \frac{Q_e}{n} = 0.5867700063$$

გადაუადგილებელი მნიშვნელობაა

$$\bar{R}^2 = R^2 - \frac{m}{n-m-1}(1 - R^2) = 0.557480600$$

მოცემული მაჩვენებლები მიუთითებენ ეგზოგენურ და ენდოგენურ ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის კავშირზე.

V ფაქტორი: დასმული ამოცანის მიზანია დადგინდეს ერთი მხრივ, მთლიან შიგა პროდუქტსა და მეორე მხრივ, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს შორის, როგორცაა ინვესტიცია ოჯახის და ბავშვების სოციალური უზრუნველყოფში X5 (მილიონ ლარში). უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების შეფასება ღებულობს შემდეგ კონკრეტულ სახეს თითოეული ცვლადის მიხედვით:

$$\hat{y} = b_0 + b_1 x_1; \hat{y} = 13774032,03 + 8,234385937 x_1$$

კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები იქნება: თავისუფალი წევრისთვის 2869571,387, ხოლო ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტისთვის 5,262382984. თავისუფალი წევრის სტანდარტული შეცდომა ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია.

რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესაფასებლად განვიხილოთ ჰიპოთეზათა წყვილები:

$$H_0 : \beta_j = 0,$$

$$H_1 : \beta_j \neq 0, j=0,1.$$

$$|t_{b_j}| = \frac{|b_j - \beta_{j0}|}{s_{b_j}},$$

სადაც $\beta_{j0} = 0$, ანუ კოეფიციენტების მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t_{b_0} = \frac{b_0 - 0}{s_{b_0}} = 4,800031145$$

$$t_{b_1} = \frac{b_1 - 0}{s_{b_1}} = 1,564763713$$

თითოეული უნდა შევადაროთ კრიტიკული წერტილს, სტიუდენტის განაწილების ცხრილში თავისუფლების ხარისხით $(n - m - 1)(13)$ და 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის: $t_{კრ} = t_{n-m-1, \delta/2}$.

$t_{b_0} > t_{კრ}$, $t_{b_1} > t_{კრ}$, რაც იმას ნიშნავს, რომ b_0 და b_1 კოეფიციენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს ანუ მათთვის ნულოვანი ჰიპოთეზა დადასტურებული არაა. იგივეს ადასტურებს P-ს მნიშვნელობაც: 0.00283397 და 0,139955924. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები მოდელში უნდა ჩავრთოთ, ამდენად განსახილველი ეგზოგენური ფაქტორი მნიშვნელოვანია.

ზღვრული მაჩვენებელი მნიშვნელოვანია როგორც 1%-იანი, ასევე 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, ხოლო თავისუფალი წევრი მნიშვნელოვანი არაა, რაც იძლევა ამ ეტაპზე განტოლების მნიშვნელოვნების ვარაუდის საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ განტოლების მნიშვნელოვნებისთვის ასეებითი მნიშვნელობა აქვს არა თავისუფალი წევრის, არამედ ზღვრული მაჩვენებლის სანდოობას.

წყვილური რეგრესიის სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ დისპერსიული ანალიზი ადასტურებს კოეფიციენტების შეფასებით მიღებულ შედეგებს. განვიხილოთ ტოლობა:

$$\text{Var}(y) = \text{Var}(\hat{y}) + \text{Var}(e), \text{ ან მოკლედ: } Q = Q_r + Q_e$$

\hat{y} – ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად Q_r და Q_e უნდა შევადაროთ ერთმანეთს.

$$Q_r = \text{Var}(\hat{y}) = 1.21E+15$$

$$Q_e = \text{Var}(e) = 5.15E+14$$

ვამუშავებთ შემდეგი სახის ჰიპოთეზას:

$$H_0: Q_r \leq Q_e$$

$$H_1: Q_r > Q_e$$

$$F = \frac{Q_r/m}{Q_e/n-m-1} = 2,448485477$$

რადგან $F < F_{\alpha}$, ამიტომ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია და დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განტოლება მთლიანობაში მნიშვნელოვანი, ანუ სანდოა.

საინტერესოა დეტერმინაციის კოეფიციენტის გადაადგილებული და გადაუადგილებელი მნიშვნელობებისა და კორელაციის კოეფიციენტების შედარება.

$$R^2 = 1 - \frac{Q_e}{n} = 0,148857807$$

გადაუადგილებელი მნიშვნელობაა

$$\bar{R}^2 = R^2 - \frac{m}{n-m-1} (1 - R^2) = 0,088061936$$

რეგრესიული მოდელის შედეგით დადასტურდა რომ: სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ინვესტიციები არ არის საკმარისი, რაზეც მიგვითითებს დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2 (საიმედო მოდელის შემთხვევაში უნდა იყოს 0,8-1-დე): განათლებაზე განხორციელებული ინვესტიციის შემთხვევაში - $R^2=0,59$. ჯანდაცვაზე - $R^2=0,67$, სოციალურ უზრუნველყოფაზე $R^2=0,14$, კულტურულ ღონისძიებებზე $R^2=0,58$, მეცნიერულ კვლევებზე, ინოვაციებზე, გამოგონებებზე $R^2=0,52$.

ჩვენმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალის ფაქტორებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, რომლის ზრდის შედეგად (დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2 = 0,8-1-დე$) შესაძლებელია პროგნოზის გაკეთება.

საპროგნოზო შედეგის ცხრილი

მაჩვენებლები	საბაზისო- 2015	საპროგნოზო 2025 წელი
ცოდნაზე დაფუძნებული		
ეკონომიკის ინდექსი	68	42
გლობალური ინოვაციების ინდექსი	73	58
ინოვაციების შესაძლებლობების ინდექსი	44	32
ადამიანური განვითარების ინდექსი	76	50
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი	77	38
ექსპორტი მშპ მიმართ (%)	35,7	54
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	8533,5	19500,0

შესაბამისად, ჩვენ გავითვალისწინეთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის მიმართულებების ჩამოსაყალიბებლად.

მოდელში წარმოდგენილია: ადამიანური კაპიტალი, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და ინოვაციებში, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, მართვის სისტემა, ინოვაციები, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, მეცნიერების, კვლევების და ბიზნესის ურთიერთკავშირი და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა.


ჩვენი აზრით, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მთავარი რესურსი და მნიშვნელოვანი ფაქტორი არის კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი.

სტრატეგიის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

კვლევის საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ დასკვნას, რომ თუ საქართველომ დროულად არ განახორციელა ახალი ეკონომიკური სტრატეგიის და ინოვაციური პოლიტიკის დამტკიცება და არ გამოიყენა ცოდნის ეკონომიკის საფეხურზე გადასასვლელად პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა არსებული რესურსი და პოტენციალი, ის დარჩება ჩამორჩენილი ქვეყნების სიაში და მსოფლიო

რეიტინგში დაიმკვიდრებს არაინოვაციური განვითარების ქვეყნის სტატუსს.

ქვემოთ წარმოდგენილია (სურ.3.5) ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელი. მოდელში ასახულია ის ნაბიჯები, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას განხორციელებული და მხარდაჭერილი სახელმწიფოს, საგანმანათლებლო ინსტიტუტების, მეცნიერების და ბიზნესის მიერ, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის და საზოგადოების ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.



სურ. 3.5. ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების მართვის მოდელი

დასკვნა

საქართველოში ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბებისა და განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევამ, ინოვაციური განვითარების პერსპექტივასთან მისი კავშირის სისტემის ანალიზმა, მათი ერთიანობის გავლენამ სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაზე და, შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, მოგვცა საშუალება დაგვესაბუთებინა რიგი საკითხები და გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები.

- ბოლო პერიოდში გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციული ცვლილებების ფონზე ადამიანური კაპიტალი გახდა ეროვნული ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ფაქტორი, მისი დაგროვება კი - ქვეყნის ინოვაციური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის საფუძველი.

- დღეს ადამიანური კაპიტალი განიხილება, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების რთული, ინტენსიური ფაქტორი, ხოლო მისი ხარისხი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე. იგი მოიცავს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, ინოვაციური და პიროვნული ადამიანური პოტენციალის საფუძველზე დაგროვილ უნარ-ჩვევებს და ცოდნას. ეროვნული, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას, ზრდას და მაღალ რეიტინგს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. საერთაშორისო რეიტინგების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ინდექსები - კონკურენტუნარიანობა, ადამიანური განვითარების დონე, გლობალური ინოვაციური განვითარება, ცოდნის ინდექსი და სხვა.

- როგორც ცნობილია, ბოლო წლებში საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით გარკვეულ წარმატებას მიაღწია და საკმაოდ კარგი პოზიციები დაიკავა მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარი-

რიანობისა და ადამიანური განვითარების დონის სარეიტინგო სიაში რამოდენიმე მიმართულებით. საქართველო რეიტინგის პირველ ათეულში შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით მოხვდა: ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დღეების მიხედვით, ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურებით, საბაჟო პროცედურებით, სახელმწიფო რეგულაციების მიხედვით, გადასახადების განაკვეთების დონით. ხოლო ყველაზე ცუდ პოზიციებზე იგი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვითაა: უნივერსიტეტებისა და ბიზნესის კვლევებში თანამშრომლობით, ანტიმონოპოლიური პოლიტიკით, სახელმწიფოს და კომპანიების დანახარჯით კვლევებსა და განვითარებაზე, ადამიანური კაპიტალის ხარისხით, ინოვაციების დაბალი დონით, ადგილობრივი პროდუქციის ხარისხით .

➤ განვითარების ადაპტურ-ტრანსფორმაციულ მოდელში ჩვენ მოვიაზრებთ ინოვაციური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის სტრატეგია იქნება:

➤ მეცნიერების, განათლებისა და თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე დაფუძნებული ინკლუზიური ზრდა, ხელსაყრელი საინვესტიციო-ინოვაციური კლიმატის შექმნა, იმ სამეცნიერო კვლევების განვითარების მაღალი ტემპები, რომლებიც უზრუნველყოფს საექსპორტო დარგების განვითარებას, ასევე განათლების სისტემის სრულყოფა, განსაკუთრებით - უმაღლესი ტექნიკური განათლების; უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა (მოსამზადებელი, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამალგამის კურსების ჩათვლით), ცხოვრების დონის ამაღლება, ინოვაციური ეკონომიკის (ცოდნის ეკონომიკის) საფეხურზე გადასვლა. მართვის სისტემების გაუმჯობესება როგორც ინვესტიციების მართვის მიმართულებით ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვების ელემენტებში, ისე ცოდნის და ინოვაციების მართვის კუთხით.

➤ ბოლო წლებში საქართველოში აღნიშნული მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა: მიღებულია სახელმწიფო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი ადამიანური განვითარების დონის ამაღლებაა, ყალიბ-

დება საკანონმდებლო ბაზა, შექმნილია ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების სააგენტო, იქმნება სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის - განათლების სამინისტროს მიერ.

➤ იმისათვის, რომ საქართველო შევიდეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიცხვში, მან უნდა გააკეთოს აქცენტი ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციაზე, ხოლო მისი ჩამოყალიბება და განვითარება, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფო პრიორიტეტი უნდა გახდეს ბიზნესისა და ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის საფუძველი. უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს აქტიური როლი და ჩარევის მექანიზმები ინოვაციური განვითარების ტემპის დაჩქარებაში.

➤ ადამიანური კაპიტალის მაღალი დონე ხელს უწყობს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ადამიანური განვითარების შემდგომ პროცესს; ადამიანური კაპიტალის დაბალი დონე იწვევს მისი განვითარების დაბალ ტემპებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ინოვაციურ აქტივიზაციას და კონკურენტუნარიანობის პერსპექტივებს მომავალში.

➤ კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე დიდ გავლენას ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვება-გამოყენებისას ახდენს განათლების დონე, კერძოდ კი- უმაღლესი განათლება და ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის დონე. ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლები.

➤ ინოვაციური პოტენციალი ქმნის ქვეყნის მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას, სადაც ახალი ტექნოლოგიების, უნიკალური პროცესებისა და პროდუქტების დამუშავებას და დანერგვას თან ახლავს მოსახლეობის ინოვაციური აზროვნების შეცვლა და (ცოდნის ადამიანი, ინოვაციური ადამიანი), შედეგად, ქვეყნის ახალი ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება.

➤ საქართველოს ეკონომიკური განვითარების დღევანდელი სიტუაცია ცხადყოფს, რომ ჯერჯერობით კომპანიებს შორის არ არსებობს

კონკურენციის ისეთი დონე, რომ აიძულოს მათ ინოვაციური ტექნოლოგიების და მომსახურების დანერგვა.

ჩვენი დასკვნით, ადამიანური კაპიტალის განვითარების (ტრანსფორმაციის) და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის **ძირითადი პირობებია:**

- ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან (თავისუფალი კონკურენციის პირობები, დემონოპოლიზაცია, ლიბერალური საგადასახადო და საკანონმდებლო მიდგომა, ინოვაციების წახალისება და შეღავათები და სხვა), მეცნიერულ კვლევებში ინვესტიციების ზრდა.

- კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი არის ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის **პირობა**.

- ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურაში, ადამიანური კაპიტალის წილის ზრდა. აქვე უნდა აღინიშნოს დადებითი ადამიანური კაპიტალით მაქსიმალურად უარყოფითის ჩანაცვლება, რაც, ჩვენი აზრით, ინვესტიციების მართვის, მისი მიზნობრიობას და მონიტორინგის გაუმჯობესების შედეგად მიღწევადია ადამიანური კაპიტალის ფორმირების ყველა ელემენტში (ფაქტორში), მაგრამ პრიორიტეტულად განათლების სისტემაში და სამეცნიერო კვლევებში. ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალის წილის ზრდა გამოიწვევს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციას, ინოვაციებზე მოთხოვნის ზრდას, მეცნიერული კვლევების და მათზე ბიზნესის და სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის ზრდას, ინოვაციების, როგორც ინოვაციური პროდუქტის ექსპორტზე გატანას, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

ნაშრომში განხორციელებული კვლევა და ანალიზი გვამლევს შემდეგი დასკვნის საშუალებას: ადამიანური კაპიტალის განვითარების და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციისთვის აუცილებელია ადაპტურ-ტრანსფორმაციული მოდელის ჩამოყალიბება ლიდერი-ქვეყნების მსოფლიო საინვესტიციო-ინოვაციურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

რა თქმა უნდა, მიღებული შედეგები და დასკვნები არ იძლევა სრულ პასუხს ადამიანური კაპიტალის და ინოვაციების კვლევასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე, რადგანაც შეუძლებელია მათი გადაჭრა ერთი ნაშრომის ფარგლებში.

ამის მიუხედავად, ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის, როგორც ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის კვლევაში, ხოლო შემდგომში, ეკონომიკური პრაქტიკის თვალსაზრისით, შესაძლებელია იგი გახდეს უფრო სიღრმისეული შესწავლის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 612.
2. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, ინოვაცია, თბ., 2005, გვ. 200.
3. აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თსუ, თბ., 2001, გვ. 321.
4. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე. რ. ქუთათელაძე, „ინოვაციების მენეჯმენტი“, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბ., 2008, გვ.245.
5. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, გამ., -უნივერსალი-, თბ., 2014; გვ. 172.
6. ე. მექვაბიშვილი, გლობალიზაციის პროდუქტი და ფაქტორი. „ახალი ეკონომიკა“, მაის - ივნისი, 2013, გვ., 18-23
7. ლ. გვაჯაია „ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები“, ჟ. „ინოვაცია“, №1, თბილისი, 2003
8. ო.შატბერაშვილი საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა: შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში.წიგნში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, რედაქტორები ი. გოგოძე, ო. შატბერაშვილი, ეგსიგ, თბილისი, 2010.
9. შ. ჭალაგანიძე, საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2000. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -12.04.2016
10. ლ. ჩიქავა., ინოვაციური ეკონომიკა. ფირმა „სიახლე“, თბ., 2006., გვ.450.
11. ლ.ქოქიაური, ნ.ქოქიაური. ინოვაციები. ინოვაციური მენეჯმენტი. თბ.: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2015. გვ. 625;
12. ბალაიანი ა.ა., „პოლიტიკური ელიტა და თანამედროვე რუსეთის ინოვაციური განვითარება“, რუსულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია-პოლიტიკა-ინოვაციური განვითარების ფაქტორი., 2010., გვ., 17
13. გიორგი გოთუა., ინკლუზიური ზრდა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა ალტერნატივები საქართველოს განვითარების პოლიტიკისთვის., 16 ოქტომბერი 2015., <https://georgia2020blog.org/category>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -28.01.2016

14. ბერუჩაშვილი გ. ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალობა
<http://www.polity.ge/georgia/economics/2268-inovaciuri-ekonomikuri-politikis-aqtualoba.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.02.2016
15. ნ. კუნცევა-გაბაშვილი. Forbes Georgia. 17 იანვარი, 2014.
16. დ. იაკობიძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის საკითხისათვის. ელ.რესურსი
globalresearch.ge/workshops/davit-iakobidze-moxseneba.html,
 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -24.04.2016
17. „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020—
18. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.,www.naec.ge,
 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -5.01.2016
19. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება, დანართი N1 -საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია”.
20. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება -საქართველოს საინოვაციო კონცეფცია”.
21. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები,www.mes.gov.ge/uploads/strategia.,
 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -5.01.2016
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <http://www.geostat.ge/>,უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -12.05.2016
23. საქართველოს კანონი მიგრაციის შესახებ
24. საქართველოს ეროვნული ღვინის სააგენტო: www.georgianwine.gov.ge,
 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.12.2015
25. <http://www.bloomberg.com/graphic/2015-inovative-countries>, უკანასკნელი იქნა გადამოწმებული -9.11.2015
26. <http://www.parliament.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 3.05.2016
27. Human Development Reports, Official Website. <http://hdr.undp.org/en/>
28. Martins J.O, et al. 2009. The Policy Determinants of Investment in Tertiary Education. OECD journal: Economic Studies
29. Портер М.Е. «Конкуренция», спб. М. Киев. Вилюятс. 2000.
30. Peter Drucker. Management Challenges for the 21st Century. Harper Business. 2001.
31. www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015,
 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -16.02.2016

32. www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2015-2016,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -18.03.2016
33. www.wikipedia.org–свободная Интернет энциклопедия, უკანასკნელად
იქნა გადამოწმებული -6.05.2016
34. Посылкина О., Государственные инвестиции в Человеческий капитал,
Москва, ММУ, 2015
35. Яковец Ю.В., «Глобализация и Трансформация мировой экономики».
СРБ. Изд. СРБ ГУЕФ, 2004.
36. Нуреев Р.М. Экономика развития: модели становления рыночной
экономики: учебник/ Р.М. Нуреев. — М.: Норма, 2008. — с.640.
37. Кенэ Ф. Избранные экономические произведения / пер. с франц.; ред.-
сост. А.И.Казарин. — М., 1960. — 551 с
38. Петти У. Экономические и статистические работы / I-II. пер.; под
ред.Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. –М.:
Эксмо, 2007. – 320 с.
39. Шумпетер И. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 2002.
С.166.
40. Сэй Ж.Б. Трактат политической экономии / пер. Е.Н. Каменецкой. –М.,
1996. – 363 с.
41. Милль Дж.С. Основы политической экономии / пер. с англ.; общ.
ред.А.Г. Милейковского. – М., 1980. – Т.1. – С.57.
42. Маркс К., Энгельс Ф. Капитал // Соч. – 1867 - Т.23. – С.56.
43. Маршалл А. Принципы политической экономии / пер. с англ.; общ.ред. и
вступ. ст. С.М. Никитина. - М., 1983. - Т. 1. – С.19.
44. Бем-Баверк Е. Капитал и прибыль. История и критика теорийпроцента
на капитал. - 1929. – С.64.
45. Виксель К. Процент на капитал и цена товаров. - 1898. – С.44.
46. Кларк Дж.Б. Распределение богатства / пер. с англ. - М.:
Экономика,2002. – С.43.
47. ВальрасЛ.Этюды прикладной политической экономии./Etudesd’èconomie
politique appliquee. - 1898. – С.43.
48. Fisher I. The Nature of Capital and Income. – L., 1927. – P.62.
49. Линдаль Э. Исследования в области теории денег и капитала./Studiesin
the Theory of Money and Capital. - 1939. – С.31.
50. Хайек Ф. Индивидуализм и экономический порядок. - М.: Изограф,2000.
- 256 с.
51. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег // Научная
антология экономической классики. - М.: Эконом- Ключ, 2003. – С.22.
52. Хикс Дж. Стоимость и капитал / пер. с англ.; общ. ред. и вступ. ст.Р.М.
Энтова. – М., 1993. – 448 с.135

53. Shultz T. Human Capital in the International Encyclopedia of the Social Sciences. - N.Y., 1968. - Vol. 6. – P.12.
54. Becker Gary S. Human Capital: a theoretical and empirical analysis. -N.Y.: Columbia University Press, 1964. – P.52.
55. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономическая теория. - М.Юнити, 2002. – 864 с. Kuznets S. Population, Capital and Growth. – N.Y. Columbia University Press, 1973 – 567 p.
56. Денисон Э. Анализ экономического роста США с 1929 по 1969(Accounting for United States Economic Growth, 1929-69; 1974). – 1974. – С.46.
57. Shultz T. Investment in Human Capital. - N.Y.; London, 1971. - P. 26-28.
58. Becker Gary S. The economics of discrimination. - N.Y.: Columbia University Press, 1957. – 580 p.
59. Becker Gary S. Human capital and the personal distribution of income: An analytical approach. - N.Y.: Columbia University Press, 1967. - 467 p.
60. Becker Gary S. A Treatise on the family. - N.Y.: Columbia University Press, 1981. - 782 p.
61. Tnurow L. Investment in Human Capital. - Belmont, 1970. – P.78.
62. Долан Э., Линдсей Дж. Рынок: микроэкономическая модель. - СПб.,1992. - 477 с.
63. Добрынин А.И., Дятлов С.А., Цыренова Е.Д. Человеческий капитал в транзитивной экономике: формирование, оценка, эффективность использования. - СПб.: Наука, 1999. - 309 с.
64. Корчагин Ю.А. Человеческий капитал и процессы развития на макро и микроуровнях. - Воронеж: ЦИРЭ, 2011. – С.38.
65. Сабдена и Н.К. Нурлановой. – Алматы: Институт экономики КН МОН РК,2010. – С. 40-45.
66. Нойманн Ф. Методика экономической оценки человеческого капитала// Государственное управление: трансформационные процессы в современном мире: Тез. докл. междунар. науч.-практ. конф. Минск.: Академия управления при Президенте Республики Беларусь. - Ч. 2., 2002. – С.82-84.
67. Ильинская Т.И. Теоретические основы формирования и обеспечения конкурентоспособности человеческого капитала в экономических системах инновационного типа. – Спб, 2010. – 157 с.
68. Макарова Е.О. Человеческий капитал как определяющий фактор повышения конкурентоспособности предприятия в современных условиях: автореф. к.э.н. – Чебоксары, 2008. – С.12-14.
69. Капелюшников Р.И. Теория человеческого капитала [Электронный ресурс] // <http://www.libertarium.ru/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -3.02.2016

70. The World Bank: World Development Indicators. Gross National Income per Capita. – 2012 // <http://www.worldbank.org/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -2.05.2016
71. Кузык Б.Н., Яковец Ю.В. Россия - 2050: стратегия инновационного прорыва. – М., 2004. – 632 с.
72. Гилбрейт Д. Экономические теории и цели общества. - М.: Прогресс, 1979. - 406 с.
73. Денисюк В.А. Концепция социально-экономического развития в условиях глобализации. - Донецк, 2011. - С. 115-137.
74. Porter M.E. Clusters and the New Economics of Competition // Harvard, Кушнир И.В. «Инновационный менеджмент», Институт экономики и права, М. 2009.
75. С.А. Агарков, Е.С. Кузнецова, М.О. Грязнова. «Инновационный менеджмент и государственная инновационная политика». Москва, 157 2011.
76. <http://www.weforum.org/>-2016, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.04.2016
77. <http://www.webometrics.info/en/Europe/Georgia>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -3.04.2016
78. www.shabo.ua, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.12.2015
79. World Bank. World Development Indicators Data Base <http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> Доклад о человеческом развитии 2013. Возвышение Юга: человеческий прогресс в многообразном мире / пер. с англ. ПРООН. – М.: Изд-во Весь Мир, 2013. – 204 с.

